ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი . . .

სტუმრობები ამელისთან

ნატო ინგოროყვა
გიგა ნასარიძე
ირმა ტაველიძე
გიორგი კეკელიძე
გიორგი საჯაია
მაკა ლდოკონენი
შალვა ბაკურაძე

ინტერვიუები

ნინო თარხნიშვილი
თეონა დოლენჯაშვილი
მედეა იმერლიშვილი

მონოლოგები

ნინო თარხნიშვილი
მარსიანი
მაია კილაძე

რამდენიმე კითხვა...

ლუბა ელიაშვილს
ირმა მალაციძეს
ჰექსეს
ნინო დარბაისელს
ირაკლი ლომოურს
არნოლდ გეგეჭკორსს
ზაზა შათირიშვილს

პირისპირ

ვასილ გულეური
ვანო ჩხიკვაძე

ნინო ნადირაძე
გვანცა ჯობავა

კრებული "«ებლიტფოზე»" განხორციელებული პროექტების _ «სტუმრად ამელისთან», «ინტერვიუები», «მონოლოგები», «"რამდენიმე კითხვა» _ საფუძველზე მომზადდა.

სტუმრად ამელისთან

ლიტერატურულ კონკურს «საბას» ნომინანტმა, 2007 წლის «პენ-მარათონის» მონაწილემ, მწერალმა ნინო თარხნიშვილმა, იგივე ამელიმ, ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ «ებლიტფოზე», რუბრიკაში «სტუმრად ამელისთან», არაერთ პოეტსა და პროზაიკოსს უმასპინძლა...

რუბრიკას «სტუმრად ამელისთან: ამელის «ლიმნიანი მონოლოგითა» და მასთან ინტერვიუთი ვიწყებთ

ამელის «ლიმნიანი მონოლოგი»

დღეს დავიღალე. ახლა რომ მკითხო, რამ დაგღალაო, მართლა ვერ გეტყვი. უბრალოდ, დავიღალე და მორჩა. ახლა ღამეა, ჩემი კომპიუტერის საათი ზუსტად 23 საათსა და 58 წუთს აჩვენებს. მარიტას უკვე სძინავს, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ გვერდზე არ მიდგას და კლავიატურაზე თითებს არ აკაკუნებს. გიო რაღაც ფილმს უყურებს და ცდილობს, როგორმე მაიძულოს, რომ ავდგე და ჩაი დავუსხა, მაგრამ არაფერი გამოსდის. აი ნახე, თუ არ ადგეს ორ წუთში და თვითონ თუ არ დაისხას, სულ ასე იცის... უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში უკვე იმდენი ინტერვიუ ჩავწერე და დავწერე, რომ ვეღარ ვითვლი. ჰოდა, უკვე დაახლოებით ათი დღეა, ვწუწუნებ, რომ ამ ინტერვიუებმა შეიწირეს მუზები და დარჩნენ ჩემი მოთხრობის პერსონაჟები უსახლკაროდ _ მოთხრობის გარეშე, დაფანტულები და როგორც მკვლელს ესიზმრება ხოლმე საკუთარი მსხვერპლი ღამღამობით, ასე მესიზმრებიან მეც ჩემი პერსონაჟები, მაგრამ სამწუხაროდ, მათ ჯერჯერობით ვერაფერი მოვუხერხე. არადა, ყოველ დილით საკუთარ თავს პირობას ვაძლევ, რომ საღამოთი კიდევ ერთ წინადადებას მაინც მივუმატებ ჩემს დაუსრულებელ მოთხრობას, მაგრამ სულ ტყუილად.

ერთი შიში დამჩემდა ამ ბოლო დროს და, მგონი, ეს ჩემი თავმოუბმელობაც ამის ბრალი უნდა იყოს: სულ მეშინია, რომ ჩემი ახალი მოთხრობა წინაზე ცუდი გამომივა, ჰოდა, იქნებ ამიტომაც ვწელავ დროს? არ ვიცი, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, გასამართლებელი საბუთი კი მაქვს მყარი: არ მცალია და მორჩა. მაგრამ ერთი ის მითხარი, ეს მოუცლელობის ამბავი ჩემს პერსონაჟებს როგორ ავუხსნა? მაგათ რაში აინტერესებთ, მე დღეში ორ ინტერვიუს ვწერ თუ ოცს? მაგათთვის მთავარია საკუთარი ადგილები მივუჩინო მოთხრობაში და ბედის მწერალივით ყველას თავისი განაჩენი გამოვუტანო...

აი, ამ მონოლოგს, რომ დავამთავრებ, მერე მოთხრობის წერას გავაგრძელებ: პირობას ვდებ, თუმცა, დედას არ ვიფიცები, რა იცი, რა ხდება, ტყუილზე დაფიცების ბავშვობიდანვე სასტიკად მეშინია.

ჰო, ამ დღეებში წიგნის მაღაზიები უნდა დავიარო. მოკლედ, ისე აღმოჩნდა, რომ საკუთარი წიგნი წამლადაც კი აღარ მომეპოვება. უკანასკნელი ეგზემპლარიც გავაჩუქე და დავრჩი ხელცარიელი. როგორც გავიგე, ჩემი «ქალთარაფერა» აღარ იყიდება, მაგრამ ისე როგორ იქნება, რომ ამ დიდ ქალაქში ერთი წიგნის მაღაზიაში მაინც ვერ მივაგნო ერთ «ქალთარაფერას»...

ზუსტად სამი წლის წინ კი, მაშინ, როცა წერა დავიწყე, მართლა ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ჩემს მინიატურებს წიგნად ავკინძავდი და მარტო წიგნად აკინძვასაც არ დავჯერდებოდი და «საბა 2006»-ის ნომინანტიც გავხდებოდი. ეს იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ ოჯახის წევრებმა არც კი დამიჯერეს. არადა, ყველაფერი მართლა ძალიან უცებ მოხდა. მახსოვს, როგორ ვუკითხავდი ჩემს ქმარს პირველ მინიატურებს და ის კი დამცინოდა ხოლმე.

მერე კი აუდიტორია ნელ-ნელა გაიზარდა და საჯარო ბობლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ჩემი პირველი ლიტერატურული საღამოც მოეწყო. წინა საღამოს იმდენი

ვინერვიულე, ხალხი არ მოვა-მეთქი, რომ ხმა ჩამიწყდა. არადა, მეორე დღეს საჯარო ბიბლიოთეკის მესამე კორპუსთან შეკრებილი ხალხი რომ დავინახე, მივხვდი, თურმე ხალხს ვაინტერესებ.

ჰოდა, ის შიში, ზევით რომ ვლაპარაკობდი, ზუსტად ამის ბრალია: მინდა, რომ მკითხველი ჩემს მოთხრობებში ყოველთვის ახალს, განსხვავებულს და საინტერესოს კითხულობდეს. ჰო, სულ დამავიწყდა მეთქვა, ზუსტად ერთი წელია, რაც მინიატურებს აღარ, თუ ვეღარ ვწერ. ახლა, რომ ვკითხულობ ჩემს ძველ ნაწერებს, მართლა გულით მიკვირს, როგორ ვახერხებდი მინიატურების წერას, ანუ როგორ ვატევდი სულ რამდენიმე წინადადებაში იმ სათქმელს, რისთვისაც ხანდახან სქელტანიანი წიგნებიც კი შეიძლება დაიწეროს. მოკლედ, დასრულდა მინიატურების ეტაპი. ახლა მოთხრობებს ვებრძვი, უფრო სწორად, ფანტასტიკური ჟანრის მოთხრობებს ვებრძვი და როდემდე გაგრძელდება ეს ბრძოლა, მარტო ღმერთმა იცის.

და, რაც ყველაზე მთავარია, ახლა გიო ჩემით ამაყობს კიდეც. იმ დღეს სრულიად შემთხვევით წამოსცდა: იცი, ერთი ჩემი ნაცნობი ჟურნალისტი მოვიდა ჩემთან და მითხრა, შენი ცოლი ძალიან მაგრად წერსო.

აი ასე «მაღიარეს» ოჯახში...

აი, ხომ ვამბობდი, გიო ჩაის დასასხმელად გადის სამზარეულოში...

_ აუ, გეხვეწები, მეც დამისხი რა, ანდა მოიცადე, მე მოგიმზადებ გემრიელ ჩაის _ ლიმნიანს და «მალინიანს»...

ინტერვიუ «ჩახლართულ» სამ საათზე»

«ისეთი გამეტებით ბრუნავს დედამიწა, რომ საათის ისრები მეტისმეტი ბზრიალისაგან ერთმანეთს გადაეხლართნენ და უკვე მერამდენე დღეა, ჩემი კედლის საათის დიდი და პატარა ისრები გამუდმებით დღის ჩახლართულ სამ საათს აჩვენებენ. კარგად დააკვირდი სიტყვა «ჩახლართულს», იმიტომ რომ უბრალოდ სამი საათი ბევრ არაფერზე მეტყველებს...

ჩახლართულ სამ საათზე ვიღვიძებ...

ჩახლართულ სამ საათზე ვბანაობ....

ჩახლართულ სამ საათზე ვივარცხნი თმას და ვცდილობ ორიგინალური ვარცხნილობის მოძებნას, მაგრამ ისევ და ისევ ჩახლართულ სამ საათზე ვხვდები, რომ ყველაზე მეტად მაინც გაშლილი თმა მიხდება...

ჩახლართულ სამ საათზე არ ვიუთოებ ჯინსებს და ისე ვიცვამ...

ჩახლართულ სამ საათზე ვსაუზმობ, ვსადილობ, ვვახშმობ...

ჩახლართულ სამ საათზე ვრწმუნდები, რომ ვარ მდიდარი, იმიტომ რომ ყოველ ჩახლართულ სამ საათზე მიკაკუნებს მათხოვარი და ავადმყოფი შვილისათვის ხურდას მთხოვს, მე კი ეს ხურდა ყოველთვის მომეძიება ჩემი პიჯაკის გულის ჯიბეში...

ჩახლართულ სამ საათზე ვხვდები, რომ ვარ ღარიბი, იმიტომ რომ ყოველ ჩახლართულ სამ საათზე გავივლი «მანგოს» ვიტრინასთან, დავინახავ უსულო მანეკენზე გამოკიდებულ კაბას, რომელიც მხოლოდ ჩემთვის შეიკერა, მაგრამ ვერ ვიყიდი...

სამაგიეროდ, ყოველ ჩახლართულ სამ საათზე ვხვდები, რომ მე იმ მანეკენზე გაცილებით ცოცხალი ვარ და ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს... თუნდაც, სულ შიშველმა ვიარო...

ჩახლართულ სამ საათზე ვიძინებ...

ჩახლართულ სამ საათზე ვხედავ უბედურ სიზმრებს და, რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, მხოლოდ ჩახლართულ სამ საათზე ვათავებ...

და რა ხდება ამ დროს უბრალოდ სამ საათზე? არც არაფერი, უბრალოდ, დღის სამ საათზე ვეღარასდროს გავათავებ, იმიტომ რომ, უბრალოდ, სამი საათი უკვე მერამდენე დღეა, აღარ არსებობს....» (ამელი, ნაწყვეტი მოთხრობიდან «მეხუთე სეზონი»).

ებლიტფო: ამელი, ახლა ზუსტად სამი საათია. ერთი ეს მითხარი, ახლაც «მეხუთე სეზონისნაირი» სამი საათია, თუ შეიცვალა რამე? ბარემ ამასაც გკითხავ: ყოველთვის ასეთი პუნქტუალური ხარ?!

ამელი: კი, პუნქტუალური ვარ, თან ძალიან პუნქტუალური, ზედმეტადაც კი. ვდარდობ ხოლმე, როცა ჩემ გამო ვინმე ღელავს. ამიტომ არის, რომ ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე ყოველთვის იციან ჩემებმა, სად ვარ, რომელ საათზე მივალ სახლში და ა. შ. ერთი ის არის, რომ ხანდახან სამსახურში ვერ ვახერხებ დროულად მისვლას. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვცდილობ, 5 წუთს მაინც ვიგვიანებ ხოლმე. მაქვს ერთი მიზეზი _ დილით ბავშვს აუცილებლად მე უნდა ვაჭამო; ჰოდა, ეს რიტუალი ჩემი პუნქტუალურობის 5 წუთს მპარავს.

ებლიტფო: მაინც არ მითხარი, როგორი სამი საათია.

ამელი: ჩემთან ყოველთვის ჩახლართული საათია.

ებლიტფო: შენ შვილი ახსენე და, მოდი, ორ კითხვას გავაერთიანებ: მომიყევი «ყველაზე კაცზე» და შვილზე _ მარიტაზე.

ამელი: შვილზე ლაპარაკი მართლა ძნელია. რა უნდა ვთქვა ისეთი, რასაც ნებისმიერი დედა არ იტყვის. უბრალოდ, შემიძლია გითხრა, რომ არასდროს დამავიწყდება მარიტას თვალები, როცა პირველად შემომხედა. ეს, ალბათ, ყველაზე სასწაულ კადრად დარჩება ჩემს ცხოვრებაში. არც ის რძის სუნი დამავიწყდება, რომელიც დაბადებიდან ჰქონდა. ამ სუნს დღესაც დავეძებ. ალბათ, ამიტომ არის, რომ, სამსახურიდან დაბრუნებული, კისერში ჩავუძვრები ხოლმე და ვყნოსავ და ვყნოსავ. ახლა იზრდება და ნელ-ნელა ამ სუნსაც კარგავს. იცი რა, ჩემს ერთ-ერთ მოთხრობაში _ «ქაბულში, ყვავილების ქუჩაზე» _ დედა-შვილის გმირები მყავს, რომლებიც ჭიპლარით არიან გადაბმულები. ზუსტად ეს იყო ჩემი და ჩემი შვილის ლიტერატურული სახე. ჩვენც ასე ვართ გადაბმულები უხილავი ჭიპლარით.

ებლიტფო: ყველაზე კარგ კაცზე მაინც არ მითხარი: კაცზე, რომელსაც ყველა ნაწარმოები მიუძღვენი, როგორც ამბობ...

ამელი: რაც დაწერილა და რაც დაიწერება, ყველაფერს, ალბათ, მას მივუძღვნი. არ მიყვარს გრძნობებზე ლაპარაკი. ყალბად მიმაჩნია. ამიტომაც მის სიყვარულზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მიყვარს და მორჩა. ამას ბევრი ახსნა და განმარტება არ სჭირდება.

ებლიტფო: როდის დამთავრდა ბავშვობა, თუ ისევ გრძელდება?

ამელი: ბავშვობას რა დაამთავრებს მაშინ, როდესაც მარიტა მყავს. მისი თვალებით ვუყურებ ამ ქვეყანას. სხვანაირად არც გამოვა. როცა სახლში ბავშვია, როცა ყველა კუთხე-კუნჭულში სათამაშო ყრია, ძალიანაც რომ გინდოდეს, მაინც ვერსად დაემალები ბავშვობას. მასთან ერთად ვთამაშობ სახლობანას, თოჯინებს ერთად ვურეცხავთ კაბებს, ერთად დავდივართ საყიდლებზე (მაცივარში)... სამწუხაროდ, გული მწყდება, რომ სამსახურის გამო ბავშვთან დიდ დროს ვერ ვატარებ.

ებლიტფო: მაკა ლდოკონენთან (ნარინჯისთან) საუბრისას ფასანაურის ცა ახსენე...

ამელი: ფასანაური დედის მხარეა. მთელი ბავშვობა იქ მაქვს გატარებული. იქ ისეთი ცა იცის, სხვაგან რომ არსად მინახავს. ზამთარში, ყინვას რომ ჭახჭახი გაუდის, სახლის ფანჯრები «მულტიკებში» დახატული ფიფქებივით რომ ირთვება, აი, ზუსტად მაშინ უნდა ახედო ცას და სასწაულსაც ნახავ. მთელი კოსმოსი იქ იყრის თავს. რომელი თანავარსკვლავედი გინდა, იქ რომ არ ნახო. და რამდენი ვარსკვლავი ცვივა? ერთბაშად სამი, ოთხი, ასი სურვილის ჩაფიქრება შეგიძლია... ხელები უნდა გაშალო, ზევით აიხედო და ფრენასაც ისწავლი.

ებლიტფო: სურვილები ახსენე: რამდენად გისრულდება სურვილები?

ამელი: სურვილები იშვიათად მისრულდება ალბათ. საკმარისად არ მინდა ხოლმე ამ სურვილების ასრულება და ამიტომაც. უკანასკნელად სურვილი წინანდალში ჩავიფიქრე. ჭავჭავაძეების ეზოში ნატვრის ხეს შევაბი ჩემი სურვილი. შარვლის უკანა ჯიბიდან ვარდისფერი ცხვირსახოცი ამოვიღე, დავხიე, ნაწილი ხეს შევაბი და ერთი პატარა ნაგლეჯი მე შევიბი ხელზე, მაგრამ არ ამისრულდა. რა ვიცი, შეიძლება ფერი არ მოეწონა იქაურ ნატვრის ხეს. წარმოუდგენელზე არაფერზე ვოცნებობ. რეალისტი ვარ. ერთადერთი სურვილი ჯანმრთელობაა. ღმერთსაც მხოლოდ ამას ვთხოვ ხოლმე. აბა, როგორ შევაწუხო ან ღმერთი, ან ნატვრის ხე, ან ნატვრის თვალი იმისათვის, რომ ორი თეთრით ან ორი კაბით მეტი მქონდეს.

ებლიტფო: როდის მიხვდი, რომ წერა გამოგდიოდა?

ამელი: შეიძლება გაგიკვირდეს კიდეც, მაგრამ თარიღიც კი მახსოვს ზუსტად: ამას 2005 წლის 15 მარტს მივხვდი. რამდენიმე დღით ადრე პირველი ნოველა «ჩემი ორი შვილი» დავწერე. ჩემი მეგობრის, ეკა ქევანიშვილის რჩევით, ეს ნოველა ერთ-ერთ ლიტერატურულ პორტალზე _ «ლიტერატურა გე-ზე» დავდე და რამდენიმე დღეში აღმოვაჩინე, თურმე ეს ნოველა განხილვის საგნად ქცეულა. ზოგი კარგს წერდა, ზოგი ცუდს, და მაშინ მივხვდი, რომ ღირდა, რაღაც მეწერა.

ებლიტფო: უხერხულია, გაგახსენო, მაგრამ კარგი გამოხმაურებებიდან, დაახლოებით 2 წლის შემდეგ, რატომ დაგჭირდა ასეთი რამის დაწერა:

«მოკლედ, მოვედი ერთფეროვნების დედოფალი...

ზედ შემოგლესილი ასი წლის გასარეცხი კაბით...

ათასი წლის დასავარცხნი თავით (მუდმივი ვარცხნილობით)...

ათი ათასი დაქუცმაცებული, ემოციურ განწყობებზე დაწერილი უსახური მინიატურით...

განუვითარებელი, ჩამყაყებული და ასე უნიჭო ენით შესრულებული შედევრებით...

ჯიუტად ერთი ადგილის მტკეპნელი ლამაზი ფეხებით...

ჰოდა, ამ ჩემს ლამაზ ფეხებზე მკიდია (თან როგორ მკიდია) ის, რაც აქ ხდება...

ამ ქვეყანაზე ერთ ამელის მაინც აქვს იმის უფლება, რომ წეროს ზუსტად ის, რაც უნდა და როგორც უნდა....

მე ჩემი მინიატურები ათას სქელტანიან რომანს მირჩევნია....

ამბიციური ვარ?

ვარ, ვარ, ვარ...

იმიტომ, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ზუსტად დავინახე, რისი გაკეთება შემიძლია...

მე ყველაზე მაგარ მინიატურებს ვწერ...

ახლა იცინეთ...

მკიდია...»

ვის და როდის უპასუხე ასე?!

ამელი: ჰო, გამახსენდა ეს კომენტარი. საერთოდ, მჩვევია ასეთი უაზრო კომენტარების წერა ხოლმე, მაგრამ რას ვიზამ, ესეც ჩემს ცუდ ხასიათზე მეტყველებს. როგორც წესი, მერე ამაზე ვდარდობ ხოლმე. რა თქმა უნდა, სისულელეა ის, რომ მე მსოფლიოში «საუკეთესო მინიატურებს» ვწერ. მაგრამ, რაკი ვწერ, ალბათ, იმის სულ პატარა ამბიცია მაინც მაქვს, რომ ცუდ მინიატურებს არ ვწერ. გამუდმებით კამათობდნენ იმაზე, თუ რატომ ვწერდი მინიატურებს და არა ნოველებს. მე კი გამუდმებით მჭირდებოდა მტკიცება, რომ ამას, ალბათ, დროის ნაკლებობის გამო ვაკეთებდი. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს ჟანრი ძალიან მომწონს და მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი რთული და ძნელად დასაწერი ჟანრია. დროის სიმცირეს კი მართლა ვუჩივი. ერთი პატარა მინიატურა შეიძლება გონებაში დაატიო და მერე, როცა დრო გექნება, კომპიუტერში გადაიტანო, მაგრამ როცა ქვეყანა «თავზე გექცევა», როცა სახლში «ბომბი ვარდება», მაშინ მუზებიც ეწირებიან ამ აურზაურს. თუმცა, ახლა მგონი შევეშვი მინიატურებს. ყოველ შემთხვევაში, დიდი ხანია, მინიატურა აღარ დამიწერია. რამდენიმე შედარებით დიდი ნოველა მაქვს დაწერილი და, ალბათ, მომავალშიც ასე გავაგრძელებ. ისე,

როგორც წესი, წინასწარ არაფერს ვგეგმავ. არ ვიცი, შეიძლება მომავალში საერთოდ აღარც არაფერი დავწერო. გინდ ისე გაიგეთ და გინდ ასე, საკუთარ თავს მწერლად არ ვთვლი: მე ვარ, უბრალოდ, ადამიანი, რომელიც წერს.

ებლიტფო: ბომბის ხსენებაზე თეონა დოლენჯაშვილი და მისი «ფიდაი» გამახსენდა. შემდეგი ინტერვიუ თეონასთან გამოვაქვეყნოთ...

მინდა კიდევ ერთი მოსაზრება გაგახსენო შენ შემოქმედებაზე...

«ამ პაწია ფშეკია გოგოს ულამაზესი წერის სტილი და მანერა აქვს. იგი ყოველ ახალ ნაწარმოებში განმეორებით არაფერს ამბობს, მაგრამ ისევ ის რჩება.

აი, ნაცნობ გოგოს რომ ნახავ ერთსა და იმავე სუპერმარკეტში ყოველ დილას, ახალი კაბით, ახალი ვარცხნილობით, მაგრამ იმავე თვალებით და კოპწიაობით.

მისი მინიატურები ბევრს აძლევს საშუალებას, ჩაიხედოს სარკეში და დაინახოს საკუთარი თავი. და, აგრეთვე, ხშირად აცდუნებს კრიტიკოსებს, მოიჭრან თავები».

რას ფიქრობ კრიტიკაზე?

ამელი: ახალს და საინტერესოს ვერაფერს ვიტყვი, უბრალოდ, ათასჯერ ნათქვამს გავიმეორებ, რომ კრიტიკა ისევე, როგორც ყველა შემოქმედს, მეც მჭირდება. სამწუხაროდ, პროფესიონალური კრიტიკა იშვიათად მომისმენია ჩემს ნაწერებზე. მასში, რომ დღეს რეალურად დგას კრიტიკის პრობლემა, მგონი, ეჭვი არავის ეპარება. თუმცა, არ შემიძლია, არ აღვნიშნო რამდენიმე ხნის წინ «ჩვენი მწერლობის» რედაქციაში გამართული განხილვა, რომელიც ჩემი მინიატურების კრებულს «ქალთარაფერას» მიეძღვნა. რატომღაც მეგონა, რომ უფრო მძაფრი და ნეგატიური შეფასებები იქნებოდა, მაგრამ რეალურად საპირისპიროდ განვითარდა მოვლენები; თუმცა, რა თქმა უნდა, იყო შენიშვნებიც და, ვფიქრობ, სამართლიანი.

ებლიტფო: კრიტიკას ყოველთვის ერთნაირად აღიქვამდი?

წერა რომ დავიწყე, მაშინ კრიტიკა გულზე მხვდებოდა და მერე დიდხანს ვდარდობდი. ახლა კი კრიტიკას ვიღებ ისე, როგორც საჭიროა. არ შეიძლება, ადამიანს გუნდრუკი უკმიო და დათვური სამსახური გაუწიო _ ეს რა კარგად წერო. კრიტიკა ადამიანებისათვის, რომლებიც წერენ, ჰაერივით საჭიროა.

ებლიტფო: შენ დოკუმენტურ პროზას წერ. როცა მაკა ლდოკენენთან ინტერვიუ ჩაწერე, ასეთი ფრაზა თქვი: «ეგეთი უბედურება მეც მჭირს»... აქ სიტყვა «უბედურება», ალბათ, ბრჭყალებში უნდა იყოს, ხომ?

ამელი: ჰო, რა თქმა უნდა, სიტყვა უბედურება ბრჭყალებში უნდა იყოს. ეს, უბრალოდ, იმიტომ ვახსენე, რომ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჩემს მეუღლეს არ მოსწონდა, რომ ასე ღიად ვწერდი ჩვენი ცხოვრების შესახებ. რაც უნდა გენიალური მწერალი იყო, ალბათ, საკუთარი თავიდან ბოლომდე ვერ გახვალ. მიუხედავად იმისა, რომ წარმოსახვის უნარი ნორმალურად მაქვს განვითარებული, სადაც უნდა წავიდ-წამოვიდე, მაინც ჩემ გარშემო ვტრიალებ. ეს შეიძლება მინუსია, არ ვიცი... თუმცა, ახლა უფრო ფანტასტიკური ჟანრისკენ გადავინაცვლე. თითქოს დოკუმენტური პროზის ციკლი დავასრულე. ასე რატომ მოხდა, ჯერ არ ვიცი, მაგრამ ამ ფანტასტიკაშიც ერთ ფრაზას მაინც საკუთარი ცხოვრებიდან ვურევ.

ებლიტფო: მოდი, ორ კითხვას გავაერთიანებ: შენ ახსენე ერთ-ერთი ლიტერატურული საღამო, მაგრამ არაფერი გითქვამს პირველ საღამოზე და ასევე არაფერი გითქვამს «ქალთარაფერაზე», როგორც სიტყვაზე და როგორც წიგნზე...

ამელი: პირველი საღამო 2006 წლის 20 სექტემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა. ჩემთვის მოულოდნელი იყო ამ საღამოს შემოთავაზება. მახსოვს, წინა ღამეს ბევრი ვინერვიულე, ნეტა ვინ უნდა მოვიდეს, ვინ მიცნობს-მეთქი? არ მინდოდა, ცარიელ დარბაზში გამეფანტა ჩემი მინიატურები, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად,

იმდენი ხალხი მოვიდა, რომ დარბაზში ტევა არ იყო. მიხარია, რომ ის დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

ებლიტფო: კარგად მახსოვს ის საღამო. თუმცა ერთი რიტუალი არ შეგისრულებია, რადგან მაშინ შთაბეჭდილებების წიგნი არ გვქონდა...

ამელი: ახლა შევასრულებ.

რაც შეეხება «ქალთარაფერას», ეს სიტყვა ქალის არამსგავსს ნიშნავს, ქალს, რომელსაც არაფერი გამოსდის. ადრე ამ სიტყვას დედაჩემი მეძახდა, ახლა კი ქმარი (დიდი იმედი მაქვს, რომ ხუმრობით). ეს მთიულური სიტყვაა. წიგნს ეს სათაური ერთი მიზეზით დავარქვი: მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მინიატურები ქალურია, მათში მაინც სულ საკუთარი თავის დაცინვა თუ სარკაზმი იკითხება. ადრე ვისაც ჩემი მინიატურები წაკითხული ჰქონდა და არ მიცნობდა, ყველას მახინჯი, ფიზიკური ნაკლოვანებების მქონე ადამიანი და გაუთხოვარი შინაბერა ვეგონე. ალბათ, ამიტომაც დავარქვი წიგნს «ქალთარაფერა».

ებლიტფო: მოდი, ახლა პენ-მარათონზეც ვისაუბროთ...

ამელი: ყოველთვის კარგად მომაგონდება პენ-მარათონიცა და წინანდალიც. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ორმოცდაორი საათი არ მიძინია, ამ დაღლილობას მაინც გავუძელი და დავწერე, მგონი, არც თუ ისე ცუდი ზღაპარი. გული დამწყდა, ათეულს მიღმა რომ აღმოვჩნდი, მაგრამ რას ვიზამ, ასეც ხდება ხოლმე. დავწერე ის, რაც მინდოდა, რომ დამეწერა. მიმაჩნია, რომ ზღაპარი «შავი კვერცხი» არ არის ტრადიციული, თუმცა, ჩემს შვილს ძალიან მოსწონს და ხშირად ვუკითხავ კიდეც.

ებლიტფო: ორ ლიტერატურულ საიტზე გამოაქვეყნე «წინანდლური რეპორტაჟიც»...

ამელი: რაც შეეხება რეპორტაჟს, ეს იყო წმინდა ჟურნალისტური «გამოხდომა» და მეტი არაფერი. «24 საათში», «რეზონანსში» და კიდევ სხვა ჟურნალ-გაზეთებში მრავლად დაიბეჭდა რეპორტაჟები წინანდლიდან და გადავწყვიტე, მეც დამეწერა რეპორტაჟი, ოღონდ ვირტუალური სივრცისათვის. გაზეთისთვის ან ჟურნალისთვის, ალბათ, გაცილებით სხვანაირ რეპორტაჟს დავწერდი, მაგრამ, ვფიქრობ, ვირტუალური სივრცის მომხმარებლებამდე იქაური დადებითი ემოცია კარგად გადმოვიტანე.

ებლიტფო: ამელი, განყოფილებაში, რომელიც ადმინისტრირებას უწევს ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმს, «ებლიტფოს», სამი პროფესიონალი ჟურნალისტი მუშაობს. არ მინდა, გვარები ჩამოვთვალო, სამივეს იცნობ, როგორც ჟურნალისტებს, მაგრამ დღევანდელი ინტერვიუ ყველაზე არაპროფესიონალმა ჟურნალისტმა თანამშრომელმა ჩამოგართვა. მისთვის ეს ინტერვიუ პირველი და, ალბათ, უკანასკნელიცაა. ამიტომ მითხარი, არის ისეთი კითხვა, რომელიც უნდა დაესვა პროფესიონალ ჟურნალისტს და რომელიც არ დავსვი?

ამელი: არ ვიცი, იქნებ ეს: მომავალში პოეზიისკენ ხომ არ გადაიხრებოდი?

ებლიტფო: ამ კითხვას ვერ დავსვამდი, რადგან შენს შემოქმედებას ძალიან კარგად ვიცნობ და ამ კითხვის პასუხი ვიცი. თუმცა, შეგიძლია ამ კითხვას უპასუხო.

ამელი: შოთა იათაშვილს ჩემს მინიატურებზე ჰქონდა გამოხმაურება, რომელიც შარშან «ჩვენს მწერლობაში» დაიბეჭდა. მან თავის გამოხმაურებაში აღნიშნა, რომ მომავალში შეიძლებოდა, მე პოეზიისკენ წავსულიყავი, მაგრამ ვიცი, რომ ეს არასდროს მოხდება. ჩვენ ძალიან ძლიერი თანამედროვე ქალი პოეტები გვყავს, მათ შორის, ჩემი უახლოესი მეგობრები. ისინი ძალიან კარგად აკეთებენ ამ საქმეს. მე, უბრალოდ, პოეტურ პროზას დავწერ.

ებლიტფო: ამელი, შენ ჩვენს ფორუმზე თერთმეტი ინტერვიუ გააკეთე. ინტერვიუებში სხვადასხვა კითხვები, პასუხები, ადამიანებია, მაგრამ ამ ინტერვიუებს ერთი საერთო ნიშანი

აქვთ _ პროფესიონალი ჟურნალისტის უნიკალური სათაურები. მე თავს ვერ მივცემ იმის უფლებას, რომ ჩვენს საუბარს თვითონ გავუკეთო სათაური. ამიტომ გთხოვ, დაასათაურე ეს ინტერვიუ...

ამელი: ვერ დავასათაურებ, ეს არ გამომივა. გაგიმხელ «ებლიტფოს» ინტერვიუების საყვარელ სათაურებსაც: ირმა ტაველიძესთან ინტერვიუ სახელით «ჟე ტ' ემ» და მაკა ლდოკონენთან ინტერვიუ «ასოცდაშვიდწუთიანი ამბავი». მე ყველანაირ სათაურს მივიღებ, თუნდაც მხოლოდ «ნ. თ.»-ს _ ჩემს ინიციალებს.

ებლიტფო: მე ინტერვიუს შენი წინანდლური რეპორტაჟის ერთ-ერთი ფრაზით დავამთავრებ: «ინტერვიუმ კარგად ჩაიარა, ამიტომ ჟურნალისტიცა და რესპოდენტიც კმაყოფილები არიან». თანახმა ხარ, ასე დავამთავროთ?

ამელი: თანხმა ვარ. შენც რომ ჟურნალისტი ყოფილიყავი, შეიძლებოდა, ასეთი ინტერვიუ არ გამოგვსვლოდა.

სტუმრად ამელისთან

მეაკვნის მეზობელი ნატო

ინტერვიუ ნატო ინგოროყვასთან

ამელი: ნატო, თუ უთქვამს დედას, შენ რომ დაიბადე, როგორი ამინდი ყოფილა მაკვანეთში?...

ნატო: დილის ექვს საათზე დავბადებულვარ, აპრილის ცხრაში. მზე დანთებულა «აკვანეთში», ამელი. ამიტომ გამომყვა ამომავალი მზისფერი. ასე ერქვა ჟამთაცვლამდე ჩემს სოფელს. მეაკვნეები ცხოვრობდნენ და იმიტომ. მე მახსოვს უკანასკნელი მეაკვნე.

ამელი: იქნებ სულ ორი სიტყვით მოჰყვე, როგორი იყო ის უკანასკნელი მეაკვნე, და შენ თუ წოლილხარ აკვანში?...

ნატო: უკანასკნელი მეაკვნე ივანე გოლიაძე იყო. ცნობილი მომღერალი და თოვლივით ქათქათა მოხუცი. ჩემს მეზობლად ცხოვრობდა. მეც აკვანში გავიზარდე, არტახებში გაკრული. ის აკვანი ახლა მაკვანეთშია. როცა ჩავდივარ, სულ ვნახულობ და ვარწევ.

ამელი: როგორია შენი ოთახი?...

ნატო: პატარა და მყუდრო. ჰო, ხისაა კედლები და მახსოვს, ძილის წინ კედლებზე და ჭერში ხის დამუშავებულ კოჯრებს ვითვლიდი. სულ მერეოდა. სავსეა წიგნებით და ძველი ჟურნალ-გაზეთებით. იატაკიდან ჭერამდე. სახლი ისეა ნაგები, ყველა ოთახში ბუხარია, და მიყვარს შეშის სუნი და ტკაცუნი. ვკითხულობდი და ვწერდი. ბავშვობის სათამაშოებიც გადაურჩა ჩემს ანც ძმისშვილებს, და შემოსკუპებული არიან კარადის თავზე, მელიან დედის თვალებივით.

ამელი: რომელი იყო შენი საყვარელი სათამაშო?...

ვის უნახავ სათამაშოებს?...

ნატო: ერთი ნაცრისფერი დათუნია ამოვიჩემე. საწყალი დაბრტყელდა და თვალიც დაუზიანდა. ვათრევდი ყველგან. ჩემთან იძინებდა. მახსოვს, სილისა და ბალახისგან «ვუხარშავდი» საჭმელს და ვაჭმევდი. ითხუპნებოდა და ვუჯავრდებოდი სიყვარულით. ჯერ არ ვიცოდი თაფლი, რომ უყვარდა, თორემ მოთხუპნა მერე გენახა. ვის ვუნახავ? ალბათ, ჩემს ბავშვობას.

ამელი: რატომ და როდის დაიწყე წერა?...

ნატო: რატომ? როცა დავიწყე, ამაზე პასუხი არ მქონდა. გულწრფელად რომ გითხრა, ახლაც არ ვიცი ბოლომდე. ჩაკეტილი და ჩუმი ვიყავი. არადა მინდოდა, მომეყოლა ჩემი ფიქრები.

რაღაც ხომ შენზე მეტი ხდება და გინდა გამოუშვა. დავიწყე 14 წლისამ. ვწერდი მინიატურებად, ლექსებად, მოთხრობებად და ვუყვებოდი საკუთარ თავს. პირველი ლექსი 33 წლისამ დავბეჭდე. ისეთი გრძნობა მქონდა, მეგონა, შიშველი დავდიოდი.

ამელი: ვის უკითხავდი შენს ნაწერებს?...

ნატო: არავის, სულ არავის. მშობლებმა და ნათესავებმა ახლახან გაიგეს, რომ ვწერ. მეგობრებმა იცოდნენ. ზოგჯერ წავიკითხავდი ისე, ჩუმად (ხმამაღლა) და ვამბობდი, ავტორი არ მახსოვს-მეთქი, იმდენ რამეს ვკითხულობდი მაშინ (ახლა ვეღარ). მეგონა, ეს მხოლოდ ჩემი თავშესაქცევი თუ თავშესაფარი იყო და მორჩა... დრომ და განწყობამ მოიტანა. სხვებისთვისაც გამენდო და ახლა არის რამდენიმე ადამიანი, ვინც მინდა, რომ წაიკითხოს და ვაკითხებ.

ამელი: და თუ საიდუმლო არ არის, ვის აზრს ენდობი ყველაზე მეტად და საინტერესოა, კრიტიკას როგორ ღებულობ? ცოტათი მაინც არ გწყდება გული?..

ნატო: იცი, შენი ნაწერი შენ ხარ... ჩემთან ასეა. რასაც ვწერ მე ვარ... როცა ვიღაც გეტყვის, არ ვარგიხარო, არ არის მთლად საამოდ მოსასმენი. არც ის სიმართლე მხიბლავს, კარგი ხარ, რომ არ კოჭლობდეო. საჭირო სიტყვა საჭირო ადგილას თუ ვერ დავდე და ვერც ახალი ვთქვი რაიმე და მიმინიშნებენ, არ მწყინს. ვუსმენ და თუ ვეზიარები, ვიზიარებ. ჰო, ვინ მეუბნება, ესეც არაა მეორეხარისხოვანი.

ნდობა ბრმაა, ამელი, არის ადამიანი, ვისაც ბრმად ვენდობი/.

ამელი: რაიმე განსაკუთრებული გარემო ან ატმოსფერო თუ გჭირდება იმისათვის, რომ წერო?...

ნატო: გარემო იმისთვის, რომ ვწერო, მაქვს. განებივრებული ვარ მარტოობით. განწყობა კი მჭირდება. ხან გამოცდილებაც მიგროვდება, მიგროვდება და მერე ჩიყვივით მადგება ყელზე. რომ არ გამოვუშვა, დამახრჩობს.

ამელი: და იმის შიში თუ გიჩნდება, რომ შეიძლება დადგეს დღე, როცა ვეღარ დაწერ?...

ნატო: იმის უფრო მეშინია, ის არ დავკარგო, რაც და ვინც მაწერინებს.

ამელი: შეიძლება, ძალიან პირადულს ვეხები, მაგრამ მივხვდი, რომ მარტოობა გაწერინებს, და ვინ გაწერინებს, ეს კი არ ვიცი. თუ არ გინდა, ნუ მიპასუხებ...

ნატო: მარტოობა ხელს გიწყობს. რაღაც დრო შეიძლება დარჩე ასე. სულ, სულ არა! ერთად ყოფნა ჯობია. მარტო დარჩენა ყოველთვის შეიძლება. ჩემს მარტოობაში ჩემი ბათუმში მარტო ცხოვრებაც დევს...

მთავარია, ის არსებობს...

ამელი: შენი ლექსებიდან ან თარგმანებიდან რომელიმე განსაკუთრებულად თუ გიყვარს და რატომ?...

ნატო: რილკე მიყვარს. სისხლში მაქვს უკვე. ვერ გამოვარჩევ რომელიმეს თითქოს. თითოეულმა მათგანმა ჩემში გაიარა და ჩემებურად აქართულდა. თუმცა «დუინური ელეგიები» და «ბრმა» რაღაცნაირად შემეყარა. ისეთი სამყარო მაჩუქა, ისეთი... ჩემი ლექსებიდან? სიყვარულით ყველა მიყვარს, შვილებივითაა. მომწონს ცოტა, ძალიან ცოტა.

ამელი: დაგიწერია რამე და მერე გადაგიგდია?...

ნატო: კი, გადამიგდია. ახლა აღარ ვაგდებ. რაღაც დამნაშავის გრძნობა მაქვს მათთან. დედა რომ ხეიბარ შვილზე უარს იტყვის, ისეთი...

ამელი: თავისუფალ დროს როგორ ატარებ?...

ნატო: ხან ჩემთვის ვარ. მიყვარს ჩემთვის ყოფნა, წიგნებთან და ნაწერებთან. მეგობრები, მადლობა უფალს, განებივრებული ვარ. ასე მგონია, ამ ქვეყნად ყველაზე საუკეთესო ადამიანებმა ჩემს ცხოვრებაში დაიდეს ბინა და ვმეგობრობთ მუსიკა, რომელსაც ვუსმენ. სიმღერა სიმღერაში ჩემთვის ნინო ქათამაძეა.

ამელი: როგორც მითხარი, შენ და ნინო ქათამაძე ახლო მეგობრები ხართ. ერთად თუ გიმღერიათ?...

ნატო: კონცერტების მერე კი ქუჩაში ერთად გვიგიჟია და გვიმღერია. მე რომ ვმღერი, იმას სიმღერა თუ ჰქვია, თან ნინოსთან ერთად სულ ვმღერით. მე ტექსტებს ვკარნახობ, ის ღიღინებს და ასე.

ამელი: ისე, ცუდი იდეა არაა, და შემთხვევით შენს ტექსტებზე ხომ არ შეუქმნია ნინოს სიმღერა?...

ნატო: გავიპრანჭები ახლა ცოტას: კი, კი.

ამელი: იცოდე, ვერ გაპატიებ, თუ არ მეტყვი, რომელი სიმღერაა...

ნატო: იცი, ამელი, როგორ ხდება: ჩვენ ერთად ვისვრით სიტყვებს და მელოდიას ნინო დებს. თითქმის ყველა სიმღერა ქათამაძისა, რომელშიც ტექსტი იკითხება და გესმის, ასე დაიწერა. მისი, თამუნა ხოშტარიასი და ჩემი თანამონაწილეობით. სულ ბოლო კონცერტზე თეატრალურ სარდაფში, ამ ბოლოს, კონცერტამდე რამდენიმე საათით ადრე დავამატეთ «ქუჩაში ერთხელ» ლოცვა და ძალიან მოუხდა. ნანცეცუნა უსმენდა ამ კონცერტს და ემახსოვრება, ჩემგან გამხელილ სტრიქონებს როგორ ღიღინებდა.

ამელი: და ბარემ აქვე ინტერვიუს ბოლოსკენ:

შენი საყვარელი ფერი და საყვარელი სეზონი

და ერთიც აი ახლა, ამ წუთას, ყოველგვარი ფიქრის გარეშე: რას ინატრებდი...

ნატო: ფერი _ იისფერი.

ყველა სეზონი თავისებურად. ალბათ, გაზაფხული მაინც.

რასაც ყოველგვარი ფიქრის გარეშე ყოველთვის ვნატრობ, ვერ ავახმამაღლებ: ამ წუთის საფიქრალიც მისი ფერისაა.

კარდუ დაბერდება...

ინტერვიუ გიგა ნასარიძესთან

ამელი: მითხარი, რატომ დაირქვი კარდუ?

კარდუ: «ნიკს» აბსოლუტურად არალიტერატურული ისტორია აქვს, უფრო პოლიტიკური. ადრე ჩემი ინტერნეტთან ურთიერთობა რუსულენოვანი პოლიტიკური ფორუმებით დაიწყო. თავიდან ძირითადად ვკითხულობდი, რას წერდნენ, და მერე პასუხის გაუცემლობა რომ შეუძლებელი გახდა, მომინდა დარეგისტრირება, თან ისეთი «ნიკით», რომ ძალიან ქართული ყოფილიყო (საინტერესო სიტყვათშეთანხმებაა «ძალიან ქართული» და თან არც ბანალური. მაგ., კოლხი, იბერი და მსგავსი). ამიტომაც «კარდუ» ავირჩიე. თუ ვინმეს აინტერესებს, თვითონ სიტყვა «კარდუს» მნიშვნელობასაც მოვუყვები.

ამელი: სიტყვა «კარდუს» მნიშვნელობაც გვაინტერესებს, აბა რა...

კარდუ: ბევრმა იცის კიდეც, მგონი, გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის ეს იდეა (მაინც ყოფილა ლიტერატურასთან კავშირში). კარდუ ძველთაძველი ქართული სახელმწიფო წარმონაქმნი ყოფილა, მეტიც, სიტყვა «ქართველიც» აქედან მოდისო:

კარდუ_>ქართუ_ქართუელი_ქართველი, რაღაც დაახლოებით ასეთი. ენათმეცნიერი არ ვარ, სამწუხაროდ.

ამელი: შენს ბავშვობაზე მოგვიყევი: სად დაიბადე, როგორი ბავშვი იყავი _ ცელქი, ჭკვიანი, მორცხვი, კომუნიკაბელური _ მოკლედ, ყველაფერი...

კარდუ: დავიბადე თბილისში. ოჯახში პირველი ვიყავი, რომელიც თბილისში დავიბადე, ანუ პირველი თაობის თბილისელი ვარ. რაც შეეხება, როგორი ბავშვი ვიყავი _ ძალიან მორცხვი, მორიდებული, უთქმელი, უსიტყვო და ასე შემდეგ. სიმართლე ითქვას, დიდად არც შევცვლილვარ მას შემდეგ. არ ვიცი, რით იყო ეს გამოწვეული, შეიძლება იმით, რომ ბავშვობაში ბევრი ოპერაცია და მსგავსი უსიამოვნო რაღაცეები გადავიტანე და მშობლები არც ბაღში და სპორტის არც ერთ სახეობაზე არ მატარებდნენ და აქტიურ თამაშებსაც მიკრძალავდნენ. ცოტა რომ წამოვიზარდე, მერე გავცელქდი საკუთარი ინიციატივით, ისე გავცელქდი რა, სკოლიდან თუ გავიპარებოდი ხოლმე, მაშინ ჯერ კიდევ ახლად გახსნილი ვიდეოსალონების მოსანახულებლად და ჰოლივუდს საზიარებლად.

ამელი: და გაიხსენე შენი პირველი ჰოლივუდური აღტაცება... რომელმა ფილმმა მოგხიბლა ყველაზე მეტად?

კარდუ: ფილმებთან ჩემი საკუთარი დამოკიდებულება მაქვს. ვთვლი, რომ ფილმები იმისთვის იქმნება, რომ ადამიანი გაერთოს და არა ბევრი იფიქროს, ამიტომ ჩემი პირველი აღფრთოვანება ჰოლივუდით (პრინციპში, ჰოლივუდიც კი არ ყოფილა ის) ძალიან პატარაობაში იყო. ფილმი ე.წ. კუნგ ფუზე, და რადგან მაშინ ყველა ფილმს რუსული სახელით მოიხსენიებდნენ, მეც ასე დავწერ: «უხოძიტ დრაკონ, პრიხოძიტ წიგრ», სიუჟეტიც საინტერესო ჰქონდა _ ბრიუს ლის მკვლელობას იძიებდა მისი მოსწავლე თუ ვიღაც ეგეთი, ნუ მოკლედ, მეორე ჩინელი.

ამელი: ოოო, როგორც ჩანს, საკმაოდ მძიმე სიუჟეტი იქნებოდა...

და როდის აღმოაჩინე, რომ თურმე არცთუ ისე ცუდი იუმორის გრძნობა გქონდა? თუ არ ვცდები, ეს უნივერსიტეტის წლებს უნდა უკავშირდებოდეს. და მოკლედ, მოგვიყევი შენი სტუდენტობის შესახებ. ყველაზე სასიამოვნო და საინტერესო პერიოდები გაიხსენე, თორემ მთელ სტუდენტობას რა გაიხსენებს... ანუ, ყველაზე კარგად რა გაგონდება?...

კარდუ: კი, კი, სტუდენტობისას იყო, როცა აღმოვაჩინე, რომ შემიძლია ისეთი რაღაცის მოფიქრება, რაზეც ხალხი იცინის, თუმცა აქამდეც დიდხანს მივდიოდი. უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე «კა ვე ენის» გუნდი კეთდებაო, მითხრეს და მეც მოვინდომე მონაწილეობის მიღება. რომ მივედი, გუნდი თითქმის დაკომპლექტებული იყო და კაცმა, რომელიც გუნდის მოსამზადებლად მოეწვიათ, მკითხა, სიმღერა თუ იციო. იმდენად მინდოდა ამ გუნდში მოხვედრა, უსინდისოდ ვიცრუე _ კი, როგორ არა-მეთქი, და ამიყვანეს. მერე იმ გუნდს არც უთამაშია, ისე დაიშალა. მერე ახალი შევქმენით მე და ჩემმა მეგობარმა და სადღაც მესამე სეზონზე დავიწყეთ დამოუკიდებლად ხუმრობების მოგონება. რაც შეეხება ჩემს სტუდენტობას, ის სულ სამ წელიწადს გაგრძელდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, სრული ათი წელი მაქვს თითქმის ყოველი დღე უნივერსიტეტში გატარებული, და ყველაზე სასიამოვნო იყო, სადღაც ასე, თორმეტი საათისთვის რომ მივიდოდი უნივერსიტეტის ბაღში. გავივლიდი და თითქმის ყველას რომ ვესალმებოდი ხოლმე, ვინც კი გზაზე შემხვდებოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ პირველ სექტემბერს საშინელ რაღაცას მივხვდი, ვიდექი პირველი კორპუსის წინ და პირველკურსელ, რა დასამალია და, გოგონებს ვათვალიერებდი, და უცებ მივხვდი, რომ მე რომ პირველ კურსზე ვიყავი, ეს გოგონები პირველკლასელები იყვნენ. სიმართლე გითხრათ, შემეშინდა, და იმ დღიდან სულ უფრო იშვიათად მივდიოდი ხოლმე უნივერსიტეტში, ეტყობა, დავბერდი.

ამელი: აჰა, გოგონებსაც მივადექით, ღმერთო, არ დამსაჯო ასეთი არალიტერატურული ინტერვიუსათვის, მაგრამ, ლიტერატურასაც მივხედავთ: შენი პირველი შეყვარებული თუ გახსოვს, და სიყვარულის ახსნის რაიმე განსაკუთრებული და ორიგინალური მეთოდისთვის ხომ არ მიგიმართავს?... აუფ, რა რთულად ჩამოვაყალიბე ეს კითხვა...

კარდუ: კი, როგორ არ მახსოვს. შეყვარებული ძნელად თუ ეთქმოდა იმას. მე ცამეტი წლის ვიყავი და ჩემი პარალელური კლასელი მიყვარდა, მიყვარდა ცალმხრივად, რადგან არც კი წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა იმ გოგოსთან მისვლა და გამოლაპარაკებაც კი. ამ სიყვარულში ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ მე და ჩემს უახლოეს მეგობარს ერთდროულად გვიყვარდა ის გოგო, თან ვითარებას ისიც ართულებდა, რომ ჩემი მეგობარი იცნობდა მას, მე კი არა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ის ჩემი მეგობარი სულ მეხვეწებოდა, წამო, გაგაცნობო, ძალითაც მიმათრევდა (ჩემზე ღონიერი იყო), მაგრამ გავუძალიანდი. მერე დუელიც გვქონდა მე და ჩემს მეგობარს მაგ გოგოს გულისთვის, ვიშოვეთ პლასტმასის დაშნები და ვფარიკაობდით, ვინ მეტ დარტყმას მიაყენებდა მეორეს. ყველაფერი წესების დაცვით იყო _ თავისი მსაჯით, სეკუნდანტებით და ა.შ. როგორ დასრულდა შერკინება, არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს, ბოლოს შევთანხმდით, ჩვენ რას ვწყვეტთ, გოგომ თავად აირჩიოსო. რა ვიცი, მგონი, სრულად გავეცი კითხვას პასუხი.

ამელი: ჰო, სიყვარულის ახსნის მეთოდზე არ გილაპარაკია, ჰოდა, მაშინ ამ კითხვაში მიპასუხე ამაზე: შენი მეუღლე როგორ მოხიბლე... და აქვე, შენი შვილები გაგვაცანი...

კარდუ: წარმოდგენა არ მაქვს, როგორ მოვხიბლე, მართლა ვერაფრით ვხვდები, ქალი რომ ვყოფილიყავი, რით შეიძლებოდა ჩემს თავს მე მოვეხიბლე, მაგრამ ეტყობა, რაღაც ფარული შარმი მაქვს. რაც შეეხება ბავშვებს, უფროსი ნიკოლოზ ნასარიძე ოთხი წლისაა. ერთხელ ვიღაცამ ნიკა თუ ნიკუშა დაუძახა, და _ არა, მე ნიკოლოზი მქვიაო, შეუსწორა, მეორე კიდე ლუკა, სამი წლის ხდება თოთხმეტ ივლისს, გაუტეხელი ადამიანია _ თუ რამის გაკეთება არ უნდა, ვერაფრით გააკეთებინებ, რა მეთოდითაც გინდა სცადე მისი დასჯა ან მოქრთამვა.

ამელი: ძნელია მამობა? როგორ შეეგუე ამ მეტად საპასუხიმგებლო «ტიტულს»?

კარდუ: ძნელია, ძნელია, ოღონდ კარგი მამობაა ძნელი, თორემ ჩემნაირი სახლში რომ არასოდეს ვარ და ბავშვებს რომ მხოლოდ დილით ათი წუთით ვხედავ ხოლმე, არაა ძნელი, ჯერ კიდევ ვეგუები.

ამელი: ეჰ, ვერ ყოფილხარ კარგი მამა, კარდუ, ვერა...

სამაგიეროდ, ტელევიზორში ხომ გხედავენ ხშირად... შენი სამსახურის შესახებაც გვიამბე... რას ნიშნავს შენთვის ტელევიზია და საერთოდ, რამდენად საინტერესო საქმეს ემსახურები?...

კარდუ: ტელევიზია ზოგადად არ ვიცი, ჩემი საქმიანობა კი საინტერესოდ მეჩვენება. მართლა ძალიან საინტერესოა, წერო და აკეთო რაღაცეები, რითაც თუნდაც რამდენიმე ადამიანს აიძულებ რაღაც, თუნდაც უმნიშვნელო საქმეს მოწყდეს და ტელევიზორს მიუჯდეს. შეიძლება ეს ძალაუფლების რაღაცნაირი განცდაც არის, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, საინტერესო სამუშაოა, შეიძლება ითქვას, ტელევიზიაში ჩემი საქმიანობა ჩემი საყვარელი საქმეა ამ ეტაპზე.

ამელი: კარდუ, თავმდაბლობა არ დაიწყო და პირდაპირ მითხარი, ძნელია პოპულარობა?

კარდუ: კიიი... საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვეღარ ვმგზავრობ, «მარშუტკაში» არ ჩავმჯდარვარ რამდენი ხანია და მეტროში ვერ ჩავსულვარ, არადა, ორივე მოსახერხებელი და იაფი ტრანსპორტია, თუმცა არავინ თქვას, რომ პოპულარობა სასიამოვნო არ არის, ან თქვას, მაგრამ ტყუილად ჩავუთვლი. საკმარისად არათავმდაბალი ვიყავი?

ამელი: ასეთი გულახდილი პასუხი პოპულარობაზე არასდროს მომისმენია... მაგარი ხარ...

და მოდი, ახლა ლიტერატურას მივადგეთ. როდის და რატომ დაიწყე წერა?...

კარდუ: ჰოო, ამასაც საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ჩემმა მეგობარმა შემომთავაზა, მოდი, მუსიკალური ჯგუფი გავაკეთოთო. მე დავთანხმდი, და რადგან არც მუსიკის შექმნა შემეძლო, არც სიმღერა და არც დაკვრა, ჩემს თავზე ტექსტების წერა ავიღე. პირველი სიმღერის ტექსტი რომ დავწერე. მერე ჩავთვალე, რომ ძალიან მარტივი ყოფილა-მეთქი სტრიქონების რითმვა და დავიწყე ძალიან ცუდი ლექსების წერა. დიახ, დიახ, მეც კი ვწერდი ლექსებს. მერე ერთერთი უსაქმურობისას, რაღაც უცნაური სიუჟეტი მომაფიქრდა, მოთხრობისათვის დავწერე, მერე კიდე დავწერე, კიდევ და კიდევ, მერე ექსპერიმენტებსაც მივმართე ტექსტებში. მქონდა ერთი შავყდიანი რვეული, სადაც ვწერდი ამ ლექსებს, მოთხრობებს, სიმღერის ტექსტებს და ყოვლად უაზრო ჩანაწერებს. ბოლოს მივხვდი, რომ უაზრობა იყო ეს ყველაფერი და შევწყვიტე... ამ ორიოდე წლის წინ კი რამდენიმე ძველი მოფიქრებული სიუჟეტი გამახსენდა და გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ მეცადა წერა, და ასე დაიწყო ჩემი «მწერლობის» მეორე წრე.

ამელი: და საინტერესოა, რამდენად ხშირად მოდის თავში ორიგინალური იდეები ორიგინალური მოთხრობებისთვის?...

კარდუ: საკმაოდ ხშირად, თუმცა, უმრავლესობის ქაღალდზე გადმოტანის ნიჭი არ მაქვს. რაზეც მყოფნის ნიჭი, ასე, თვეში ერთხელ შემიძლია ახალი მოთხრობის წერა დავიწყო, თუ არ დამეზარა.

ამელი: ე.ი. ზარმაცობ კიდეც...

რომელია შენი საყვარელი მოთხრობა? (საკუთარს ვგულისხმობ)...

კარდუ: მე? მე ალბათ, ყველაზე ზარმაცი ადამიანი ვარ მსოფლიოში.

«უხაროდა», ალბათ, მაგრამ ახლებიდან «ამანდა კლარა ბოილის იდუმალი მკვლელობაც» მომწონს, «იუმორისტის სიკვდილიც»... რა ვიცი.

ამელი: მოდი, ვიბლიცინტერვიუროთ:

რაზე ბრაზობ ხოლმე?

კარდუ: როცა დიდი ხნის განმავლობაში არ ესმით ჩემი ახსნილი, ან როცა გულწრფელი ვარ და არ სჯერათ.

ამელი: საყვარელი მწერალი?

კარდუ: არ მყავს, უფრო სწორად, ბევრი მიყვარს, დაწყებული აგათა კრისტიდან და არტურ კონან დოილიდან, გაგრძელებული ასტრიდ ლინდგრენით და კიდევ გაგრძელებული რობერტ ლუის სტივენსონით, ჟიულ ვერნით და დასრულებული აკუტაგავათი და კორტასარით, თუმცა, ნებისმიერ მომენტში შეიძლება ეს გვარები ჩანაცვლდეს სხვა გვარებით. უი, აკა გამომრჩა, მორჩილაძე.

ძალიან გრძელი პასუხი გამომივიდა ბლიცინტერვიუსთვის.

ამელი: ეგ არაფერი მზე უფრო გიყვარს თუ მთვარე?...

კარდუ: მზე მზე მზე!!!!!!!!!!!!! თუმცა, ადრე, მგონი, ღამის ფრინველი ვიყავი.

ამელი: და ბოლოს,

როდის დაბერდები?...

კარდუ: არ მინდა!!! არასოდეს არ მინდა, მაგრამ, იმედია, მხოლოდ სიკვდილის წინ.

«ჟე ტ'ემ»

ინტერვიუ ირმა ტაველიძესთან

ამელი: ირმა, გინდა იქით მოვედო, გინდა აქეთ, მაინც ვერსად გავექცევი შენს ბავშვობას. ან რატომ უნდა გავექცე?.. მომიყევი შენს ბავშვობაზე _ როდის დაიბადე, სად დაიბადე და ჩვეულებრივი იყავი თუ არაჩვეულებრივი?...

ირმა: სწორედ ამას ვაკეთებ უკვე ათი წელია ან ცოტა მეტი _ ბავშვობაზე ვყვები და ბავშვობისგან გათავისუფლებას ვცდილობ. სულელური ამოცანაა.

ექვსი-შვიდი წლის რომ ვიყავი, ძალიან მინდოდა, «დიდი» ვყოფილიყავი და მკვეთრი მაკიაჟით მევლო ქუჩაში, გრძელი კაბები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ჩამეცვა და, რაც მთავარია, ეს სასაცილო არ ყოფილიყო.

ახლაც _ ხანდახან მინდა, რომ «დიდი» ვიყო _ ბუნებრივად.

და ხანდახან არ მინდა.

ამელი: ბავშვობისაგან გათავისუფლების მისია, ალბათ, წარმოუდგენელი შესასრულებელია... მოკლედ, გინდა გამოტყდე, რომ ბავშვობაში პრანჭია იყავი ... მაგრამ ჩემს კითხვას მხოლოდ ნაწილობრივ გაეცი პასუხი, ამიტომ ცუდ ჟურნალისტობაში ჩამომართმევენ, თუ არ ჩაგეკითხები: სად დაიბადე და როდის?... და გაიხსენე, თუნდაც ერთი ყველაზე ამოჩემებული თამაში...

ირმა: არა, პრანჭია კი არა, ზედმეტად სერიოზული, არაკომუნიკაბელური და, ამავე დროს, ზემგრძნობიარე ვიყავი _ როგორც გინდა, ისე წარმოიდგინე ეს ყველაფერი.

არასოდეს მითამაშია «წრეში ბურთი», ან სხვა თამაშები, რასაც ბავშვები ჩვეულებრივ თამაშობენ, და დღეს ძალიან მწყდება გული ამის გამო. იქნებ, სხვანაირი გავმხდარიყავი, უფრო მიზანმიმართული, გამბედავი, ერთი სიტყვით, უფრო მაგარი...

ამოჩემებული თამაშები მქონდა, მაგრამ ყველა ჩემი მოგონილი იყო და მოყოლა დიდ დროს წაიღებს. სხვაგან, სხვა დროს დავწერ.

და შენი კითხვის პასუხი: დავიბადე გორში, 1973 წლის 20 ოქტომბერს. ამომწურავია, არა?

ამელი: არა, არ არის ამომწურავი, თუნდაც ერთი გამოგონილი თამაშის ამბავი გთხოვე... ესეც მითხარი და გპირდები, ბავშვობას აღარ შეგახსენებ... თუმცა, უნდა გითხრა, რომ წრეში ბურთს არც მე ვთამაშობდი ერთი მარტივი მიზეზის გამო _ ბურთის მეშინოდა... ამიტომაც ვარ ასეთი სუსტი...

სისუსტე და შიში რა შუაშია? შენ ნამდვილი პრანჭია ყოფილხარ...

ჩემი თამაშები რთული თამაშები იყო, ამელი. რომანის მასალაა, აქ როგორ მოვყვე?

ამელი: კარგი, მაშინ შენი რომანისთვის შემოინახე ეს მასალები... უბრალოდ, ის მაინც მითხარი უცებ, ბევრი არ იფიქრო: რას დაარქმევ ამ რომანს?

ირმა: ათი წლის წინ ვფიქრობდი, რომ ჩემი რომანის სათაური იქნებოდა: «არასდრო».

დიდი დრო გავიდა.

ალბათ, რამე ნაკლებად პრეტენზიულს დავარქმევ.

ამელი: ორიგინალურია, ვერაფერს იტყვი... და ბარემ სიტყვამ მოიტანა _ როგორ ფიქრობ, ორიგინალური ხარ? და თუ კი, მაშინ რაში გამოიხატება ეს ორიგინალურობა?...

ირმა: რას ამბობ! ორიგინალურობა ყოველთვის მაღიზიანებს, უფრო სწორად, ორიგინალურობის მცდელობები. ვთვლი, რომ ნამდვილად არ ვარ ასეთი.

ამელი: უცნაურია, თუმცა, ყველას საკუთრი აზრი აქვს ამასთან დაკავშირებით...

და გარდა ორიგინალურობის მცდელობებისა, კიდევ რა გაღიზიანებს? რამ შეიძლება წყობიდან გამოგიყვანოს?...

ირმა: საერთოდ, ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული ვარ _ ხანდახან გამაღიზიანებლადაც კი.

მივეჩვიე, რომ სხვებისგან არაფერი მოვითხოვო, არავინ არაფერში დავავალდებულო და ადამიანებს მივცე იმის საშუალება, რომ კისერი მოიტეხონ, თუკი ეს ძალიან უნდათ.

ხანდახან საკუთარი თავი მაღიზიანებს ხოლმე _ სწორედ ეს უშფოთველობა და აუღელვებლობა.

ამელი: რა გეხმარება, იყო ასეთი გაწონასწორებული, უშფოთველი და აუღელვებელი?... იქნებ მუსიკა, იქნებ ბუნება, იქნებ რომელიმე წიგნი ან სულაც იქნებ...

ირმა: თვითგადარჩენის ინსტინქტი, რაც ყველაშია.

ამელი: მოდი, შენს პროფესიასაც მივხედოთ, ანუ სწავლა-განათლებას (უმაღლესს)... სად სწავლობდი, როგორ სწავლობდი და საერთოდ, შენ როგორ ფიქრობ, რისთვის გვჭირდება სწავლა?

ირმა: ძალიან ბევრი ვისწავლე, ზედმეტად ბევრი მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა საქმე არ მქონდა. არ ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა და დრო როგორ გამეყვანა.

ეს სკოლის წლებს არ ეხება.

სკოლაში ცუდად ვსწავლობდი, არაფრით ვიყავი გამორჩეული და არც განსაკუთრებული ინტერესები მქონდა.

უნივერსიტეტი ე.წ. «წითელ დიპლომზე» დავამთავრე სრულიად მოულოდნელად (სწორედ იმ მიზეზების გამო, რაც ზემოთ დავწერე).

ასპირანტურაში იმიტომ ჩავაბარე, რომ გორში წასვლა არ მინდოდა და რაღაც გამართლება სჭირდებოდა თბილისში ჩემს დარჩენას.

ბუდაპეშტში გამგზავრება სრული ავანტიურა იყო _ სად მე და სად პოლიტოლოგია! უბრალოდ, უცხოეთში წასვლა მინდოდა და სააპლიკაციო ფორმაც ამიტომ შევავსე.

ინგლისური შემომესწავლა.

ფრანგულის სწავლა დეპრესიის საფუძველზე დავიწყე და ესეც შემომესწავლა.

ამელი: «ზოგი ჭირი მარგებელიაო,» ზუსტად ასე დაგმართვნია.

რით მიგიწება თბილისმა ისე, რომ მშობლიურ სახლში წასვლას აქ მარტოდ ცხოვრება არჩიე?

ირმა: დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილებით, თავისუფლებით. ჰო, ისე გამოვიდა, რომ ამ შუა ქართლში რაღაც «ძაან დასავლეთევროპული» ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა მე და ჩემს მშობლებს.

შესაბამისი გართულებებით _ რაღაც დროის შემდეგ მარტოობა საშინლად შემაწუხებელია, არც სოციალური გარანტიები არსებობს და ა.შ.

ამელი: რითი აბალანსებ შენს მარტოობას?

ირმა: საქმეც ის არის, რომ არაფრით _ წერით, კითხვით, თარგმნით, სარკის წინ ტრიალით, ტელეფონზე ლაპარაკით, სერიალებით, ლიტერატურულ ფორუმზე შესვლა-გასვლით, მარტივი სადილების კეთებით... ანუ, არაფრით.

ამელი: და ყველაფრით...

შენი მწერლობის ამბავიც გვიამბე... რატომ, როგორ და საერთოდ, რას ნიშნავს შენთვის შენი ნამუშევრები _ ვგულისხმობ როგორც ორიგინალურს, ასევე თარგმანს...

ირმა: გულწრფელად გეტყვი _ თარგმნა დროის გაყვანის საშუალებაა, საინტერესო და სასიამოვნო საშუალება. ამიტომ ვთარგმნი მხოლოდ ისეთ ტექსტებს, რომლებიც მომწონს, თან ძალიან.

წერას რაც შეეხება, იმდენად ინტიმური პროცესია... არ ვიცი, რა ვთქვა...

ეს გზა რომ არ მეპოვნა, მოვკვდებოდი.

სერიოზულად, სრულიად სერიოზულად ვამბობ.

ამელი: ჰოდა, გვითხარი, როდის და როგორ იპოვე ეს გზა... ეს გრძნობა ჩემთვისაც ნაცნობია...

ირმა: 1998 წლის ზაფხულში, მანამდეც, მაგრამ მაშინ _ ერთმნიშვნელოვნად. ნევროპათოლოგმა ფსიქოტროპული საშუალება «გრანდაქსინი» დამინიშნა, რამაც დოპინგივით იმოქმედა და სერიოზულად იმ ზაფხულს დავიწყე, პატარა ტექსტებით. ჩემი მინიატურული ანტიდეპრესანტები _ გაუგებარი, უაზრო ჩანახატები, იმპრესიონისტულობის პრეტენზია რომ ჰქონდათ. მერე «ალტერნატივაში» დაიბეჭდა და 1999 წლის გაზაფხულზე თავი უკვე დიდი მწერალი მეგონა.

ამელი: მერე როგორ ჩამოფრინდი დედამიწაზე და როგორ აღმოაჩინე, რომ დიდი მწერალი არ იყავი?

ირმა: მიწაზე მაშინაც საკმაოდ მყარად ვიდექი. აი, რა მომცა ამ გამოცდილებამ _ რეალობის პირისპირ დგომა შევძელი. იმის თქმა მინდა, რომ ლიტერატურა ფრთების როლს კი არ ასრულებს, არამედ შავი მიწის, მყარი კლდეების.

ამელი: როგორ ფიქრობ, მერე შენ შეგიძლია ამ შავი მიწიდან ნამდვილი, სურნელოვანი და განსხვავებული ყვავილი ამოიყვანო?

ირმა: მიწიდან ყვავილები ბუნებრივად ამოდის.

ამელი: მაგრამ, ჩემი აზრით, გამომშრალი მიწიდან არაფერი ამოდის...

ალბათ, საყვარელი მოთხრობაც გექნება (შენს საკუთარს ვგულისხმობ)...

ირმა: გამომშრალი მიწა უფრო მყარია. ალბათ, ყველაზე მყარი და სტაბილური.

საქმეც ის არის, რომ ლოკალურად დაალბო, გაანოტივო და დანარჩენი ბუნებას მიანდო...

ჩემი საყვარელი მოთხრობა ყოველთვის იცვლება: დღეს ერთია, ხვალ _ მეორე.

«ეს საწყალი კურდღელი» _ ახლა ეს პასუხი მაქვს.

ამელი: ნაწარმოები, რომლის თარგმნაზეც ოცნებობ _ თუ არსებობს საერთოდ ასეთი ნაწარმოები...

ირმა: რა თქმა უნდა, არსებობს და ძალიან მწყდება გული, რომ ვერ ვთარგმნი: ინგებორგ ბახმანის «უნდინე მიდის».

თავიდან ბოლომდე ჩემია.

ამელი: წიგნი, რომელსაც ყველაზე ხშირად კითხულობ...

ირმა: ყველა წიგნი, რომელსაც ვკითხულობ, ერთი წიგნია.

ახლა კი, დემაგოგიის გარეშე:

ფრანგულ-ინგლისური ლექსიკონი (ყველაზე ხშირად მჭირდება).

ამელი: ყველაზე საყვარელი ფრანგული სიტყვა...

ირმა: «პლუი» (წვიმა).

ამელი: და ფრაზა?

ირმა: «ჟე ტ'ემ».

სხვათა შორის, დღეს, ვაGჟაზე, ერთ-ერთ სატრანსპორტო საშუალებას ნომრის ნაცვლად ჰქონდა მიკრული. წარმოიდგინე, წითელი მანქანა და ნომერი: «ჟე ტ'ემ». პოლიციის შენობასთან იდგა.

ამელი: ვინ შეგიყვარდება?

ირმა: ჩემი შვილი.

ბუტია

ინტერვიუ გიორგი კეკელიძესთან

ამელი: რას იტყვი, გიორგი, დავიწყოთ?
გიორგი: თქვენი ნებაა.

ამელი: არა, მარტო ჩემი ნება რომ იყოს, არაფერი გამოვიდოდა... მოკლედ, ეკა ხოფერიასდარ ჟურნალისტობას ვერ დავიკვეხნი, არც მისნაირ ლექსებს მიძღვნიან ცნობილი პოეტები, მაგრამ მაინც, არც მე ვარ ურიგო...
გიორგი, ამ ფორუმზე ცოტა გიცნობს. სხვა რესპოდენტებთან შედარებით «გაშინაურებულები» ვართ და ამიტომ ინტერვიუც მეგობრულ-ბუნებრივი გამოდის. შენთან, ალბათ, ცოტა სხვანაირად იქნება, მაგრამ, მგონი, არც ის უნდა იყოს ცუდი, რომ ამ უცნობი რესპონდენტის გაცნობა მე დამევალა და მოკლედ, გიორგი, ვინ ხარ? (რაც თავში მოგივა და როგორც მოგივა, ის დაწერე)...
გიორგი: დასაკვეხი ნამდვილად არაფერი უნდა იყოს ხსენებულ შემთხვევაში. მესაუბრეთ, როგორც შინაურს (თუ საჭიროდ ჩათვლით).
რაც შეეხება კითხვას, როგორც წესი, თავში არაფერი მოდის.
თქვენთვის საინტერესო, რა თქმა უნდა.

ამელი: უცნაურია, როგორ დავიჯერო, რომ არ იცი, ვინ ხარ, სად დაიბადე, როდის და აქამდე რამ მოგიყვანა?
გიორგი: რახან არ გჯერათ:
ქ. ოზურგეთი. 1984 წელი.
თბილისამდე? (თუ რამე სხვა აზრი ან მინიშნება დევს კითხვაში, შინაურულად დამიკონკრეტეთ).

ამელი: კარგი, მაშინ შინაურულად: როგორია გურული ბიჭის ბავშვობა...
გიორგი: ბავშვობა.
და-ძმა არასდროს მყოლია (მხოლოდ დედაჩემის მუცელში).
3-7 წ. წ. _ მქონდა ბევრი სათამაშო
8 წ. _ ეზოში თამაშისას ბაბუაჩემი შევნიშნე, რომელსაც თავი ჩამოეხრჩო.
სადღაც აქ შეჩერდა ცოტა ხნით.
მერე გავიგრძელე.
დღესაც ბევრი სათამაშო მაქვს.

ამელი: უცნაურია, ცხოვრების ერთ-ერთ მძიმე წუთებში დავემთხვიეთ, ბაბუას ვგულისხმობ...
მეც მაქვს ეს საშინელი კადრი მეხსიერებაში...
დღესაც თამაშობ? და რას თამაშობ?...
გიორგი: ცოტ-ცოტა ყველაფერს.

ამელი: სიტყვაძუნწი ხარ, თუ ერთი სული გაქვს, თავს როდის დაგანებებ?
არა, მგონი სიტყვაძუნწი არ უნდა იყო, მაშინ ლექსებს ვეღარ დაწერდი...
რატომ წერ ლექსებს?
მინდა და იმიტომისნაირ პასუხებს არ ვართ...
გიორგი: ლექსებს იმიტომ ვწერ, რომ მინდა ვინმემ წაიკითხოს.
ამელი: მერე ეს ვინმეები რას გეუბნებიან _ მოგვწონს შენი ლექსებიო?

გიორგი: ვინმეები (ინტერმეცო _ ოცი ადამიანიდან ინტერნეტ-კაფეში ცხრამეტი ,,ქაუნთერს» თამაშობს და საშინლად ბღავის, თუ რამე კორექტივს შეიტანს. ეს ყველაფერი თქვენი მეგობრის წერილებში, მეგობარი წინასწარ ბოდიშს გიხდით) ბევრ რამეს ამბობენ. საოცრად სუბიექტური ვარ _ ვინც ცუდს ამბობს _ ვინმეებად ვტოვებ.

ამელი: გასაგებია, არც მე მსიამოვნებს დიდად ჩემს ნაწერებზე ცუდის მოსმენა, მაგრამ ერთ ბანალურ კითხვას დაგისვამ: რაში სჭირდება შემოქმედს კრიტიკა?

გიორგი: შემოქმედისთვის კარგია ლევი-სტროსი და კუანდრო.

ეს საკუთარ თავში სხვა რაღაცის აღმოჩენისთვის...

თამაზ წივწივაძე სჭირდება მაშინ, თუ ფული აქვს სასესხებელი (ძველი ამბავი გამახსენდა _ მითი კოლონდრაზე).

ლევან ბრეგაძე _ თუ ცნობილი უნდა გახდეს.

სხვა თავადაც კარგად მოგეხსენებათ.

ამელი: იქნებ გაიხსენო კომენტარი შენს ლექსზე, რომელიც ყველაზე მეტად მოგხვდა გულზე...

გიორგი: ,,მეც მომწონს კეკელიძის ,,მთვარე», მთვარის სახის ახლებური ინტერპრეტაციაა», თუ რაღაც ამდაგვარი: ზუსტ ციტირებას ვერაფრით ვახდენ.

ამელი: ჰო, «მთვარე» მეც მომწონს...

ალბათ, სულ პატარა ემოცია მაინც გჭირდება იმისათვის, რომ წერო... რა გაძლევს ამ მუხტს?

გიორგი: როგორც წესი, მოსული ემოციის (დადებითი, უარყოფითი) საპირისპირო მეწერება ხოლმე. ეს ჩემი ზოგადი ჩვევაა იმ ადამიანებისადმი, რომლებიც მიყვარს საოცრად ცივი ვარ და პირიქით. დეპრესიის დადგომის დროს ვიცინი და პირიქით.

არ ვიცი, ყველაფერი ერთად გროვდება, ალბათ, და რაც მახსოვს, მობილურში ვიწერ მოკლე-მოკლედ (დროის პრობლემაა, მანერულობის ნაღდად არა), მერე ფურცელზე ვაერთებ.

ფინალი ყოველთვის ამ დროს მოდის. ძველი ყაიდის კაცი ვარ-სავით.

ამელი: ძველო კაცო, რა მიგაჩნია ახალი, თანამედროვე პოეზიის პოზიტივად და ნეგატივად?

გიორგი: ვინ? ახალი პოეზიის პოზიტივად ზვიად რატიანი, შალვა (ბაკურაძე), თქვენი მეგობრის ,,ჭორია» წავიკითხე პარალელურ რეჟიმში უფრო დაკვირვებით, და ეგეც მიმაჩნია.

ჩემი მეგობრები მიმაჩნია კიდევ.

ნეგატივად ბევრი, დანარჩენი.

ამელი: «ლ'ილ»-ზე მომიყევი: საიდან წამოვიდა მისი შექმნის იდეა, ვინები არიან ამ სინდიკატში გაერთიანებულნი და, საერთოდ, რა არის «ლ'ილ»...

გიორგი: ძლივს პუბლიცისტურ პასუხებს გაგცემთ: «ლ'ილ» არის ჩემი და ჩემი მეგობრის ზაალ ჩხეიძის იდეა. «ლ'ილ» არის ლიტერატურული ჟურნალი, რომელსაც პირველად ჩვენი ხელფასის ნაწილი მიჰქონდა (ალალად). ახლა დროებითი დამფინანსებელი ჰყავს. ლიტერატურული ჟურნალი, ამ დარგის სხვადასხვა ჟანრებით. უფრო გვიან გაზეთს შემოუერთდა ასევე ჩემი მეგობარი ნათია ნაცვლიშვილი, რომელმაც უსათუოდ დიდი როლი ითამაშა «ლ/'ილ»-ის შემდგომ განვითარებაში (რამდენიმე რუბრიკა სწორედ მისი მეშვეობით გაიხსნა). შემდეგ _ დიანა ანფიმიადი, არჩილ თალაკვაძე, ქეთი ნინიძე (პოეტები), ოქტაი ქაზუმოვი, ზაქარია ქიტიაშვილი, ანი კოპალიანი (მთარგმნელები). «ლ'ილ» სინდიკატი არავითარი ორდენის ტიპის და დაუნაწევრებელი (ამ სიტყვის კარგი გაგებით) ორგანიზაცია არ არის.

ჟურნალი «ლ'ილ» სიამოვნებით ითანამშრომლებდა თქვენთან და თქვენს მეგობრებთან.

ამელი: ანუ «ლ'ილ»- ში ნებისმიერ ავტორს შეუძლია საკუთარი შემოქმედების განთავსება.

ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, ღირსეულ ავტორს...

და აქვე საინტერესოა, რას იტყვი ლიბ.გე-ს დამსახურებაზე. როგორ ფიქრობ, რამდენად საჭიროა ასეთი პორტალის არსებობა?

გიორგი: რა თქმა უნდა. ბარემ, დროს ვიხელთებ და დავძენ, რომ არის ორიგინალური (ქართული) პროზაული ტექსტების დეფიციტი.

ლიბ.გე არის ელექტონული ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია ქართველი და უცხოელი ავტორები (თანამედროვე და წარსულიდან). კულტუროლოგიური ტიპის პროექტია.

არაკომერციული;

ეს კი ხელს უშლის ჯერჯერობით იმ გეგმების განხორციელებას, რის შემდეგაც მართლაც სერიოზულად შეგვეძლო გვესაუბრა პორტალის დამსახურებაზე. ანუ იგეგმება _ერთგვარი კატალოგიზაცია-პერიოდიზაცია და ჟანრული დიფერენციაცია.

ასევე საზღვარგარეთულ ენებზე თარგმნილი ქართველი ავტორების განთავსება შესაბამის გვერდზე შესაბამის ენებზე.

«ლ'ილ» და ლიბ.გე ჯერ მხოლოდ იხვეწებიან (რომ ცოტა ხანი აცალოთ, გაიზრდებიან და გამოწვლილვით მერე ვისაუბროთ).

დახვეწა, დამეთანხმებით, არავის აწყენს.

ამელი: აბსოლუტურად გეთანხმები, გიორგი...

ისე, საინტერესოა, შენ რამდენად ხშირად კითხულობ ინტერნეტ სივრცეში ნაწარმოებებს?

გიორგი: მხოლოდ საჭიროს. ლიბ.რუს. ვკითხულობ ხშირად.

ისე, გამოგიტყდებით და წიგნი მირჩევნია.

ამელი: მეც სულ დამიჩემებია, წიგნი მირჩევნია-მეთქი, მაგრამ ამ ბოლო დროს ვატყობ ჩემს თავს, რომ გაცილებით მეტს ინტერნეტით ვგებულობ, ვიდრე წიგნების საშუალებით...

გიორგი, ბანალური კითხვებით უნდა შეგაწყინო თავი: საყვარელი მწერალი, პოეტი? საყვარელი წიგნი...

და აქვე, შენი საყვარელი საკუთარი ლექსი...

გიორგი: ბანალური პასუხებისთვის ბოდიშს გიხდით:

მწერლები _ მელვილი, პრუსტი, ფოლკნერი.

პოეტები _ შოთა რუსთაველი, პინდარე, საფო, გიიომ აპოლინერი, ეზრა პაუნდი, ჰილდა დულიტლი.

ჩემი _ ,,სოფლად ნამღერი ოდები» (ციკლი უფროა და ლიბ.გეზე შეგიძლიათ ნახოთ).

ამელი: კი, ციკლი უფროა და უკვე ნანახ-წაკითხული მაქვს...

და იმასაც დავამატებ, რომ მეც საუკეთესოდ ვთვლი... ჩემი შეფასება თუ ღირს რამედ...

ისეთი შიში თუ გიტევს ხოლმე, რომ მეტს ვეღარ დაწერ?

გიორგი: რა თქმა უნდა, ღირს.

შიში უფრო წერის პროცესში მიტევს. მგონია, ვეღარ დავამთავრებ და გარდა იმისა, რომ მეშინია, არნახულად მწყინს.

ამელი: თუ ყოფილხარ განაწყენებული შენს რომელიმე ნაწერზე?

გიორგი: ახლის დაწერის მერე, თითქმის ყველა წინაზე.

ამელი: და ბოლოს, რა გინდა, რომ შენზე იფიქრონ?

გიორგი: ყველაფერი კარგი.

ციცინათელა...

ამელი: დილა მშვიდობისა, გიო... ადრიანად შემოსულხარ ფორუმზე, ე.ი. პუნქტუალური ხარ და დაპირებაც კარგად გახსოვს...

პირველ რიგში, დედიკოს დაბადების დღე მინდა მოგილოცო. თუ არ ვცდები, დღეს უნდა ჰქონდეს, ხმები მომივიდა... ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე მინდა ვუსურვო, და რაკიღა თემამ მოიტანა, როგორია შენი დედიკო?...

გიო: პუნქტუალობის რა მოგახსენო... მე, პირიქით, ვიტყოდი _ საშინელი არაპუნქტუალური ვარ. ამ შემთხვევაში, ალბათ, უფრო დაპირებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი... დიდი მადლობა მოლოცვისთვის, მართალია, დედაჩემს დაბადების დღე გუშინ ჰქონდა, მაგრამ მაინც, უღრმესი მადლობა... საქმე იმაშია, რომ თავიდან მე და ემხვარი 22 რიცხვზე შევთანხმდით ინტერვიუზე და მაშინ ვუთხარი, რომ თუ მანამდე ვერ შემოვედი, არ დამავიწყდება, 22-ში დედაჩემის დაბადების დღეა-თქო. ალბათ, შენც მისგან გაიგე, მაგრამ მერე მე და შენ თარიღის კორექტირება მოვახდინეთ და დღეისთვის დავნიშნეთ ინტერვიუ...

რაც შეეხება დედას, რა გითხრა? ის ჩემთვის ყველაფერია... არა მარტო ჩემი, მთელი ჩემი რეალური თუ წარმოსახვითი სამყაროს დედაა, ყოვლისმომცველი და ყოვლადწმიდა.

ამელი: გიო, რამ წაგიყვანა ლიეპაიაში?

დარწმუნებული ვარ, ყველას ძალიან აინტერესებს შენი ბავშვობის ამბები...

გიო: მაგ კითხვაზე პასუხი მეც ძალიან მაინტერესებს, სიმართლე გითხრა... ისე მოხდა, მუცლადმყოფი ლიეპაიაში აღმოვჩნდი, არც კი უკითხავთ ჩემს მშობლებს, მქონდა თუ არა ამის სურვილი, ჰოდა, მეც ავდექი და პირველად მაშინ დავუსვი წერტილი ჩემს პუნქტუალურობას და პროტესტის ნიშნად ცოტა ადრე გავჩნდი, ვიდრე მელოდნენ...

არაჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა, ზღაპრული... მაგრამ სამწუხაროდ, მალე დამთავრდა, ცნობილი მოვლენებისდა გამო... მერე ყველაფერი აირია და მე და ჩემი თაობა ისე დავბერდით, რომ ახალგაზრდობაც არ გვქონია; ვინ გვაცალა, თორემ კი...

ამელი: როგორ აღწერდი იმ ყველაფერს, რამაც ბავშვობა წაგართვა (არამარტო შენ)?

გიო: ერთი სიტყვით _ ანარქია.

ვის ეცალა მომავალი თაობისთვის? მავანთა პირად ინტერესებს შევეწირეთ... თუმცა, სანტოკასი არ იყოს:

«ზამთრის წვიმები.

ჩვენ ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ...»

ამელი: გიო, და რატომ, და როგორ, და როდის დაიწყე ლექსების წერა?

გიო: არ მახსოვს, სიმართლე გითხრა... ზოგჯერ მგონია, რომ ყოველთვის ვწერდი, ლიეპაიაშიც კი...

ბავშვობიდან მიყვარდა პოეზია... ცოტა რომ წამოვიზარდე, მერე წერაც დავიწყე. ერთი ცუდი თვისება მქონდა, რომელიც დღემდე შემომრჩა _ ვწერდი ყველაფერს, რაც თავში მომდიოდა და ყველაფერზე, რაც ხელში მომხვდებოდა: რვეულებში, წიგნებზე, სიგარეტის კოლოფებზე, მაგიდებზე და კედლებზეც კი... მერე კი გამუდმებით ვკარგავდი... ერთ დღესაც ერთმა ჩემმა პოეტმა მეგობარმა მოაგროვა ეს ხელნაწერები და წიგნად გამოსცა. გამომცემლობაში მივედი, ყველა წიგნი «ვისაჩუქრე» და ისინიც ხელნაწერებივით გავაქრე...

ამელი: იქნებ გახსოვს რამე ღრმა ბავშვობაში დაწერილი?...

საინტერესოა, პატარა გიოს პატარა ლექსები...

გიო: არ მახსოვს, სამწუხაროდ... ბავშვობის დროინდელი თარგმანები შემოვინახე მხოლოდ. თუ სურვილი გაქვს, წაგიკითხავ.

ამელი: თუნდაც ერთი პატარა ნაწყვეტი...
და აქვე მინდა გკითხო, რას თვლი შენი ლექსების ნაკლად?
გიო:

КОТОРЫЙ ЧАС

Не дремлет в сердце всё печаль,
Я знаю, поздно уж сейчас...
И нет покоя мне, _ как жаль.
Который час? который час?
А за окном всё тот-же мрак
И снег осенний кроет нас.
Не больше трёх теперь, ведь так?
Который час? который час?
Но и того быть может нет...
Вокзальный звон _ тринадцать раз.
Царит во мгле всё тот-же цвет, _
Который час? который час?
Окутан в думах тёмный холл,
Ночной извозчик скрылся с глаз.
И телефон звонит, всё мол,
Который час? который час?
О Боже, как случилось так,
Что дождь струится словно мразь?!
Ночь не кончается никак!
Который час? который час?
Был Шарль Бодлер: "Что за вопрос?
Час опьянения, винный час!"
Так отвечал он на вопрос -
Который час?

ჩემი პოეზიის ნაკლზე სხვებმა ისაუბრონ, თუ ამის სურვილი ექნებათ, წინააღმდეგი არ ვარ...

ამელი: მაშინ პლუსებზე მელაპარაკე, ოღონდ გთხოვ, პასუხს თავს ნუ აარიდებ...
მაშინ ინტერვიუ აღარ გამოგვივა...
გიო: «პლუსებზე» ლაპარაკს ისევ «მინუსებზე» ლაპარაკი მირჩევნია... არც კი ვიცი, რა გითხრა... ხშირად მდებენ ბრალს, რომ დროს ჩამორჩიო, დოგმებს ვერ გასცდიო, ისაო და ესაო... ძალიან პრინციპული კაცი ვარ და, ამავდროულად, პროტესტის გრძნობას ჩემში იმდენად დიდი ადგილი უკავია, რომ ალბათ, ერთი კაი კაცისა არ იყოს, ინკვიზიციის დროს რომ მეცხოვრა, აუცილებლად კოცონზე დამწვავდნენ... კონვენციური ლექსის «ბატონობის» პერიოდში რომ მეცხოვრა, აუცილებლად ალტერნატიულ პოეზიას შევქმნიდი, მაგრამ ახლა, როცა ე. წ. ჩარჩოების მსხვრევა და კლიშეების მტვრევა ერთობ «მოდაშია», ვფიქრობ, რომ ის, რისი განადგურებაც შესაძლებელია, არ უნდა განადგურდეს... დაე, სხვებმა «ამსხვრიონ» და «ამტვრიონ» (მთავარია, ეს ექსპერიმენტები ფატალური არ აღმოჩნდეს პოეზიისთვის), მე კი კონვენციაში დავრჩები, ვნახოთ, რა გამოვა _ ჩავთვალოთ, რომ ესეც ერთგვარი ექსპერიმენტია.
ამელი: ანუ, აქედან გამომდინარე, შენ თვლი, რომ შენი ლექსების პლუსი სწორედ ის არის, რომ დოგმებს ვერ კი არა, არ ასცდი...
გიო: აი, ხომ ხედავ, ერთ პლუსსაც ისე გამოვკარი ხელი, რომ ვერც კი მიხვდი...

ეს ისე, ხუმრობით, რა თქმა უნდა...

ამელი: ძალიან ხშირად ლექსებს კონკრეტულ ადამიანებს უძღვნი. მოკლედ, მაინტერესებს, რა გჭირდება იმისათვის, რომ ლექსი წერო?

გიო:

«სისხლის დადინებით ქუსლებიდან,
გინდა გაქცევა და განაჩენად _
წყვილი ფანქარი და ფურცლები და
წყალსაც წაუღია დანარჩენი!»

ფურცელი და კალამი, სხვა არაფერი...

რაც შეეხება მიძღვნებს, აქ, ალბათ, უფრო სიყვარული და ადამიანობაა საჭირო, პირველზე ძლიერი მუზა და მეორეზე დიდი ხელოვნება არ არსებობს ბუნებაში...

ამელი: ე.ი. შენი მთავარი მუზა სიყვარული ყოფილა...

ხშირად ხარ შეყვარებული?...

და როგორი ხდები მაშინ, როცა გიყვარს, ძალიან გიყვარს...

გიო: დიდი გული მაქვს, ყველას და ყველაფერს ვიტევ...

შეურაცხადი ვარ ამ დროს... და თუ ჩემს მეგობრებს დაეჯერებათ, რომლებიც ამბობენ, რომ საჯაია ყოველთვის შეურაცხადიაო, გამოდის, რომ მარადი შეყვარებული ვყოფილვარ...

ამელი: შეურაცხადო, დიდი გული რომ გაქვს, ერთბაშად რამდენი ადამიანის დატევა შეგიძლია?

გიო: მთელი დე-და-მი-წის... მართლა ყველა მიყვარს, თუ შევიყვარე _ უზომოდ... შეძულება არ მჩვევია, მაგრამ თუ შევიძულე _ ასევე უზომოდ... მოკლედ, ყველაფერი არანორმალური ვიცი...

ამელი: არა, ვერ დაგიჯერებ, არ შეიძლება მთელი დედამიწა გულით შეიყვარო, მთელი გულით მხოლოდ ერთი ადამიანის სიყვარული შეიძლება...

გიო: რა თქმა უნდა, ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა...

ამელი: არ იფიქრო, რას ჩამაცივდაო, მაგრამ საინტერესოა, თუ ჩაგიდენია ყველაზე დიდი სისულელე სიყვარულის გამო...

გიო: რამდენიც გინდა... ყველას რა ჩამოთვლის... ყველაზე დიდი სისულელე კი ის იყო, რომ ოჯახი კინაღამ მივატოვე... ოჯახი, რომელზეც მზე და მთვარე ამომდის _ ფანტასტიკური ცოლი და ორი ანგელოზივით შვილი... ვაღიარებ _ საშინელი კაცი ვარ! თუმცა... მიყვარდა, საშინლად მიყვარდა... ახლაც მიყვარს!

ამელი: მგონი, ცოტამ თუ იცოდა შენი ოჯახისა და შვილების შესახებ...

და გარდა იმისა, რომ ცოლი ფანტასტიკურია და შვილები ანგელოზები არიან... კიდევ, როგორია შენი ოჯახი?... მოგვიყევი მათ შესახებ...

გიო: არ მიყვარს სიტყვა «ცოლი»... ცოლი არა, უფრო მეგობარია, უფრო სხვა განზომილებაა, უფრო ღმერთია, რომელიც ყველგან და ყოველთვის ჩემთან არის და ჩემშია _ ერთადერთი კერპი, რომელსაც ვაღიარებ და ვისზეც ვლოცულობ... ულამაზესი ოჯახი მაქვს! შეიძლება ითქვას, იდეალურიც კი... გამიმართლა, უბედნიერესი კაცი ვარ...

ამელი: მიხარია...

იმედი მაქვს, ამ ინტერვიუს შენს მეუღლესაც წააკითხებ... დარწმუნებული ვარ, ამ სიტყვების მოსმენა გაუხარდება...

გიო, ხშირად ნანობ შენს საქციელს?

გიო: Блаженны _ простивший всех и простивший самого себя (ფრაგმენტი აპოკრიფული ევანგელიიდან).

ამელი: გიო, მხოლოდ მასზე (საყვარელ ქალზე) ვლოცულობ, ის არის ჩემი ღმერთიო... ღმერთი არსებობს?...

გიო: ამ საკითხზე დავას ვიტგენშტეინმა დაუსვა თავის დროზე ძალიან მარტივად წერტილი, როდესაც თქვა, რომ «იმაზე, რაზეც საუბარი შეუძლებელია, საჭიროა დუმილიო»... თავგადადებული მორწმუნე არ ვარ, სამწუხაროდ, მაგრამ ბორხესის არ იყოს, «დაე, იარსებოს ზეცამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩემი ადგილი ჯოჯოხეთშია»!

ამელი: გიო, რისი გეშინია?

გიო: მეშინია იმის, რომ ერთ დღესაც აღარ მეშინოდეს... შიში ბარიერი არ არის (საერთოდ, არ ვცნობ ბარიერებს), შიში ყველაზე კარგი სტიმულია იმისათვის, რომ ადამიანმა ადამიანობა არ დაკარგო და საკუთარი თავი აკონტროლო ყველაზე არაკონტროლირებად სიტუაციაშიც კი...

ამელი: გიო, და ბოლოს, ცოტა უცნაურ შეკითხვად კი მოგეჩვენება, მაგრამ შენ როგორც გინდა, ისე მიპასუხე:

ვარსკვლავი თუ ციცინათელა?

გიო: რა თქმა უნდა, ციცინათელა _ ვარსკვლავებთან ჩვენ, მოკვდავებს, რა ხელი გვაქვს...

შეჰრეზადას 127 წუთიანი ამბავი...

ინტერვიუ მაკა ლდოკონენთან

ამელი: დილა მშვიდობისა, ნარინჯო...

ჯერ ის მითხარი, როგორ მოგმართო...

მაკა: როგორც გინდა, მაკა, ნარინჯი... ხან ისე, ხან ასე...

ლოიალური ადამიანი ვარ.

ამელი: კარგი, მაშინ მაკ-ნარინჯო, «ნარინჯი» რატომ დაირქვი?

მაკა: მიყვარს ნარინჯისფერი... თან ჩემთვის, ჩემი ყურისთვის აღმოსავლურად ჟღერდა... ბავშვობაში დეიდა მიამბობდა ნარინჯზე და თურინჯზე... აღარც ვიცი...

მოკლედ, ნარინჯისფერი მიყვარს ფერებში, ჯაზი მუსიკაში, გრაფიკა მხატვრობაში დაააა... ნარინჯი ნიკებში...

ამელი: კიდევ რას გიამბობდნენ ბავშვობაში?

კადრებად გადაიღე შენი ბავშვობის ფოტოები და დამათვალიერებინე...

მაკა: პირველი კადრი ასეთია: დედას უყვარს მამა, მამას დედა... მათი თვალები თბილია, ალერსიანი... მათ მაკაც უყვართ...

მაკა ისე უყვართ, არც დაიკოს ჩუქნიან, არც ძმას...

მერე ბაბუა, ჩემი ფინელი ბაბუა, მაღალი და ცილინდრიანი, თბილი და «პარუსკულ»-ქართულით მოსაუბრე, ქეიფისა და რუსი კლასიკოსების ტრფიალი, უკითხავდა მაკას პუშკინს, ზღაპარს მეფე სალტანზე, გოგოლის «შობისწინა ღამეს»(ქართულად ხომ ასეა?). მაკა კი ხატავდა ყველაფერს, რასაც ბაბუა უკითხავდა...

გავაგრძელო ბავშვობაზე? დიდხანს ვიყავი ბავშვი.

ამელი: რამდენიმე ფოტო კიდევ დამათვალიერებინე...

მაკა: ჩემი ინდოელი თოჯინა... დედას უამრავი ფერად-ფერადი ქსოვილი ვაყიდინე, სარებს ვუცვლი და ვუცვლი, რაც მომრჩება, წვრილ-წვრილად ვჭრი და მაჯებზე სამკაულებივით ვახვევ...

«ლაშარელა» წავიკითხე და მთელი ის ზაფხული ლილე ვიყავი...

რაჭაში ვარ, ხიხათაზე, მრავალძალს ვხედავ, თივის სურნელი დგას, ღამე ძლივს დავაღწიეთ ნისლს თავი, აგვისტოა, თუმცა ზამთრის სიცივე მოიტანა ღამემ... რაჭის ცაზე მეტი ვარსკვლავი არც ერთ ცას არ აქვს!

ბავშვობა გრძელდება...

ამელი: მე კი მგონია, ჩემი სოფლის, ფასანაურის ცაზე მეტი ვარსკვლავი არა აქვს არც ერთ ცას...

როდის აღმოაჩინე, რომ ბავშვობა დასრულდა, თუ იქნებ დღესაც გრძელდება?...

მაკა: არ არსებობს მკვეთრი ზღვარი _ შვილებმა ბავშვობაში დამაბრუნეს... ვცდილობ, არ დასრულდეს, გაგრძელდეს, ზომიერების ფარგლებში გაგრძელდეს ბავშვობა.

ამელი: როგორები არიან შენი შვილები?

რა ფერები?

როგორი სურნელი უდით?...

გოგოები არიან, ბიჭები?

«გიჟები» თუ ჭკვიანები?...

მაკა: ხორბლისფერები...

ხასიათით: ლუკა ამბობდა, სამი წლის რომ იყო: «აგური, ქვა და რკინა ვარო!» ახლა ლუკა 12 წლისაა. მიუნჰაუზენია სინამდვილეში (ერთადერთი წიგნი იყო, რომ ინატრა გაგრძელება); საინტერესო თვალი აქვს (ხედვა), ცელქია, პრინციპში, გიჟი ეთქმის, რადგან შენ ასე მეკითხები.

მარიამი რვა წლის არის, მოწესრიგებული, ორგანიზებული, მხიარული, იუმორით... წიგნების ჭიაღუა!

თბილები არიან...

სურნელიიი? იფ, იფ, ზაფხულობით რომ გაემგზავრებიან ხოლმე არდადეგებზე, ორივეს ნაცვამ მაისურს ვინახავ და გაუსაძლისად რომ მომენატრებიან, ვყნოსავ ხოლმე!

ამელი: მაკ-ნარინჯო, ხშირად ბიოგრაფიულ-დოკუმენტურ პროზას წერ...

იქნებ მიზეზი გამანდო?

მეც მჭირს ეგ «უბედურება»...

მაკა: ალბათ, საინტერესო ცხოვრებაა მაგის მიზეზი, ის, რომ ღმერთი გწყალობს და მრავალშინაარსიან ადამიანს გახვედრებს... თუმცა, თუმცა, უნდა გეყოს ძალა და გულისყურით მათ მოუსმინო, დააკვირდე, შეიყვარო.

დ ა ი მ ა ხ ს ო ვ რ ო !

ჰო, და მერე მათ შესახებ დაწერო...

ამელი: და ფანტაზია?

ეს წარმოსახვა, ფანტაზია, გინდა მუზა დაარქვი, როგორ მოდის?

და აქვე ჩაგეკითხები: როგორ მიხვდი, რომ წერა გამოგდიოდა?..

მაკა: წერა მომივიდა? იქნებ ამიტანა?

არ მახსოვს ის დღე და სეზონი... არც ის _ ჯერ დავხატე თუ დავწერე, იქნებ დავხატე და რამე მივაწერე, ან პირიქით...

როგორ ვწერ? ღამე, ბალიშზე... ჯერ ფიქრებში ვწერ, რითმებს ვაწყობ და მაგ დროოოს... ჩემი ბალიში დუღს და გადადუღს, როგორც მისიმას «მისი უდიდებულესობა აოი»-ში: მთელი ღამე გრილ ადგილს დავეძებ, რომ ლოყით შევეხო... «ადამიანი, ფეხშიშველა რომ დადის

უდაბნოს გავარვარებულ ქვიშაზე, ვერ გაივლის ჩემს ბალიშზე»... და ასეთ დროს კახა მეუბნება, ჩუმად, ჩურჩულით: «მაკ, დაწერე და განთავისუფლდები!»

ამელი: კარგია, ასე რომ გიდგანან გვერდში, ასე რომ ხვდებიან შენს «გასაჭირს»...

და ხშირად ხდება ისე, რომ შენს ნახატებს წერ ან ნაწერებს ხატავ?...

მთელი ცხოვრება ასეა... ნახატ-ჩანაწერებში... «გასაჭირის» გაგებებში და არჩევანის წინაშე რომ დადგე, რომელს აირჩევდი, ხატვას თუ წერას?...

რომლის გარეშე არ შეგიძლია ცხოვრება?...

სულ ერთი წუთით გაყენებ არჩევანის წინაშე და უნდა აირჩიო...

მაკა: სულაც არ მინდა მაგ წუთზე ფიქრი... ან რატომ ვიფიქრო?.. ეგ არ მოხდება, და თუ მაინც...

შენი ხათრით წარმოვიდგენ მაგ წუთს...

წერასო, ნარინჯმა!

ამელი: წერასო?

მაკ-ნარინჯო, შენს სიყვარულზე მოჰყევი რამე...

მაკა: ჩემი სიყვარული?

შემიძლია ათას ერთი ღამის განმავლობაში გიამბო და არ დავასრულო...

მაგრამ აქ არ გამოვა.

ერთი სიყვარული მყავდა და მყავს _ იცი, რატომ? ერთხელ მარკესმა მითხრა: «შესაძლოა ღმერთს სურს, სულაც არ შეხვდე «ვინმეს», სანამ არ შეხვდები «მას!» იმ ერთადერთს, და მაშინ უზომოდ ბედნიერი იქნები _ დააფასებ ბედნიერებას...».

მეც ასე მოვიქეცი, არავისთვის დავხარჯე სიყვარული და როცა ვიგრძენი, რომ ის «ის» იყო... მას ვაჩუქე...

«შესაძლოა, ამ ქვეყნად ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ხარ, მაგრამ ვიღაცისთვის _ მთელი სამყარო!»

ესეც მარკესმა თქვა, ამაშიც ვეთანხმები!

ამ ზაფხულს აგათის ქორწილი გვაქვს _ ეს 14 წლის ერთად ყოფნას ნიშნავს, თუმცა, მანამდეც ერთ კლასში ვსწავლობდით, სიყვარულით კი არ გვიყვარდა ერთმანეთი!

ამელი: იცი, რას ვხვდები? ჩემს რესპოდენტებს ვგავარ რაღაც-რაღაცეებში და ამას რომ აღმოვაჩენ ხოლმე, მერე ერთი-ორი წუთი პირდაფჩენილი შევყურებ ხოლმე მონიტორს...

კინკაჯუ, გჯერა ცრურწმენების?...

მაკა: კინკჯუს თუ სჯერა, თორემ... მჯერა, მჯერა, მეც მყავდა ბებია მარ(გუ)სი. დამღალა ბავშვობაში თავისი დარიგებებით, როგორც მერე არაბული დამწერლობის სწავლამ და თანხმოვნებზე თეშდიდ-სუქუნების, ხმოვნებისა და ვასლების წერამ... ეს ხუმრობით, თუმცა, რატომ ხუმრობით?

მიყვარს ჩემი კინკაჯუ, ნეტავ, როგორ არის ახლა?

ამელი: ზღაპრები უნდა გიყვარდეს ძალიან, ძალიან...

ზღაპრის რომელ გმირს ჰგავხარ, ან გინდა, რომ ჰგავდე...

მაკა: რა ლამაზი კითხვაა!

მიყვარს ზღაპრები და ზღაპრების მოყოლა, ზღაპრების მოსმენა და ზღაპარში ცხოვრება! აი, როგორც «ზღაპართასხმულში» დავწერე:

მომიყევით ზღაპრები, რათა მეტი გემო ჩავაყოლო ბებიის თბილი ხელებით მომზადებულ ნუგბარს, თამაშით გავაცოცხლო ჩემი დედოფალა, არნახულ ფერთა ენაზე ავატიკტიკო თეთრი აკვარელის ფურცლები და მერე ტკბილად ჩავიძინო მზით გამთბარ ბალიშებზე:

მომიყევით ზღაპრები, რათა ჩემი სატრფო გავაბრუო, «იყოდაარად» ვუქციო ბებიის შეკერილი თეთრეულით შემკული ჩვენი ნავსაყუდელი, ათასი და ერთი ღამე ვარსკვლავებზე გადავამრავლოთ და მზის სურნელით გაჯერებულ ბალიშებზე მერეღა მოვისვენოთ;

მომიყევით ზღაპრები, რათა ჩემს სხეულში მცირე ხნით მიკედლებულ პატარას ვუამბო ისინი, სინათლესთან პირველი შეხვედრა რომ დააფრთხობს _ ვანუგეშო და მერე ერთ ციცქნა, მზისფერ, ფაფუკ ბალიშზე მივაძინო;

მომიყევით ზღაპრები, რათა სიბერის ჟამს, ზღაპართა დედოფალთან შეხვედრის ღირსი გავხდე, ვიხილო მისი ჭაღარაშეპარული ლაილისფერი თმა და ვუამბო, როგორ დამატყვევა მისმა პირველმა ზღაპარმა... რა ხანი გავიდა მას მერე _ ჩემი ნამზეურევი ბალიშები გახუნდა და გაიცრიცა...

შეჰრეზადა მინდა ვიყო, შეიძლება ვგავარ კიდეც, ვიღაცისთვის.

ამელი: შეჰრეზადა, დამიხატე შენი თავი...

მაკა: მე მგონი, დაიხატა უკვე...

კარგი, კიდევ ერთხელ: ნარინჯისფერი გამჭვირვალე ჩადრით ვარ... ვეუბნები ყველა კეთილისმსურველს: სალამ ალეიქუმ!... მერე წიგნს ვშლი ალტერნატიული მიმართულებით, ანუ მარჯვნიდან მარცხნივ... იქ სასიყვარულო კალიგრაფიით ვხატავ თითოეულ ასოს... ვცდილობ, გაგაბრუოთ ჩემი ნაამბობით, ტკბილი ძილი გაჩუქოთ, ლაილისფერი სიზმრები. დილით გაიღვიძებთ და მკითხავთ: როგორ, ნარინჯო, როგორი იყო იმ ამბის დასასრული?... და ჩემი სანატრელი შეკითხვაც ხომ ეგ არის, მე ხომ შეჰრეზადა ვარ, მე ხომ არ მიყვარს დამშვიდობება!..

ამელი: და ბოლოს, რისი გემო აქვს შენს ნახატ-ნაწერებს? და თუ აქვს რაიმეს გემო, რატომ?...

მაკა: გემო? ვინ როგორ დაიგემოვნებს _ ალბათ, იმის მიხედვით... ზოგიერთი ადამიანისათვის ხომ ტკბილია გემრიელი, ზოგიერთისთვის _ მჟავე...

მე თუ შემოდგომით ვწერ, ყურძენს მივირთმევ _ ჩემს უსაყვარლეს ხილს, ზამთარში _ ქიშმიშს, ზაფხულში _ ნესვს, გაზაფხულზე _ მარწყვს... ტკბილ ყავასა და შოკოლადს ხომ მუდამ ვეტრფი... ანუ, ყველაფერი ტკბილია ჩემთვის გემრიელი...

სოხუმში მზე ზღვიდან ამოდის

ინტერვიუ შალვა ბაკურაძესთან

ამელი: სოხუმში წამიყვანე, ჩამსვი ან მატარებელში, ან მანქანაში, ან უბრალოდ ზურგზე მომიკიდე და მანახვე იქაურობა _ არც ზღვა მინახავს არასდროს და არც სოხუმი.

შალვა: ეს ეგეთი კითხვაა თუ? შენ რა გგონია, მე გაეროს დამკვირვებელი ვარ? თუ შერეული საკონტროლო კომისიის წევრი?

ამელი: არა. მე მგონია, რომ შაკო ხარ და, თუ სოხუმს შენ არ დამათვალიერებინებ, მაშინ იქ სხვასთან ერთად წავალ და ინტერვიუსაც აღარ გავაგრძელებ: მე ავიღებ შენგან ინტერვიუს: როგორ ფიქრობ, ყველაზე მეტად რომელი პოეტი მოსწონს შალვას? ხაზს ვუსვამ შალვას და არა შაკოს.

შალვა: ეს რა, ინტერვიუა? შეგიძლიათ ყველამ ერთად დამისვათ კითხვები. კითხვების შიმშილს განვიცდი.

ამელი: ასე შორს ვერ გავფრინდებით, შალვა. დაჟინებით მოვითხოვ, სოხუმზე მიამბო. პირველწყაროდან მინდა ვიცოდე ამბები, მეათე პირისგან მოსმენილი სოხუმური ისტორიები არ მაინტერესებს, შენ კი საუკეთესო ვარიანტი ხარ იმისათვის, რომ სოხუმზე მომიყვე.

ომზე მოვყვე თუ სიყვარულზე?

ამელი: ორივეზე _ ჯერ სიყვარულზე, მერე ომზე ან თუ გინდა, ორივეზე ერთად. ალბათ, არ არსებობს ომი უსიყვარულოდ და სიყვარული ომის გარეშე.

შალვა: ომზე საინტერესო ამბების მოყოლა კი მეხერხება, მაგრამ გრძლად ვყვები ხოლმე; სიყვარულზე კიდევ თავისი დეტალებით შემიძლია აღვწერო, და რომელს აირჩევ?

ამელი: ომზე მომიყევი გრძლად და სიყვარულზე დეტალებით. ამ ინტერვიუში ყველაფერი «მოსულა». ამელის სიყვარულის დეტალებით ვერ გააოცებ. აი, ომზე კი, ომზე არაფერი იცის ამელიმ.

შალვა: ეგ ომი ზედმეტი სიყვარულის გამო დაიწყო. ხომ წარმოგიდგენია, სიყვარული სოხუმში ბალახივით იყო: გამოგაზაფხულდებოდა თუ არა, წამოყოფდა თავს და გვიან შემოდგომამდე არ იძინებდა. იქაური ბიჭები ადრეული ასაკიდანვე ეუფლებოდნენ სიყვარულის ხელოვნებას. მასწავლებლებიც გამოცდილები და ვნებიანები ჰყავდათ. მერე კი ომი დაიწყო.

ამელი: კიდევ მომიყევი, კიდევ, მერე?.. თუ გინდა, გრძელი პასუხები წერე, დაგელოდები, არსად გაგექცევი.

შალვა: ერთი ლამაზი მზიანი დღე იდგა. იმ დღეს ჩემმა ძმამ და მისმა მეგობარმა გოგო მოიტაცესავით. ჩემს აგარაკზე წავიდნენ. იქ ეზიარნენ სამყაროს დიად საიდუმლოს და, როდესაც სახლში დაბრუნდნენ, ომი იყო დაწყებული. ომი ქართველებმა («ქართალებმა»), თბილისელებმა დაიწყეს და სოხუმელებმა წააგეს.

ამელი: შენც ხომ ომობდი? არ გეშინოდა? პატარა იქნებოდი მაშინ.

პირველი ბრძოლებიც სწორედ რომ «ქართალებთან» გვქონდა. მოდიოდნენ და ზოგს ქურდავდნენ, ზოგს აუპატიურებდნენ (აბა, სოხუმელები ვის გააუპატიურებდნენ?! როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეგ სიყვარული ყელში ჰქონდათ ამოსული). ავდექით და, თუ რამე თოფები და «რაგატკები» გვქონდა, დავაყარეთ მაგ «ჩათლახებს».

ამელი: მერე, არ შეგეშინდა, არ მომკლანო?

შალვა: მე მაშინ პატალა კი ალ ვიკავი, ლო სემსინებოდა, დიიიდი ვიკავი, 18-ის.

მოდი, რამე ლიტერატურაზე მკითხე.

ამელი: ლიტერატურაზედაც გკითხავ, აბა რა?! მაგრამ მანამდე ის მითხარი: რა გრძნობაა, როცა გარშემო ტყვიები ზუზუნებენ, შენ კი წევხარ სადღაც, თხრილში და აზრზე არა ხარ, ერთი საათის შემდეგ ცოცხალი იქნები თუ მკვდარი.

შალვა: სანგრებში იმდენი წიგნი მაქვს წაკითხული და ნათარგმნი, ქე რო გაგიხარდება. ტყვიების ზუზუნის დროს კი ქალებზე ვოცნებობდი და მეხმარებოდა. მერე დავიჭერი და, რა დაგიმალო, შემეშინდა ძაან.

ამელი: რა წიგნები გაქვს სანგრებში ნათარგმნ-წაკითხული? სად დაიჭერი? _ ფეხში, მხარში, მუცელში, ზურგში, თავში თუ გულში?.. შე მშიშარა, როდის იყო, ომში დაჭრილებს ეშინოდათ?!.

შალვა: გულში შენ დამჭერი. მრავლობითი ჭრილობების მიყენების ფაქტი დამიფიქსირდა გულზე. ისე, თვალთან ვიყავი დაჭრილი. რომ შეგხვდები, შემიძლია განახვო კიდეც. იქვეა ჩარჩენილი ნამსხვრევი, თვალში.

ამელი: ჰოდა, რას კითხულობდი სანგარში? ომზე კითხულობდი თუ სიყვარულზე? ოღონდ მართლა მაინტერესებს, არ უკვირდათ შენს თანამოსანგრეებს შენი წიგნების ფურცვლის ამბავი?..

შალვა: ლოურენსის ლექსებს ვთარგმნიდი, უმბერტო ეკოს ვკითხულობდი, «ინასტრანკებს» არ უკვირდათ: ბევრი მათგანი იგივეს აკეთებდა.

ამელი: რატომ წერ ლექსებს, გინდაც მოთხრობებს, ან როდის დაიწყე წერა საერთოდ, თუ ესეც სოხუმელების სენია?..
შალვა: აფხაზების სენია. შენ რომელი ჩემი ლექსი მოგწონს? ჩემი მოთხრობები არ გაიშვა ერთი.

ამელი: აქ კითხვებს მე ვსვამ. შენი წიგნი მაქვს ნანახი, უამრავი მინაწერებით «გაფორმებული», გადაშლილ-გადაფურცლული, წაკითხული. და მე გკითხე, რატომ წერ-მეთქი?..
შალვა: იმიტომ, რომ ერთ რეცეპტს მინდა მივაგნო. ზუსტად ვიცი, რომ პოეზიაშია დამალული. მაგრამ ამ რეცეპტზე ხმამაღლა საუბარი და ასე საქვეყნოდ წერა მეუხერხულება.

ამელი: ინტრიგანო, ყურში მაინც მითხარი. იქნებ, დაგეხმარო კიდეც პოვნაში.
შალვა: ერთად თუ დავიწყეთ ეგ ძიებანი, კარგად ვიცი, სადამდეც მივალთ. აგვერევა გზა და ბავშვობაში დავბრუნდები ისევ, ლამაზ ქალებზე რომ ვოცნებობდი.

ამელი: რამ აგიმღერა ეს ლექსები?
შალვა: არა მგონია, ვინც ამამღერა, «რა» ჯგუფის იყოს.

ამელი: მაშ, რატომ დუდუნებ, თუ ჩურჩულებ, თუ ლოცულობ, თუ მღერი მაგ შენს ლექსებს?
შალვა: მაგალითად, შოთა იათაშვილი ლექსის კითხვისას უსაშველოდ წეელავს ხმოვნებს. ზვიად რატიანი კვნესის, ამაღლობელი რეპავს, ბაკურაძე კი ზედ ენის წვერზე იყრის და სვამს სულმოუთქმელად.

ამელი: ბაკურაძე, ორიანი, გადი გარეთ! და მაშინ ვინ შეგილოცა ეს ლექსები?..
შალვა: ვიცნობ-მეთქი რომ გითხრა, მოგატყუებ.

ამელი: მაშინ, მიმღერე სულ ერთი სტროფი, საყვარელი სტროფი... გამოარჩიე და მიმღერე.
შალვა: ჩემი დარდია ის, რომ დარდი საერთოდ არ მაქვს.
ჩემი ფიქრია ის, რომ ფიქრი ზღვისკენ გამირბის.
სახლში რომ ვიყო, დავკიდებდი ეზოში ჰამაკს,
არ ვიქნებოდი იმ ჰამაკში ასე ღარიბი,
სახლში რომ ვიყო, პარმაღის წინ დამღლიდა ჯდომა,
იმ სახლში კიდევ შენც რომ მყავდე, მაშინ რა მიჭირს,
მაგრამ სხვაგან ვარ უშენოდ და სიბნელეს ვზომავ
და ჩემს მხრებს უკან ქრება ყველა ჩემი ნაბიჯი.
ახლა ღამეა და ვერაფერს ვუხერხებ ნატვრებს,
არც ძალა მყოფნის, რომ ეს გული ისევ ჩავრაზო,
მინდა გიყვარდე, ისე როგორც გიყვარდი ადრე,
მინდა მიყვარდე, ისე როგორც, როგორც არასდროს.
ოღონდ ეს არ იმღერება, იჩურჩულება.

ამელი: გმადლობთ, ჩავთვალე, რომ მარტო მე მიჩურჩულე. აი ახლა, ამ წუთას ვინ გენატრება (რა არა, ვინ)?
შალვა: ელიზბარ ელიზბარაშვილი. ვინ უნდა მენატრებოდეს? ცოლი მე არა მყავს და შვილი. ვიჯდები აქ და იქნებ საინტერესო რამე მკითხო, დაგელოდები.

ამელი: შენზე ამბობენ, ქალები უყვარსო. ქალებზე მომიყევი. საინტერესოა?
შალვა: მაგას მე ვამბობ საკუთარ თავზე. ჭკვიანი ქალები მიყვარს და ნიჭიერები შენნაირი. ერთი ის მითხარი, ჩემზე რას ამბობენ ქალები _ მოვწონვარ ვინმეს?

ამელი: კი, მე მომწონხარ. ის არ მითხარი, ლექსების წერა როდის დაიწყე?
შალვა: ლაპარაკთან ერთად დავიწყე. მე არც მახსოვს. ისე, ცხონებული ბებიაჩემის გადამკიდე, უფრო ადრეც შემეძლო დაწყება.

ამელი: შენს ბავშვობაზე მითხარი სულ ორი სიტყვა, თუ გინდა. კადრებად მომიყევი, ოღონდ გთხოვ, არ დამამადლო.
შალვა: შაკმანდევს მეძახდნენ. ერთი კაფია მაქვს დაწერილი და, თუ ვიპოვე, დავდებ აქ. იქ მიწერია ბავშვობაზე ბავშვურად.

ადრე როცა კაფიისთვის
არ მეცალა ვიყავ მკვდარი
როცა ვიყავ უშურველი
არც რა მქონდა მოსაპარი
არც დოშკვენცი არ ვიყავ და
არც მზე ტკბილად მოუბარი,
მე შაკმანდევს მეძახოდნენ
მხრებში მედგა ზღვების ქარი
ვიცინოდი ისე როგორც
იცინოდა ირგვლივ ყველა
ვიძინებდი და სიზმარიც
მქონდა ზუსტად ძილისხელა
მეშინოდა თან ისე რომ
ვეღარავის ვთხოვდი შველას
წელზე მერტყა ხან ნამგალა
მთვარე და ხან ცისარტყელა
მხოლოდ ფიქრში და სკოლიდან
შინისაკენ მავალ გზაზე
ჩემს დოშკვენცობას ვხედავდი
მის კონტურებს და მკრთალ ხაზებს
მე ხომ ის ვარ იმ უცრემლო
ბიჭის თვალებს ცრემლით ვავსებ
და სუყველა ხელით მომაქვს
თქვენთვის მისი სილამაზე.

ამელი: ეი, მკაფველო, როდის აპირებ ახალი კრებულის გამოცემას? თუ აპირებ, საერთოდ?
შალვა: კაფიების კრებულზე თუა საუბარი, არა მგონია. ეგ აზრი ბესო ხვედელიძეს აწუხებს, ეგაა მთავარი მკაფველი. აბა, მე იქ ვიღას ვახსოვარ. უიტმენი თუ ვთარგმნე, როგორც მინდა, ისე, ქე გამოვცემ საახალწლოდ და ჩემი სახელით, ალბათ, აღარ გამოვცემ წიგნებს. ფსევდონიმები კი მაქვს თავზე საყრელი და...

ამელი: რატომ ამბობ საკუთარ სახელზე უარს?
შალვა: თარხნიშვილი რომ ვიყო, უარს არ ვიტყოდი არავითარ შემთხვევაში. იმ რეცეპტისათვის, რომელსაც ვეძებ, ჩემი სახელ-გვარი საჭირო არაა, არაფერს წყვეტს. ისე, არის ხალხი, ფსევდონიმებშიც მცნობს, შენ კი ვერა.

ამელი: მე ნუ გადმომწვდი... შალვა ბაკურაძეს ძალიან ბევრი ლიტერატურული სახელი აქვს. მოგვიყევი შენს ფსევდონიმებზე.

შალვა: სასაიტე კაცი მაინც არ ვარ. საიტს ვიყენებდი ათასგვარი ფსევდონიმების მოსაფიქრებლად. თუ გაგიგიათ, ადრე იყო ასეთი პოეტი ფერნანდო პესოა, პორტუგალიელი. მას ოცდაათამდე ფსევდონიმი ჰქონდა. ეს ფსევდონიმები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. ყველა სხვადასხვა სტილში წერდა: ზოგი პროზას, ზოგი პოეზიას, ზოგი ავანგარდისტი იყო, ზოგი ტრადიციულ ლექსს მისდევდა. მეც მას მივბაძე, მაგრამ არც მე აღმოვჩნდი ფერნანდო პესოა და არც საიტის საზოგადოება აღმოჩნდა ისეთი, რომ ებიძგა ჩემთვის, მისნაირი გავმხდარიყავი. ბევრი ჩემი ლექსი იწერებოდა პირდაპირ ინტერნეტში ისე, რომ ფურცელზე არ დარჩენილა და, სამწუხაროდ, ზეპირადაც ცუდად ვიხსენებ.

ამელი: ის მითხარი, როგორი იყო შენი სახლი...

შალვა: დედით რაჭველი ვარ, ბებია-ბაბუითაც, მამითაც, ძმითაც _ სულით კი აფხაზი ვარ მაინც.

ამელი: აბა, ერთი კარგად ამიხსენი, რა დიალექტიკაზეა საუბარი?

შალვა: ამელი, ამბობენ, ჩემი სახლი როგორიც იყო, ისეთი ვეღარ არისო, სულ შენს ხსენებაშიაო, მამაშენსაც ახსენებს ხშირად და ყველა დანარჩენებსაო, შენ კი ყველაზე მეტად ენატრებიო, თმა სულ გაუთეთრდაო, იღლიებიდან ბალახი ამოეზარდაო, ფანჯრებში ცრემლი ჩაუდგაო, გულს უჩივისო...

ამელი: შაკო, შენ გეცოდინება, მართლა იხრჩობა ყოველ საღამოს მზე ზღვაში?

შალვა: ეგ ვინ მოგატყუა, მზის ჩასვლაზე უფრო კარგი რამ ზღვიდან მზის ამოსვლაა. სოხუმში მზე ზღვიდან ამოდის და ზღვაში ჩადის.

ამელი: მოდი, ქართულ ლექსზე მოგვიყევი.

შალვა: თავის დროზე ძალიან ბევრი ვიმეცადინე, რომ შემესწავლა ქართული ლექსის ფორმა, მისი შინაგანი სტრუქტურა. ქართული ლექსი თავის დროზე ბერძნული ლექსის ზეგავლენით შეიქმნა. შემდეგ აღმოსავლეთიდან რითმები და მსგავსი ატრიბუტები დაიმატა და, სანამ ბერძნულის გავლენის ქვეშ იყო, ქართული ენა ვითარდებოდა, როგორც ბერძნულის მსგავსი. ბერძნულ ენას აქვს მახვილი და შედგება გრძელი და მოკლე მარცვლებისგან. გრძელი და მოკლე მარცვლების მონაცვლეობა იწვევს რიტმის შეგრძნებას, რაზედაც არის ძველბერძნული პოეზია დაფუძნებული. თავის დროზე ქართველებმაც სცადეს, მაგალითად, ეფრემ მცირემ. მისი იამბიკოები ძალიან საინტერესოა და ამ იამბიკოების სრული სტრუქტურული წიგნი ქართულად არის.

ამელი: შალვა, ყოველთვის იყო მამათა და შვილთა ბრძოლა, რომელიც დღესაც გრძელდება. შენ რომელი თაობის პოეტი ხარ?

შალვა: მამებთან ბრძოლა არის გაცილებით ადვილი და სასიამოვნო, იმიტომ რომ იცი, რომ უყვარხარ და არასდროს გაგიმეტებს. მე ისიც არ ვიცი, მწერლად ვითვლები თუ არა. ადრე უფრო ვთვლიდი თავს მწერალად, დღეს არ ვიცი.

ამელი: ზოგადად, რას ფიქრობს შალვა ბაკურაძე პოეზიაზე, რა პრობლემა დგას პოეზიის წინაშე?

შალვა: ყოველთვის ვფიქრობდი, თუ რატომ ვწერ. დასაწყისში, როდესაც წერას იწყებ, ძალიან ბევრ ლექსს ქმნი. შემდეგ უკვე ბევრს აღარ წერ და ცდილობ, რომ დააკვირდე შენს ლექსებს და ცდილობ სრულფასოვან ტექსტად აქციო. აქ უკვე ჩარჩოებში აქცევ შენს ნაწერს. რადგან ჩარჩოებში ვაქცევ, ესე იგი, უკვე ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვა უნდა ჰქონდეს ლექსს. დღეს მე ვერ ვგრძნობ პოეზიის დატვირთვას დღევანდელ საზოგადოებაში. პირველად

ადამიანი რომ ამეტყველდა, ალბათ, ლოცვისთვის ამოიდგა ენა. ეს მოხდა მაშინ, როცა ადამიანი მოშორდა ღმერთს, როცა სამოთხიდან გააძევეს და ენა იმისთვის მიეცა, რომ სამოთხე დაებრუნებინა. ამას წინათ ვუყურე რამდენიმე ფილმს, რომლებიც ათასგვარი პრობლემით იყო დატვირთული. უცებ გავიფიქრე, რა სისულელეა?! ადამიანები ფილმებს იღებენ თავიანთ ცხოვრებაზე. ადამიანები ხომ ცხოვრებას თვითონ იგონებენ. მაგალითად, უნდა ჩაიცვან შესაფერისად. ჩოხით რომ მოხვიდე, ზოგი იტყვის, გიჟიაო, ზოგი კი, პირიქით, ორიგინალურიაო. ჩაცმა, დახურვა, წერა, ჭამა, სმა ერთ დიდ სისულელედ ჩანს იმასთან შედარებით, რა დანიშნულებაც აქვს პოეზიას. თუ მიაგენი პოეზიის დანიშნულებას, ხომ კარგი. და რატომღაც ბოლო ერთი წელია ვფიქრობ, რომ სჯობს საერთოდ არ ვწერო. ყველაზე მწარე განცდაა, როდესაც ფიქრობ, რომ შენ რაღაც შესანიშნავი შექმენი და ერთ მშვენიერ დღეს წაიკითხავ ლექსს და ერთ დიდ სისულელედ მოგეჩვენება. ერთი თვის წინ მქონდა შეგრძნება სახარების კითხვისას. სახარების ყოველი სიტყვა ჩემთვის წმიდა იყო. ერთ დღეს კი წავიკითხე ისეთი თვალით, რომ თითქოს ვიღაც მეზობელ გიჟზე იყო ვიღაც სხვა გიჟების მიერ დაწერილი. რა გულითაც დაიწყებ კითხვას, იმ გულით დაამთავრებ. კარგის დანახვას მოინდომებ, კარგს დაინახავ და პირიქით. ერთხელ ყველაზე ახლო მეგობარმა ბესო ხვედელიძემ მითხრა, რომ მთელი შენი წიგნი თავიდან ბოლომდე «ბლატაობა» არისო.

ამელი: რას ფიქრობ კრიტიკაზე? და არსებობს თუ არა კრიტიკა დღეს?

შალვა: სოხუმიდან ჩამოსვლის შემდეგ თბილისზე პირველი შთაბეჭდილება უნივერსიტეტში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე მივიღე. სოხუმი ლიტერატურის მხრივ ჩემს მოთხოვნებს და სურვილებს ვერ აკმაყოფილებდა. ლიტერატურულად არასოდეს ყოფილა წინ წასული. თბილისში ლიტერატურა უკეთ იციან. არიან მწერლები, პროფესორები და ა.შ., მაგრამ რეალურად კრიტიკა არ არსებობდა. ისმოდა ქება-დიდება. კრიტიკას ეძახდნენ იმას, რომ ვიღაცა იტყოდა დაუსაბუთებლად, ¬ მე ეს ლექსი არ მომწონსო.

ამელი: რას ფიქრობ პოეტურ გაერთიანებებზე? რამდენად მდგრადია ასეთი გაერთიანებები?

შალვა: პოეტები გართობისათვის ხშირად ერთიანდებიან. ჩვენც გვქონდა გაერთიანებები. თუმცა თავიდანვე შევთანხმდით: ეს გაერთიანება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ რაიმეთი ვგავართ ერთმანეთს. ყველა მიმდინარეობას თავისი მანიფესტი ჰქონდა. ამ მანიფესტის ერთგულები იყვნენ, მაგრამ არც ერთი გაერთიანებიდან არაფერი გამოსულა.

ამელი: თქვენ რისთვის და რატომ გაერთიანდით?

შალვა: ჩვენ გვქონდა საუკეთესო ლიტერატურული გაზეთი, რომლის გამოცემაც შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, თუმცა ბევრმა მიზეზმა შეგვიშალა ხელი. გაზეთს ერქვა «სუფთა წერა». მისი დამფუძნებელი იყო შვიდი ადამიანი, შვიდივეს თანაბარი უფლებები გვქონდა. ყველას შეგვეძლო მოგვეწვია სხვადასხვა ადამიანები გაზეთში დასაბეჭდად.

ამელი: საუბრის დასასრულს მკითხველზეც შეგეკითხები. შენი აზრით, რას ითხოვს დღეს მკითხველი პოეტისაგან?

შალვა: მკითხველი მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მოკლე ლექსები დაიწეროს.

წერის დროს მწვერვალი არ ჩანს

ებლიტფო: ვიცი, რომ შენს მოთხრობებში დასაწყისი _ პირველი წინადადება, პირველი აბზაცი _ ძალიან მნიშვნელოვანია. შენ თვითონ როგორ დაიწყე წერა?

თეონა დოლენჯაშვილი: _ ჩემი დასაწყისი, რა თქმა უნდა, ბავშვობას უკავშირდება. მახსოვს, ხუთი წლის ასაკში როგორ შევთხზე პირველი ლექსი, რომელიც ბებიაჩემმა მწვანეყდიანი, ცალხაზიანი რვეულის პირველ გვერდზე ჩაწერა და ამით თითქოს ერთგვარი მისია დამაკისრა _ იმ რვეულის ფურცლები ბოლომდე შემევსო. მას შემდეგ სულ რაღაცას

ვთხზავდი, სხვადასხვაგვარ რვეულებში ვიწერდი და ჯერ ბავშვობის უდარდელ და ათასგვარი გასართობით სავსე, შემდეგ კი დიდობის ათასგვარი საზრუნავით გამოტენილ უჯრებში ვივიწყებდი. საკუთარ თავს ისეთ მოთხრობებს ვუწერდი, რომლებსაც, როგორც მკითხველი, სიამოვნებით წავიკითხავდი. მოგვიანებით დავინტერესდი, ის მოთხრობები სხვა მკითხველსაც თუ მოეწონებოდა და დასაბეჭდად ჟურნალ «ჩვენს მწერლობაში» მივიტანე. იმავე ნომერში რომ არ დაბეჭდილიყო, მეეჭვება, ეს საქმე (გამოქვეყნებას ვგულისხმობ) ოდესმე ისევ მეცადა.

ებლიტფო: რატომ? ასე მნიშვნელოვანი იყო პირველი პუბლიკაცია?

თეონა: არა. იმ ეტაპზე ეს ჩემთვის მხოლოდ ექსპერიმენტი იყო, ერთგვარი ტესტი. თუ არ დაიბეჭდებოდა, ჩავთვლიდი, რომ, როგორც ავტორი, ჯერ კიდევ არ ვიყავი მზად, სხვისი ყურადღება დამემსახურებინა.

ებლიტფო: საბედნიეროდ, ექსპერიმენტმა გაამართლა...

თეონა: ასე გამოდის. მას შემდეგ აბსოლუტურად ყველა ტექსტი, რომლებიც დავწერე, ჯერ ლიტერატურული პერიოდიკის ფურცლებზე მოხვდა, მერე რაღაც-რაღაც პრიზები და ჯილდოები მოიპოვა, ორი წლის შემდეგ გამომცემელი გამოუჩნდა (ბაკურ სულაკაური) და, გაგიკვირდებათ, მწვანეყდიან წიგნადაც იქცა. შეიძლება, ასეც ითქვას: ჩემი მოთხრობები იმ შვილებს დაემსგავსნენ, სწრაფად რომ დაიზრდებიან და თავიანთ ჭკუაზე, შენგან დამოუკიდებელ ცხოვრებას დაიწყებენ.

ებლიტფო: ახლა ისიც ვთქვათ, შენი ყველაზე ურჩი და ჯიუტი ან ყველაზე წარმატებული «შვილი» რომელია. რომელი გიყვარს ყველაზე მეტად?

თეონა: შვილებს, როგორც წესი, ერთმანეთისგან არ არჩევენ. ძალიან მიყვარს ჩემი პირველი მოთხრობები «სოდომი» და «მისამართი _ ელენი». თუ მკითხველთა ქათინაურების მიხედვით ვიმსჯელებთ, წარმატებულია: «აჩრდილი», «ვენეტა», «სიჩუმის სამი ნაპირი», «განსაკუთრებული საქმე»... «ექსპედიცია» და «ფიდაი», რომლებიც მოხვდნენ სხვადასხვა წლის «15 საუკეთესო მოთხრობათა» კრებულებში.

ებლიტფო: «ფიდაი», ალბათ, მაინც ყველაზე ხმაურიანი და პოპულარული აღმოჩნდა...

თეონა: მართალი ხარ. ხმაურიანი და პოპულარული და ყველაზე თავნებაც. «პირველივე» თავად წარმართა. შეიძლება, ცოტა სასაცილოც კია, რომ მასზე, როგორც ცოცხალ და რეალურ ადამიანზე ვსაუბრობ, მაგრამ ისეთი განცდა მაქვს, რომ ეს გოგო სულ უკან დამყვება თავისი ბომბებით სავსე ზურგჩანთით. ჩემთან, როგორც ავტორთან, მისი იდენტიფიცირებაც არაერთხელ მოუხდენიათ. ბევრი ფიდაისაც კი მეძახის. არადა, აბსოლუტურად მშვიდობიანი ადამიანი ვარ და, თუ რამის აფეთქების სურვილი მიჩნდება, უფრო ლიტერატურულ და ესთეტურ კონტექსტში, ანუ მხოლოდ სიცოცხლის, სილამაზისა და სიყვარულის მიზნით.

ებლიტფო: როგორ ფიქრობ, რაში მდგომარეობს «ფიდაის» წარმატების საიდუმლო?

თეონა: პირველ რიგში, სიუჟეტი აღმოჩნდა ძალიან მომგებიანი. თავად ტერორიზმის თემა, ჩემი აზრით, აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, ის ნაღმი, რომელიც მოთხრობის დასაწყისშია ჩადებული, გამუდმებით წიკწიკებს, ფეთქავს და წარმოუდგენელია, ეს მღელვარება, რიტმი, სასპენსი არ იგრძნო და ტექსტი ბოლომდე არ ჩაიკითხო. მოთხრობაში ფიდაი თავს იფეთქებს, მიუხედავად იმისა, რომ რაღაცეები შეიცვალა. ფიდაი ფეთქდება ფილმშიც, რომელსაც რეჟისორი გიო მგელაძე იღებს. შეიძლება პარადოქსულია, მაგრამ, ამ ფერფლისა და უბედურების მიუხედავად, რჩება სიყვარული, რომელიც ფენიქსივით თავიდან აღადგენს მას.

ებლიტფო: სად და რატომ გარბიან შენი გმირები? რას ან ვის გაურბიან? რა არ მოსწონთ და რა არ აკმაყოფილებთ? შენც იზიარებ მათ პოზიციას?

თეონა: გააჩნია, გაქცევას რას ვუწოდებთ. თუ გარემომცველი რეალობა არ გაკმაყოფილებს, მისგან გაქცევას სჯობს, ეს რეალობა შეცვალო. თუმცა ყოველთვის არ გამოდის. მე, პირადად, თუ ამას ვერ ვახერხებ, ლიტერატურას ვაფარებ თავს. იქ კი ყველაფერი ისეა, როგორც მე მინდა. ჩემი გმირებიც დაახლოებით ასე იქცევიან. არ მოსწონთ და ამ რეალობის შეცვლის საკუთარ გზებს ეძებენ, თუმცა, რამდენად მართებულს, ეს სხვა საქმეა. ზოგი სიყვარულის ფრთებქვეშ იმალება («ფრთები»); ზოგს ეჩვენება, რომ დიდი ექსპედიციის მონაწილეა და ახალი ცივილიზაციისა თუ უკეთესი სამყაროს აღმომჩენი («ექსპედიცია»); ზოგი ბიურგერებს ძარცვავს («ცარიელი ცა») ან პოლიტიკოსებს აფეთქებს («ფიდაი»). ზოგიერთი მარტოობას და სიბერეს ებრძვის და, თუ ვერ უმკლავდება, იცის, რომ ეს გამარჯვება იქ, იმ ქვეყნად, მაინც ელოდება («ლიანა, ვერა, ნორიკო»).

ებლიტფო: მოკლედ, ის, რაც ჩვენს ირგვლივ არის, არც ისე კარგი და არც ისე მისაღებია?

თეონა: ძალიან ბევრი რამ არ არის კარგი და მისაღები. მაღიზიანებს გულქვაობა, ცალსახობა, სიყალბე, სნობიზმი. მაღიზიანებს ის, რომ ერთმანეთს არ ვუსმენთ, ვერ ვუგებთ. ვერა და ვერ დავლაგდით. არ მინდა, ეთნოფსიქოლოგიაზე ვისაუბრო და ვთქვა, რა ცუდები ან კარგები ვართ ქართველები, მაგრამ, ფაქტია, რომ შაბათის შოუებისა და იუმორინების ესთეტიკას ვერ ვცდებით, რომ ტელევიზიებიდან ჩვენი ფსევდოელიტა ცრუ მორალს ქადაგებს, რომ შადრევნები ჩვენი ქალაქის მთავარი «სამკაულია», ხოლო ჟურნალი «სარკე» ყველაზე საინტერესო საკითხავი და ასე შემდეგ... გოგი გვახარიამ თქვა და არ შეიძლება არ დავეთანხმო, რომ ეს ყოველივე თანმიმდევრობისა და სტილის უქონლობაზე მიუთითებს. სტილი კი მთავარია.

ებლიტფო: რატომ? მე მგონია, რომ ნამდვილ ლიტერატურასაც ჰყავს მკითხველი.

თეონა: ჰყავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა. არავის ეწყინოს, მაგრამ მეჩვენება, რომ ეს სულ ასე იყო და წიგნების სიიაფე-სიძვირე აქ არაფერ შუაშია. ადრე მოდაში იყო თაროებზე მწყობრად ჩამოწიკწიკებული ლამაზყდიანი წიგნები. მიყვარს წიგნების ქექვა და ბევრგან მინახავს საერთოდ გადაუშლელი, მხოლოდ საკუთარი ნაკითხობისა და ინტელიგენტობის დამადასტურებელ «სამშვენისებად» ქცეული მრავალტომეულები. გულწრფელად მეცოდება ის, ვისაც ლიტერატურული ადრენალინის სიმძაფრე არ გამოუცდია, ვინც ამით არ მოწამლულა. ეს ისეთი სამყაროა, რომელსაც ვერავითარი სანახაობა, ტელევიზორი თუ კომპიუტერი ვერ შეცვლის.

ებლიტფო: ამ მკითხველთან მისასვლელი გზები თუ არსებობს და შენ თვითონ თუ ეძებ ამ გზებს?

თეონა: არსებობს როგორც პროფესიონალი, ისე პოტენციური მკითხველი. თუ პირველი თავად გეძებს და გპოულობს, მეორესთან, ჩემი აზრით, შენ უნდა მიხვიდე. როგორ? წიგნიც ხომ პროდუქტია. მასაც ერთგვარი «ბრენდინგი», შეფუთვა, რეკლამა, «პრომოუშენი» სჭირდება. ჩემი აზრით, საერთოდ, წიგნი, კითხვა უნდა გახდეს მოდური, პრესტიჟული, კარგი ტონის, სტილის მაჩვენებელი. იქნებ მიდგომები შევცვალოთ. წიგნი იქ მივიტანოთ, სადაც ეს პოტენციური მკითხველი მოძრაობს. აქციები, კითხვები, პრეზენტაციები განსხვავებულ სივრცეში გავმართოთ, ვთქვათ, ქუჩაში, კლუბში ან, თუნდაც, საჰაერო ბურთში. და თუ დღეს ჩვენი მედიისთვის ლიტერატურა რეიტინგული თემა არ არის, ამ ტიპის «ივენთს», დარწმუნებული ვარ, ყველა ტელევიზია გააშუქებს. იქნებ მაშინ მაინც აიღოს თინეიჯერმა ხელში წიგნი, მერე შიგნით რომ ჩაიჭყიტავს და წაიკითხავს, დარწმუნებული ვარ, დაინტერესდება, ჩაერთვება და «კლიმადაც» იქცევა. ეს ის «კარცერი ლუქსია», რომელზეც გურამ დოჩანაშვილი წერდა, თუმცა უფრო შენიღბული და არაძალადობრივი.

ებლიტფო: შეიძლება, შენი ახალი წიგნის პრეზენტაცია საჰაერო ბურთში გამართო?

თეონა: რატომაც არა. თუმცა, მე პირადად არ მინდა, რომ ადამიანებმა აქ მხოლოდ ორიგინალობის, გამორჩევის სურვილი დაინახონ. მთავარი წიგნია და ის, თუ შიგ რა წერია. თუკი «პროდუქტი» არ ვარგა, რაც უნდა არეკლამო, არ გაიყიდება.

ებლიტფო: მოდი, გავიხსენოთ შენი საღამო, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო. მკითხველთან შეხვედრის ფორმა, ამ შემთხვევაში, ტრადიციული იყო?

თეონა: არ ვფიქრობ, იმდენი რამ შევქმენი, რომ ჩემს მკითხველებთან საღამოები გავმართო. ამიტომ საღამოზე მოსული ადამიანებისთვის ერთი ფოტო-მოთხრობა წავიკითხე, რომელიც მამის, გურამ დოლენჯაშვილის, მოგზაურობის ჩანაწერების მიხედვით დავწერე. პარალელურად, კლასიკური მუსიკის ფონზე, ეკრანზე მამის ნახატების პროექცია მიდიოდა. ეს იყო სიტყვის, ნახატისა და მუსიკის ერთგვარი სინთეზი.

ებლიტფო: მამა მხატვარია. იმ გარემომ, რომელშიც იზრდებოდი, ალბათ, თავისებური კვალი დატოვა შენზე?

თეონა: მამა დიდი ხანია, საზღვარგარეთ ცხოვრობს და მოღვაწეობს. იქ აქვს მიღწევები, გამოფენები და თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლადაც მიიჩნევენ. თბილისში კი, სამწუხაროდ, ბოლო პერსონალური გამოფენა ოცი წლის წინ ჰქონდა. რაც შეეხება გავლენებს, ეს, გინდა თუ არა, მაინც ჩნდება. ბავშვობის წლებიდან ათასგვარი განცდა, ფერი თუ მოტივი მომყვება. განსაკუთრებით იდუმალი მამაჩემის სახელოსნო იყო _ ნახატებით, მეთევზის ბადეებით, ოკეანის ქვებით, მარჯნის პეპლებით, ვეშაპის ძვლებითა და ათასგვარი ეგზოტიკური ნივთით სავსე. სულ მუსიკა ისმოდა და მამა, თუ არ ხატავდა, ფოტოსლაიდებს აჩხაკუნებდა კედელზე. ასე ვმოგზაურობდი იმ მიწებზე, სადაც მამაჩემს დაედგა ფეხი. ახლაც ასე ვმოგზაურობ, ამჯერად კი უკვე იმ მიწებზე, სადაც მხოლოდ ჩემს წარმოსახვას დაუდგამს ფეხი.

ებლიტფო: ამჟამად სად მოგზაურობს შენი წარმოსახვა?

თეონა: ჩემი წარმოსახვა ახლა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების თბილისში ტრიალებს. მინდა სქელტანიანი ნაწარმოები შევქმნა. ჯერ არ ვიცი, საბოლოოდ რა ბედი ეწევა ჩემი რომანის გმირს, მაგრამ ვხვდები, რომ ბევრი სირთულის გადატანა მოუწევს, რადგან მისი ბავშვობა და ახალგაზრდობა ჩვენს ქვეყანაში ბოლო ოცწლეულის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს ემთხვევა.

ებლიტფო: არსებობს რამე, რასაც წერის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებ?

თეონა: ჩემთვის მხოლოდ ორი რამ არსებობს: ეს არის «რა» და «როგორ», «რა» _ სათქმელია, რომელიც თუ არ გაქვს, ყველაფერს აზრი ეკარგება. შემდეგ ამ ამბის, სათქმელისთვის ფორმის მოძებნაა მნიშვნელოვანი. მე მიყვარს, როდესაც ტექსტი შეკრულია, თანაბარი, შრეებიანი, მუსიკალური... იდეალური მხატვრული ტექსტი, ჩემი აზრით, ოკეანეს უნდა წააგავდეს, სადაც შეგიძლია ჩაყვინთო და მისი სიღრმიდან ათასგვარი რამ ამოიტანო. თუ სათქმელიც მაქვს და ფორმასაც მივაგენი, წერის პროცესი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს მიუხედავად იმისა, რომ ეს უმძიმესი და ურთულესი საქმეა. მილორად პავიჩს დავესესხები და ვიტყვი, რომ ეს, მართლაც, სიზიფეს შრომას წააგავს და მთავარია, ლოდი, რომელსაც აღმართზე აიტან, ბოლო წამში არ დაგიგორდეს. მწვერვალი კი წერის დროს საერთოდ არ ჩანს ხოლმე. ყველაზე ზუსტი მეტაფორა ამ შემთხვევაში გურამ დოჩანაშვილმა მოძებნა _ საქმე, სახელად «დიადი ვერასოდეს».

თავისუფლება ჰორიზონტის ხაზივითაა, მას ერთხელ და სამუდამოდ ვერ მიაღწევ

მაია სიმონიშვილი: მედეა, ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. დაგვიხატე სიტყვებით შენი ბავშვობა, პირველი შეხება წიგნთან.

მედეა იმერლიშვილი (ინანა): ბავშვობიდან მიყვარდა კითხვა. ეს არაჩვეულებრივი საშუალება იყო განმარტოებისთვის. ასე იწყება საკუთარ თავთან მიახლოების გზა. ასე სწავლობ, ალბათ, ამ გზაზე დადგომას. ასე სწავლობ ფიქრსაც, როცა წიგნთან ერთად წინ მთელი სამყარო გეშლება. ასე მარცვალ-მარცვალ გროვდება, ალბათ, სათქმელიც, რომელიც მერე ამოვა. ჯერ უნდა დაგროვდეს. ჯერ უნდა მოგროვდე, შეიკრიბო, დაიბადო და თვალი ამოახილო. მერე, მოტრიალდე და ადამიანებს, რომლებიც შენგან რაიმეს ელიან, ან არ ელიან, რაიმე უთხრა. ასე რომ, წერა, შეიძლება ითქვას, გვიან დავიწყე. ბავშვობაში ბევრს ვხატავდი. მხატვრების ოჯახში დავიბადე, ძმებიც მხატვრები მყავს. ბავშვობის ერთ-ერთი პირველი შთაბეჭდილება და მოგონებაა პაპის მოლბერტი და ზეთის საღებავების სუნი პატარა ოთახში. მერე და მერე უკვე, თიხიდან, მიწის გროვიდან, ასე უცნაურად, ფორმის დაბადება, ამოყვანა, გამოწვა, მათი შეფერვა _ ეს უკვე ჩემი მშობლების სამყაროა და ბავშვობიდან ამას შევცქერი. ხატვა მეც მიყვარდა. დავსხდებოდით მე და ჩემი ძმა და ვხატავდით. შეგვეძლო მთელი დღე გვეხატა. ეს, ჩვენთვის, სრულიად ჩვეულებრივი, ყოველდღიური საქმიანობა იყო.

ბავშვობის დიდი ნაწილი კახეთში, ბებიასთან მაქვს გატარებული. ჩემი ბავშვური წარმოსახვა სოფელმა ასაზრდოვა, მიწის სურნელთან სიახლოვემ. თამაშიც კი მიწასთან მიყვარდა. ხეების შრიალი, მათი დაღარული სხეულების თვალიერება, ფოთლების სურნელი, ვენახი და ვაზი, პაპა, ზურგზე ვაზის შესაწამლი აპარატით, შაბიამნის ზღაპრული ფერი ხასხასა სიმწვანეში მიყვარდა. ფერადი ღილებით თამაშიც მიყვარდა. ბებოს ცისფერი ზარდახშა, ღილებით სავსე, ჩემი დიდი და სანუკვარი გასართობი იყო. წამოვშლიდი, ვათვალიერებდი, ულამაზეს მოზაიკად მეშლებოდა, ზღვის სველი კენჭებივით, მზეზე აბრწყინებულებივით. მიბრაზდებოდნენ ხოლმე, რას დაეძებ ამ ღილებშიო.

ჩემი პირველი ბიბლიოთეკაც სოფლის ერთი პატარა და ძველი ბიბლიოთეკა იყო. წიგნების სუნი ტრიალებდა და მეტი რა მინდოდა, ხშირად ვსტუმრობდი. ჩემი სკოლის ბიბლიოთეკაც მიყვარდა. მისი თანამშრომლები კეთილად მეპყრობოდნენ და წიგნების უზარმაზარი თაროებისკენ გზა ხსნილი მქონდა. მახსოვს, ძალიან ბედნიერი წუთები იყო. ჩემი სკოლაც მიყვარდა, თბილისის პირველი საშუალო. მაშინ ასე ერქვა. ძველი კიბეებით, დარბაზებით, სცენითა და სილამაზით, ძველი კედლებით.

მაია: ფარდაგების ქსოვა როდის დაიწყე?

ინანა: ჩემს მშობლებს ერთი მეგობარი ჰყავდათ, გობელენებს ქსოვდა. ბავშვობაში, ერთხელ, მის სახელოსნოში წამიყვანეს. გაქსელილი ჩარჩო, გაშლილი ძაფები, სხვადასხვა ფერის, რაღაცნაირი, აწეწილობაშიც კი მშვიდი გარემო იყო. იმის შემდეგ წლები გავიდა. ეს ოცნება, ძაფების სითბოსთან, გაქსელილ ჩარჩოსთან მიჯდომის, ქსელისთვის თითების აყოლების და ძაფების არეული გროვიდან რაღაცის ამოქსოვის, ავიხდინე. მას შემდეგ სულ ვქსოვ. ხმის ამოღებამდე, რაღაცის სიტყვებით ამოთქმამდე ბევრი ვიარე ჩუმად ამ დახვეულ ლაბირინთებში. ჩემს ფარდაგებზე ჩნდებოდნენ ზღაპრული ფრინველები, უცხო ფრინველები, გასაღებები, ლაბირინთები, ჭიდან დანახული ვარსკვლავები, უდაბნოები და წყალიც, უდაბნოში, ყაყაჩოები მზით სავსე ველზე, ძველისძველი ორნამენტები, ჯადოსნური ცხოველები, გზაჯვარედინები, რომლებიც ბავშვობიდან მასაზრდოვებდნენ. ეს ფარდაგები იყო ჩემი პირველი პასუხი იმ ზღაპრებისთვის დაბრუნებული, ბავშვობიდან რომ ვკითხულობდი და ახლაც ვკითხულობ.

მაია: შეგიძლია, საყვარელი წიგნები ჩამოგვითვალო?

ინანა: დღე უწიგნოდ, ჩემთვის მკვდარი დღეა. ასეთი ძალიან ცოტაა, ალბათ, არ მემეტება დღეები მოსაკლავად. როცა წიგნი მაინტერესებს, ინტერნეტბიბლიოთეკიდანაც სიამოვნებით ვსარგებლობ, როგორც კი დამყარდება კავშირი, მერე უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, მუხლზე მიდევს გადაშლილი თუ ეკრანს შევჩერებივარ. ხშირად ხდება, ხშირად კი არა, ალბათ, სულ ასეა, ერთდროულად რამდენიმე წიგნს ვკითხულობ და არასოდეს მიწყდება ძაფი. ასე, შემიძლია ერთდროულად ვუერთგულო რამდენიმე მათგანს. თამამად შემიძლია

იმის თქმაც, რომ წიგნთან შეხვედრაზე სასიამოვნო და სრული შეხვედრა არ მეგულება. წიგნები, რომლებიც სულ თან მაქვს ყველანაირი გაგებით, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ: «ოდისეა», «დავითიანი», ახალი აღთქმა, თუმცა, ძალიან მიყვარს ძველი აღთქმიდანაც ცალკეული თავების კითხვა, «ღვთაებრივი კომედია», «მობი დიკი», ბორხესის ნოველები, ბროდსკის ლექსებისა და ესეების კრებული, მირჩა ელიადეს მხატვრული პროზა, პრუსტი, სელინი, იურსენარი, კორტასარი, თომას მანი, «ბჰაგავატგიტა», ძველი ინდური საგალობლები, ქართული აგიოგრაფია...

მაია: წერა გვიან დაიწყე. რამ მოგცა პირველი იმპულსი, რა იყო ის, რაც ჩვეულებრივ საუბარში ვერ თქვი და შემოქმედებაში გადაიტანე. გვიამბე «ჩემი ლაბირინთის» შესახებ და როდის იხილავს მას მკითხველი?

ინანა: ბევრი ვიარე, თუ ცოტა ვიარე, ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, რაიმე მეთქვა. ასე დაიწყო «ჩემი ლაბირინთი» _ იმ ზღაპრებთან, იმ წიგნებთან ჩუმი ბაასი, რომლებმაც თავის დროზე რაღაც მითხრეს და ერთგულად მემეგზურებოდნენ წლების განმავლობაში ამ დაკლაკნილ გზებზე. ზღაპრის გმირებთან ერთად კიდევ ერთხელ გავუყევი გზებს, ვინ იცის, საით. მირჩა ელიადეს, ჩემს საყვარელ რუმინელ მწერალს და მოაზროვნეს, აქვს ასეთი სიტყვები: ,,ცხოვრება არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ლაბირინთით, გამოცდის წინაშე დაუსრულებლად დგები». ის გმირებიც, რომლებსაც მივუძღვენი ეს ჩემი წიგნი, ხშირად დგებიან გამოცდის, გზაჯვარედინის, არჩევანის წინაშე ათას დაბრკოლებას გადალახავენ, ათას განსაცდელს გადაივლიან და თვალი მაინც ისევ, სულ ჰორიზონტისკენ, იმ უხილავი სამშობლოსკენ გაურბით. ეს წიგნი ყველა დროისა და ქვეყნის ოდისევსებს ეძღვნებათ.

ამის მერე დაიწყო ლექსები _ სიტყვასთან, ამ ურთულეს და უფაქიზეს, თან უძლიერეს ფენომენთან სრულიად ახალი ურთიერთობა, პასუხისმგებლობა სიტყვის წინაშე. იტყვი, თუ ვერ იტყვი სათქმელს, თუ ბოლომდე არ შეკრავ, ბოლომდე არ გაწმენდ ზედმეტი მინარევებისგან, მაშინ აზრი არა აქვს. სულ უფრო მეფიქრება კომუნიკაციაზე. რას ეუბნება ჩემი ლექსები მკითხველს, მიაქვს მათთან ის, რისი თქმაც მსურდა?

რაც შეეხება იმას, როდის იხილავს ,,ჩემს ლაბირინთს» მკითხველი, თუ გამოცემას გულისხმობთ, არ ვიცი, ამას ნამდვილად ვერ გეტყვით. ჩემს რამდენიმე მეგობარს წაკითხული აქვს.

მაია: საინტერესოა, ცხოვრებაში ხშირად თუ ხვდები ლაბირინთებში და რა იქცევა ამ დროს არიადნეს ძაფად?

ინანა: გააჩნია, რას მოვიაზრებთ ამ სიტყვაში. ცხოვრება ხშირად გვაყენებს არჩევანის წინაშე. საით წახვალ, რომელ გზას აირჩევ, საქმეც ეს არის. ამ არჩევანით ვპასუხობთ უფალს. შეცდომასაც ხშირად ვუშვებთ, არასწორ გზასაც ვადგებით, მერე ისევ უკან გვიწევს დაბრუნება, და ყველაფერი იწყება თავიდან. არიადნეს ძაფი კი, ხმამაღალ სიტყვად არ მინდა გეჩვენოთ, მაგრამ რწმენაა ღვთის, საკუთარ თავში ღვთის მარცვლის. ყური უნდა უგდო და არ უნდა უღალატო შენს შინაგან ხმას. არ არსებობს სიტუაცია, რომელსაც არ აქვს გამოსავალი. «სხვა გზა» ყოველთვის არსებობს. არც ლაბირინთი არსებობს გამოუღწეველი. ვინც ლაბირინთის დაკლაკნილ დარანებს თავს ვერ აღწევს, იმის გამო კი არა, რომ იქიდან გამოღწევა შეუძლებელია, იმიტომ რომ ის საკუთარ თავს ლაბირინთის უხილავ ბილიკებზე შედგომამდე ეკარგება.

მაია: რას იტყვი თაობების კონფლიქტზე ლიტერატურაში და რამდენად რეალურია იგი, თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვადასხვა თაობა ერთმანეთს ამდიდრებს? შენ აღნიშნე, რომ გაკვირვებს თაობათა შორის დიალოგზე საუბარი.

ინანა: როდესაც ამას ვამბობდი, სხვადასხვა თაობის მწერლებს ვგულისხმობდი, მათ ურთიერთობას. ჩვენ ვამდიდრებთ ერთმანეთს. თუ ურთიერთგაგება ვერ შედგა, ეს, შესაძლოა, არც იყოს სხვადასხვა თაობისთვის მიკუთვნებულობის ბრალი. ასაკს და თაობას, შეიძლება,

სულაც არ ჰქონდეს მნიშვნელობა. ეს «გაგება» ან ხდება, ან არა, გააჩნია, რას ვდებთ სიტყვებში «ცხოვრება», «შემოქმედება», «ლიტერატურა», და რა გამოგვაქვს მათგან, როცა არსებობს მოსმენის სურვილი, კონფლიქტამდე აღარ უნდა მივიდეს საქმე. არის რაღაც, რაც წლებს და თაობებს არ ემორჩილება.

მაია: შენი, როგორც მკითხველის, აზრით, რა მიმართულებით ვითარდება ქართული მწერლობა?

ინანა: ყველაფერი ლოგიკურად ვითარდება და ამას დრო უკეთ აჩვენებს. ამასწინათ ერთმა ქალბატონმა მისაყვედურა, რომ ჩემი თაობა ვერაფერს ქმნის ღირებულს, ახალს, საინტერესოს, რომ დღეს შექმნილიდან არაფერი შემორჩება ქართულ კულტურას. ვერ დავეთანხმები. ეს გზაა. თუ არ ვიმოქმედეთ, თუ არ ვაკეთეთ, არც არასდროს გამოჩნდება არაფერი. ამ ქმედებაში, მუშაობაში დაიბადება. თუ რაიმე ღირებული შეიქმნება, იმიტომ არა, რომ მისი შექმნის სურვილი არსებობს, ეს ლოგიკური შედეგი იქნება შრომის, განვითარების. რა დარჩება და არ დარჩება, როგორც უკვე გითხარით, ამას დრო აჩვენებს.

მაია: რას მოიაზრებ სიტყვაში «თავისუფლება»?

ინანა: თავისუფლება ჩემი რწმენაა, არიადნეს ძაფია. თავისუფლება სიყვარულია. თავისუფლება ჰორიზონტის ხაზივითაა, მას ერთხელ და სამუდამოდ ვერ მიაღწევ, ეს პროცესი, ალბათ, მთელი ცხოვრება გრძელდება. ვერ წარმომიდგენია, ვინმემ თქვას, რომ მიაღწია თავისუფლებას და მერე იჯდეს მშვიდად, გულხელდაკრეფილი. მას, როგორც ჰორიზონტს, უახლოვდები, უახლოვდები, ის კი მიიწევს და შენც გეძახის. საით, სადამდე? სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. თავისუფლება მიზანია.

მაია: როგორია შემოქმედებითი ადამიანის რუტინასთან ურთიერთობა?

ინანა: ჩვეულებრივი. რუტინასაც, გააჩნია რას დავარქმევთ. ყველაფერს თავისი აზრი აქვს. ჩვენ ჩართულები ვართ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. მაპატიეთ, მაგრამ უნდა გავიმეორო, მთავარია, რას გამოვიტანთ, რა გამოცდილებას გამოვიტანთ მისგან. ამ ყოველდღიურ, ერთი შეხედვით, მოსაწყენ და ერთფეროვან ცხოვრებასაც, გააჩნია, როგორ მიუდგები. ღმერთი მოწყალეა, არასოდეს არაფერი გვეძლევა ისე, ტყუილუბრალოდ. მთავარია, ჩვენ ვხედავთ თუ არა მას, ამოვიცნობთ თუ არა. ბევრი რამ ძნელია, ბევრი რამ დამღლელია, მაგრამ როცა ამ ყველაფერს ცოტა სხვა თვალით დაუწყებ ცქერას, სულ სხვა ფერებში წარმოჩინდება, მთელი თავისი სილამაზითა და კანონზომიერებით. ღმერთისგან «საჩუქარი» გაცილებით უფრო ხშირად გვეძლევა, ვიდრე ჩვენ ამას წარმოვიდგენთ. ეს ორი მხარე, შემოქმედებითი და რუტინული, ასაზრდოვებს ერთმანეთს.

მაია: «სიყვარულში, როგორც ცეცხლში, ისე უნდა გაიარო, ფეხისგულები რომ დაგწვას, სინოტივე რომ დაგიშროს, ტკივილები დაგავიწყოს»

ინანა: ამაზე ზღაპრული ანანა მახსენდება, მთიდან ირმებს რომ დაიბარებს, მოწველის, რძეს ქვაბში ჩაასხამს და ებანება, იწმინდება, ღვთიურ მადლში ლივლივებს. სიყვარულმა, როგორც ცეცხლმა, ისე უნდა გაგწმინდოს და გაგაკეთილშობილოს, ხელახლა დაგბადოს, საკუთარი თავი, ნამდვილი, გაპოვნინოს, შეგაცნობინოს. ეს ცეცხლი, განმწმენდელი, «განმაჭაბუკებელი» ცეცხლია. «გული წმინდა დაბადე ჩემთანა ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა». თუ არ სიყვარული, ეს არ მოხდება.

მაია: ფორუმ «ებლიტფოში» დაწერე, რომ «მეტი უნდა ვისაუბროთ ლიტერატურაზე, ვიდრე საკუთარ ძალიან ჩუმ ამბებზე», მაგრამ სწორედ ეს «ჩუმი ამბები» ხომ არ კვებავს ლიტერატურას?

ინანა: ისევ ცეცხლს მოვიშველიებ. ლიტერატურა, ხელოვნება ამ «ჩუმ ამბებს» ცეცხლად ექცევა ხოლმე, ადნობს, აღრმავებს და ხელახლა ბადებს უკვე სხვა ფორმით, სხვა სახით.

რადგან «ებლიტფო» ვახსენეთ, ორიოდ სიტყვით ამ ფორუმზეც გეტყვით. ერთი წელი არც გასულა, რაც ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაზე შეიქმნა იგი და მის მესვეურებს, მისი შექმნისთვის, მადლობის მეტს ვერაფერს ვეტყვი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით. ბევრი საინტერესო და ნიჭიერი ადამიანი გავიცანი ამ ფორუმზე. დღეს, სამწუხაროდ, ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები აღარ გამოდის, არის რამდენიმე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამიტომ, ბუნებრივად, ამ პროცესებმა ინტერნეტსივრცეში გადაინაცვლა და თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე დაკვირვების თვალსაზრისით, ასეთი ფორუმები, საინტერესოდ მეჩვენება.

მაია: რა არის შენთვის ბიბლიოთეკა?

ინანა: ბიბლიოთეკა, წიგნსაცავი, და ამავე დროს, კულტურის ცენტრი, ერთ-ერთი ყველაზე სანუკვარი ადგილია, რაც კი არსებობს დედამიწის ზურგზე.

მარსიანის უსათაურო მონოლოგი

განგებამ მრავალნაირი ნიჭი დამაბერტყა თავს _ ლექსებსაც ვწერ, პროზასაც, კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებსაც; რელიგიურ-ფილოსოფიური ესეის ჟანრშიც კი მომისინჯავს კალამი; გარდა ამისა, ვხატავ კიდეც და მუსიკასაც ვთხზავ (მართალია, პროფესიონალურად არა, მაგრამ პროფესიონალთა დიდ უმრავლესობაზე უკეთესად); ოღონდ, სამწუხაროდ, მე ამ მუსიკის ნოტებზე გადატანა არ შემიძლია _ არასოდეს მივლია მუსიკალურ სასწავლებელში, არც რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრა მისწავლია; მე მხოლოდ ხმით შესრულება შემიძლია ამ კომპოზიციებისა, რომელთაგან ბევრი საგუნდო გახლავთ და ამიტომ ცალ ხმაში შესრულებული, ისიც ჩემი გაუვარჯიშებელი ხმით, ისეთი ვერ გამოდის, როგორიც უნდა იყოს; მუსიკა ლექსი ხომ არაა, მხოლოდ ქაღალდი და კალამი კმაროდეს მის შესაქმნელად: მე შემსრულებელთა კოლექტივი მჭირდება _ ძირითადად ვოკალისტები, თუმცა ინსტრუმენტული ფონიც (ვთქვათ, სინთეზატორზე დამუშავებული) არ მაწყენდა; ყველაფერ ამას კი ფული სჭირდება, რომელიც მე არა მაქვს. ჩვენში ხომ მეცენატობის ევროპული გაგება არ არსებობს, ჩვენებურ მეცენატებს საზოგადოებისათვის უცნობი ხელოვანის წარმოჩენა არ აინტერესებთ; ისინი ამჯობინებენ, რომელიმე ტაძრის მშენებლობა დააფინანსონ, ან, ვთქვათ, სახელგანთქმულ თეატრალურ კოლექტივს დაეხმარონ, რაც, ცხადია, კარგი საქმე გახლავთ, მაგრამ ამის გაკეთება ნებისმიერ ფულიან კაცს შეუძლია, თუ მოისურვებს; საზოგადოებისათვის უცნობი გენიოსი ხელოვანის აღმოჩენას კი განსაკუთრებული ალღო, უტყუარი გემოვნება, დიდი სულიერი კულტურა სჭირდება: სწორედ ამით განსხვავდება ჭეშმარიტი მეცენატი უბრალოდ დიდი ფულის მქონე პიროვნებისაგან, რომელსაც მეცენატობითაც მოესურვა თავის გამოჩენა.

მაგრამ ევროპული დონის მეცენატებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენში პრაქტიკულად შეუძლებელია იმგვარი სპონსორის თუ მენეჯერის პოვნაც, რომელსაც დღევანდელ კვერცხს ხვალინდელი ქათამი ურჩევნია: მე დარწმუნებული ვარ, ვინც დღეს ჩემზე ფულის დახარჯვას გაბედავს, ხვალ-ზეგ ათმაგად (იქნებ ასმაგადაც) აუნაზღაურდება; მარტო მუსიკას არა, მხატვრობასაც ვგულისხმობ: მიუხედავად ჩემი «არაპროფეონალიზმისა», მე შემიძლია იმგვარი ნაწარმოებების შექმნა (მაქვს კიდეც შექმნილი), რომელთაც ერთდროულად ექნებათ მხატვრული და კომერციული ღირებულება; ოღონდ პროდუქტიული მუშაობისათვის სახელოსნო და სახატავი მასალა მჭირდება, ეს კი ცოტა როდი ღირს.

ჩემთვის აუცილებელი ღვთიან-მადლიანი სპონსორი, მენეჯერი თუ მეცენატი ჯერჯერობით არსად ჩანს, ვარ ეს ციდან ჩამოვარდნილი მარსიანი კოლეგა-მეგობართა გარემოცვაში, რომლებიც სულ იმას ჩამჩიჩინებენ, რომ «ილუზიებს არ უნდა ავყვე» და «რეალისტურად» ვუყურო მოვლენებს, ანუ უნდა დავიჯერო, რომ მე არაფერი გამომივა და ამ ჩემი მხატვრობითა თუ მუსიკით წარმატებას (მით უმეტეს, კომერციულს) ვერ მივაღწევ.... შეძახებამ ხე გაახმოო, ნათქვამია; მეც ამგვარი შეძახებებით მახმობენ ჩემი კეთილისმყოფელნი,

რაც თავი მახსოვს, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დააგვირგვინეს ეს საქმე, ჯერ კიდევ მაქვს რაღაც იმედები შემორჩენილი....

დასაწყისშივე მოგახსენეთ, მწერალი რომ ვარ, შემდეგ კი მხატვრობასა და მუსიკაზე საუბარს შევყევი; მწერლობაში ხომ მაინც პროფესიონალი ვარ, მაგრამ არც ამ სფეროშია ჩემი გზა ია-ვარდებით მოფენილი: წლების წინ, როცა მეტი რაოდენობის ჟურნალ-გაზეთები ემსახურებოდა ლიტერატურას, საკმაოდ ხშირად ვიბეჭდებოდი, «კავკასიურმა სახლმა» ორი წიგნიც გამომიცა; ახლა იმ ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთებიდან ბევრი აღარ დარჩა და რაც დარჩა, ისიც იმდენად ვიწროდ კლანური გახდა, რომ მათ ფურცლებზე ჩემი ნაწერების დაბეჭდვა პრაქტიკულად გამორიცხულია (მე ხომ არც ერთ კლანს არ ვეკუთვნი); წლების წინათ რაღაც კონკურსებშიც მივიღე მონაწილეობა («პენმარათონი», «საბა»...), თუმცა, უშედეგოდ: სულ სხვებს უღიმის ფორტუნა (რომელსაც უსამართლო და არაკომპეტენტური ჟიურის სახე მიუღია) და ამ მარსიდან ჩამოვარდნილ მარსიანს ზედაც არ უყურებს....

რეკლამა, პიარი, იმიჯი... _ გამუდმებით ისმის ეს საშინელი სიტყვები ჩვენს ირგვლივ და ამ სიტყვებში ჩადებულ შინაარსზეა დამოკიდებული დღევანდელი ხელოვანის ბედი: ვიღაცეები, თუ მოისურვებენ, უნიჭოს გენიოსად გამოაცხადებენ და გენიოსს _ უნიჭოდ, და ამას საკმაოდ ხშირადაც სჩადიან...

მე კი მაინც ჯიუტად ველოდები უფლის მიერ ჩემთვის გაჩენილ სპონსორს, მენეჯერსა თუ მეცენატს...

თუ მართლა არსებობ, მალე გამოჩნდი, შე ღვთიან-მადლიანო!

23.03.2008

პირისპირ: გვანცა ჯობავა _ ნინო ნადირაძე

გვანცა ჯობავა

სანამ ამ ავტოპორტრეტის წერას შევუდგებოდი, სამუშაო მაგიდას მიმჯდარი უკმაყოფილო სახით დიდხანს ვათამაშებდი კალამს _ როგორი ამბავია, საკუთარ თავზე დაწერას რომ მოგთხოვენ...

ამ დროს კი მზე საქანელაზე შემომჯდარიყო, გაქანდებოდა, გამოქანდებოდა და თან მალულად თავის ღიმილა სხივებს მაფრქვევდა. ეტყობა, შეამჩნია, უხასიათოდ რომ ვიყავი და ჩემი გამხიარულება გადაწყვიტა... ჰოდა, ახლა მეც ჩამოვუჯექი საქანელაზე, მასთან ერთად ვქანაობ ცის თაღზე და ალბათ, სწორედ ამის ბრალია, რომ ასეთი არაავტობიოგრაფიული დასაწყისი გამომივიდა...

დაბადება არ მახსოვს... ალბათ, გასაკვირიც არაა. ვიცი მხოლოდ ის, რომ ზუსტად შუაღამეს დავიბადე და ეტყობა დედამიწის ჰაერის ჩასუნთქვა ისე მეჩქარებოდა, დედაც დიდხანს არ მიწვალებია ხანგრძლივი ტკივილებით. დღემდე ასეც დავრჩი, ყველგან მიმეჩქარება, ყოველთვის მგონია, რომ ვაგვიანებ, ყოველთვის ისე ხდება, რომ ძალიან ადრე მივდივარ და მერე უსასრულოდ ველოდები, როდის დადგება დათქმული დრო...

სანამ სკოლაში მივიდოდი, ჩემს დას შევნატროდი და სკოლაზე ვოცნებობდი. სკოლაში რომ მიმიყვანეს, ახლა უმაღლეს სასწავლებელზე დავიწყე ოცნება. უმაღლესში მოვეწყვე თუ არა, მეორე დღიდან სამსახურზე ავნერვიულდი, და ახლა, როცა უკვე ვმუშაობ, იმაზე ვფიქრობ, ნეტავ რამდენ ხანს ვიცოცხლებ-თქო. მეშინია, რომ ვერაფერს მოვასწრებ...

მთელი ჩემი 21 წლის სიცოცხლე წიგნს, ფურცელსა და კალამს უკავშირდება, და ეს სამი საგანი უკვე ჩემი სხეულის შემადგენელი ნაწილები მგონია.

ბავშვობაში მელაკუდაზე, ბაჭიაზე და ასეთ საყვარელ ცხოველებზე ლექსები თუ ვიცოდი, აღარც მახსოვს. თავიდანვე მუხრან მაჭავარიანს, ანა კალანდაძესა და «ვეფხისტყაოსნის» პროლოგს მასწავლიდნენ მშობლები. სკოლაში რომ მივედი, მას მერე ლადო ასათიანის კითხვა

და დასწავლა დავიწყე და ჩემი პირველი ლექსიც სწორედ მას მივუძღვენი. მაშინ, ალბათ, 8-9 წლის ვიქნებოდი...

ცოტა რომ წამოვიზარდე, სკოლის გაზეთის სარედაქციო ჯგუფში მოვხვდი და მას მერე წერის სფეროს აღარც მოვშორებივარ.

მერე უმაღლესი... მომავალ სპეციალობას რომ მეკითხებოდნენ, ჩემი პასუხი იყო: _ «წიგნი!» (საგამომცემლო-სარედაქციო საქმეს დავეუფლე). პირველი საკონფერენციო თემა რომ დავწერე და კონფერენციაზე წავიკითხე, ლექტორმა ღიმილით მითხრა, შენ შემთხვევით ლექსებს ხომ არ წერ, ამ სამეცნიერო საკითხებზე ასეთი პოეტური გადახვევებით რომ მესაუბრებიო...

თარგმნაც ამ დროს დავიწყე, აღარც მახსოვს, პირველად რა გადავთარგმნე და რატომ. მგონი, ლადოს ერთ-ერთი ლექსი ინგლისურად.

ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, რომ მამამ ტერენტი გრანელის წიგნი გამომიტანა, დამიდო და წაიკითხეო, _ მითხრა. წიგნს მინაწერი ჰქონდა: «გამოუსწორებელ გრანელისტს!» ეს წოდება მამასი ყოფილა. იმ დღიდან ეს წიგნი საწოლის თავთან მიდევს და მამას უკვე მინიჭებულ წოდებაში ვეცილები. მერე ტერენტის თარგმნა დავიწყე, თუმცა ჯერ მხოლოდ დავიწყე...

დღეეს? დღეს მაგისტრატურის სტუდენტი ვარ და თან ვმუშაობ. პროფესია _ «წიგნი», ანუ ჩემი ამჟამინდელი მეორე სახლი გამომცემლობაა. ნახევარი წლის სამუშაო გამოცდილების შედეგი არის რამდენიმე რედაქტირებული და გამოცემული წიგნი, რამდენიმე _ ნათარგმნი, მაგრამ ჯერ არ გამოცემული. თუმცა, იმედია, ეგ დღეც უახლოეს მომავალში დადგება.

გარდა ამისა, ახალი ლიტერატურული ჟურნალის _ ««ქართული მწერლობა»« _ სარედაქციო ჯგუფის წევრი ვარ.

რაც შეეხება ჩემს ლექსებს, არასდროს არსად დაბეჭდილა და, მით უმეტეს, არც წიგნად გამოცემულა, და დარწმუნებული ვარ ბოლომდე ასეც დარჩება, იმიტომ რომ მე მხოლოდ პოეზიის მოყვარული ვარ და მეტი არაფერი. ერთადერთი მხოლოდ ლიტერატურულ საიტებზე ვაწყენ თავს მკითხველებს ჩემი ნაწერებით. არადა, რა ვქნა, ორჯერ დავანებე ლექსების წერას თავი და ორჯერვე ჩემდა უნებურად განვაახლე. პირველად რომ დავანებე, IX-X კლასში ვიქნებოდი. დავანებე და მთლიანად დავწვი, თუ სადმე რამე ლექსი მქონდა მიჯღაბნილი. დღეს კი ვფიქრობ, რომ უნდა ვწერო მანამ, სანამ მეწერება და უბრალოდ თავი არავის შევაწყინო ჩემი ლექსებით...

ლადო ასათიანი წერდა: ««ვიცი, ჩემი ცხოვრება ხანმოკლე იქნებაო».»

მე არ ვიცი, ჩემი ცხოვრება ხანმოკლე იქნება, ხანგრძლივი, თუ როგორი, მაგრამ იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ერთადერთი, ვის და რის გარეშეც ცხოვრება გამიჭირდება, ეს უფალი და მისი მფარველობაა. ის ერთადერთია, ვისაც ვეყრდნობი, ვისაც ხელზე ვეჭიდები და მის გარეშე თუ დავრჩი, ალბათ ფეხმოტეხილ მაგიდასავით გადავყირავდები. ასეთ ფეხმოტეხილსა და უფუნქციოს კი ვერავინ გამომიყენებს, ჰოდა, ალბათ, ადგება «სახლის პატრონი» და ნაგავში გადამაგდებს...

მაგრამ, არა... მე მჯერა უფლის... მას ჩვენ ყველა ძალიან ვუყვარვართ... ღმერთი ხომ სიყვარულია...

ნინო ნადირაძე (მზე მწველიძე)

რომ დავიბადე, ეს თავისთავად ცხადია. რომელიმე წელსა და რიცხვშიც რომ მოხდებოდა ეს, ესეც ბუნებრივია.

მთავარია, რომ ეს ზამთარში მოხდა. ვიყავი მტირალა და ამის გამო მამა ხშირად დაატარებდა ბალიშს ოთახიდან ოთახში. ვთამაშობდი მარტო, გადმოვიღებდი სათამაშოებს და ისევ უკან დავაწყობდი მოწესრიგებულად, თუმცა ეს წესრიგი იქვე დარჩა, ბავშვობაში. ახლა, ზოგადად, მოუწესრიგებელ ადამიანად ვითვლები.

ჩემი სწავლა-განათლებისათვის ძალა და ჯაფა ნამდვილად არ დაუშურებიათ მშობლებს. ჩემი პროფესია ისევ და ისევ წიგნს უკავშირდება.

საერთოდ, მთელი ჩემი სიცოცხლის ხაზით მთლიანად ვუკავშირდები წიგნს. თუმცა, გულახდილად რომ გითხრათ, ღრმა ბავშვობიდანვე წიგნზე შეყვარებული ნამდვილად არ ვყოფილვარ. ჩვენი ურთიერთობა მერე აეწყო და სამუდამოდ დავუკავშირდით მე და წიგნი ერთმანეთს.

დავდიოდი საბავშვო ბაღში, არასდროს ვიძინებდი და არც სხვებს ვაძინებდი, რაც საბნის ახდასა და ბავშვების გაღვიძებაში გამოიხატებოდა. მერე სკოლა იყო და უფრო სერიოზული ცოდნის ნიაღვარი, მეგობრები, ოხუნჯობა და ცხოვრების ნეიტრალური პერიოდი. ჩვენი სამეგობრო წრე გვქონდა. ვცდილობდით, რაღაც შეგვექმნა, ხან გაზეთი, ხან ჟურნალი გამოვიგონეთ, ხან მკითხველთა კლუბი, სადაც ვისხედით წრეში, ვკითხულობდით წიგნებს და მერე ვსაუბრობდით ამაზე, გვქონდა ათასგვარი პოლემიკა. კედლებზე საღებავებით ვწერდით ლექსებიდან საყვარელ ფრაზებს; ამის გამო კედლებს თეთრად გვიღებავდნენ, ჩვენ კი ისევ ჯიუტად ვწერდით. ერთხელ თვითონვე გვაიძულეს შეგვეღება, მაგრამ რამდენიმე დღეში ისევ წარწერებიანი და ლექსებიანი კედლები დახვდათ. საბოლოოდ კი ისევ თვითონ შეგვეშვნენ და ჩვენც ამ გამარჯვებით უბედნიერესები ვიყავით. იყო სპექტაკლები, როლები, უამრავი შემოქმედებითი ღონისძიება. ეს ყველაფერი ზუსტად თერთმეტ წელიწადში დამთავრდა. მერე თსუ. უნივერსიტეტი მუდამ მენატრება, ყველაზე მშვენიერი ხანა, თუ ბანალური არ ვიქნები. უნივერსიტეტზე იმდენს ვილაპარაკებ, მთელი ღამე დამჭირდება, ამიტომ აქვე გავჩერდები.

ახლა რომ მკითხოთ, რას საქმიანობო, იმას კი არ გეტყვით, ვმუშაობ- თქო, ვწერ და ვწერ და კიდევ ერთხელ ვწერ-მეთქი, გიპასუხებთ. ყოველთვის ვწერდი. მართალია, «აღუს» შემდეგ კალამი არ მომითხოვია, მაგრამ რასაც ადამიანის გაცნობიერებული, შეგნებული ნაწილი ჰქვია ცხოვრებისა, მართლა სულ ვწერ და ვწერ. ერთ დღეს ვიგრძენი, რომ ვეღარ ვეტეოდი, ვეღარ ვატევდი რაღაცეებს ჩემში, ჩემებურად აღვიქვამდი მზეს, სიცოცხლეს, დროის ჩემებური შეგრძნება მქონდა, ჩემეული ფერი იყო ყველა და ყველაფერი. სული შიგნიდან მიბაგუნებდა და მანგრევდა, სხეულიდან ამოძრომა მინდოდა, ჰოდა, დავჯექი და დავწერე, თუმცა, არ ვიცი, როგორ გამომივიდა.

ვწერ ყველაფერზე, ყოველთვის, ყველგან. სენივით შემეყარა, ბატონებივით. მაგრამ ამას არც შელოცვა შველის და არც არაფერი. შემოვიდა სხეულში და ლექსებად დამაყარა.

მიყვარს ღმერთი, სიცოცხლე, მეგობრები. ვცდილობ რამენაირად მოვიპოვო ადამიანების სიყვარული და გავცე უფრო მეტი, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, უკან ცოტა თუ მიბრუნდება და ეს მიმოცვლის თუ ჩანაცვლების ფორმულა დაფაზე ერთ მიტოვებულ, ამოუხსნელ განტოლებას ჰგავს, ზარის დარეკვამ რომ შეაფერხა. თუმცა, სადღაც წამიკითხავს _ რასაც გასცემ, იმას თუ უკან ელოდები, წასულია შენი საქმეო. ალბათ, ჩემი საქმეც მასეა, მაგრამ ვსწავლობ, არ დაველოდო და ბოლომდე დავიცალო საყვარელი ადამიანებისათვის.

ვცდილობ, საერთოდ ყველაფერი ვისწავლო, ნებისმიერი რამ, ნებისმიერი ადამიანისგან, ცხოველისგან და ფრინველისგანაც კი. ბავშვისგან, მოხუცისგან, ძაღლისგან, მტრედისგან, რომლისგანაც შეიძლება შესანიშნავად ისწავლო სიფრთხილე. ძაღლისგან, რომლისგანაც შეგიძლია ისწავლო, როგორი უნდა იყო ერთგულებაში. ბავშვისგან, რომლისგანაც შეგიძლია ისწავლო, რა არის სისუფთავე სულის, სისათუთე მზერის. მოხუცისგან, რომლისგანაც შეგიძლია ისწავლო ის, რომ ხე მიწიდან კი არა, ფესვებიდან იზომება და კიდევ უამრავი რამ, რასაც მოხუცის მოჭმუჭნულ უპეებთან წაიკითხავ.

წარმოუდგენელია ჩემთვის სუნთქვა მუსიკის გარეშე, ისევე როგორც ლექსების გარეშე. ვაგროვებ ჰიტების კოლექციას (კომპიუტერში).

სამოცდაათიანი წლების როკი მიყვარს და ნინო ქათამაძე.

ვარ ტერენტომანი. ტერენტეს ჩემი ბალიშის ქვეშ სძინავს. მისით მესუნთქება პოეზია. ტერენტეზეც დაუსრულებლად ვისაუბრებდი, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის.

ზემოთ აღვნიშნე, ვწერ-თქო და საქმიანობაზე კი არაფერი ვთქვი, პროფესიულ საქმიანობას ვგულისხმობ. ვმუშაობ ჩემი სპეციალობის მონათესავე სპეციალობით და ისევ წიგნს უკავშირდება ეს ყველაფერი, თუმცა მუშაობისას ფრაზების, სიტყვების, რითმების და ჩემი

განზომილებების გარდა არაფერი მიტრიალებს თავში. საბედნიეროდ, საქმეს ეს ჯერ არ დასტყობია და, მგონი, მიმართლებს.

სხვა რაღა გითხრათ: ვარ ერთი ჩვეულებრივი გოგონა ჩემებური სამყაროთი. მინდა, ღმერთის მოსაწონი ვიყო და ვცდილობ, ჩემებურად ვისუნთქო...

პირისპირ

ნინო: საიდან იწყება წერა ან როგორ?

გვანცა: წერა ღმერთიდან იწყება, ისევე როგორც ყველაფერი _ ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, ვინ იყო ის პირველი, რომელმაც დაწერა და იმაზეც, რატომ დაწერა... თუმცა, ამ შეკითხვას პასუხი ძალიან მარტივადაც შეიძლება გავცეთ: ღმერთმა მოიფიქრა ეს ყველაფერი, მერე შეარჩია ერთი განსაკუთრებული ადამიანი, ან სულაც ძალიან ჩვეულებრივი და ზემოდან ჩასძახა, რა უნდა გაეკეთებინა...

სხვანაირად არც ვიცი, როგორ შეიძლება ყოფილიყო. განა შეიძლება ჩვეულებრივ მოკვდავს ლექსის შექმნა მოსვლოდა აზრად?... ვერც კი წარმომიდგენია...

გვანცა: შენ თუ წარმოგიდგენია, როგორი იქნებოდა დედამიწა, ღმერთს რომ მწერალი და მწერლობა არ გამოეგონებინა და ადამიანებს იმ ყველაფრის გარეშე გვეცხოვრა, რასაც ლიტერატურა ჰქვია?

ნინო: ღმერთმა თავიდანვე ქმნადობა გამოიგონა იმით, რომ შეგვქმნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანებში თავიდანვე ჩადო ის, რასაც ადამიანის შექმნისკენ მიდრეკილება და ლტოლვა ჰქვია. სწორედ აქედან იწყება ყველაფერი. ლიტერატურის გარეშე ადამიანის განვითარება სულიერი, გონებრივი თუ სხვა თვალსაზრისით ჩემთვის და, ალბათ, ყველასთვის წარმოუდგენელია.

ნინო: როგორც ახალბედა, ახალგაზრდა ««წერომანი», თუ ხედავ ისეთ ვინმეს, რომელზეც ამბობ: აი, მე ვხედავ მასში რაღაც დიდს.

გვანცა: ჯერ ერთზე შევთანხმდეთ: მე ჩემს თავს პოეზიის მოყვარულს უფრო ვუწოდებდი, წიგნის, წერის, ფურცლის, კალმის მოყვარულს, მაგრამ ჯერ ძალიან ახალგაზრდას საიმისოდ, რომ ვინმეს ვაფასებდე... ეს საუბარი ერთი-ორი კვირის წინ რომ შემდგარიყო, ალბათ, ანა კალანდაძეს დავასახელებდი _ დღეს კი უკვე გვიანია. მე მყავს ჩემთვის საყვარელი თანამედროვე პოეტები და ახალბედებშიც გამოვყოფდი რამდენიმეს, რომლებზეც ვფიქრობ, რომ მათი შემოქმედება შორს წავა, მაგრამ ახლა მათი სახელების ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ.

ისე კი, ის რაღაც დიდი, რაზეც შენ მეკითხები, ტერენტი გრანელში დავინახე, დღემდე ვხედავ და, შეიძლება ითქვას, მისი პოეზიით ვსუნთქავ. თუმცა, ზოგიერთ საკითხზე, რომელიც მის შემოქმედებაში იკვეთება, დიდი სიამოვნებით შევეკამათებოდი, იმ დროში რომ მეცხოვრა. ადამიანებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ ღმერთთან შეჭიდება არასდროს დასრულებულა ადამიანის გამარჯვებით და არც არასდროს მოხდება ეს.

ქართველებს დიდი მწერლები არასდროს გვაკლდა და არც დღეს გვაკლია, მაგრამ ადამიანები საყვარელ მწერლებად ალბათ იმათ ვირჩევთ, რომლებიც ჩვენს სამყაროს უხდებიან... როგორც ტანსაცმელი, როგორც საკვები, როგორც წამალი...

გვანცა: როგორ გგონია, მაინც რატომ წერენ ადამიანები, რატომ ვერ ეტევიან კანში და რატომ იღვრებიან ფურცლებზე?

ნინო: იცი, არ ვიცი. ერთადერთი, რაც ჭეშმარიტად ვიცი, არის ის, რომ ძნელია სხეულში დაეტიო და თუ არ ეტევი, არც უნდა ეცადო. კარგად რომ დავფიქრდეთ, ჩვენ, ადამიანებმა სულაც არ ვიცით არაფერი, სრულიად არაფერი, იმიტომ რომ ყველაფერი, რაც გარშემოა, უსასრულოა და შეუცნობელი. უფრო მეტიც, სამოთხით და ჯოჯოხეთით რომ დავიწყოთ,

მათზეც სავარაუდო და მიახლოებითი ცოდნა გვაქვს, ისევე როგორც უფალზე. უბრალოდ ვიცით, რომ არსებობს, იქ, ზევით და მივისწრაფით მისკენ. ადამიანები ეძებენ, ეძებენ და ამ ძიებებში რომ არ დაიკარგონ, ეწყებათ ««წერომანია».

ნინო: როგორი უნდა იყოს ლიტერატურა?

გვანცა: ისეთი, როგორიც არის... ჭრელი, ძალიან ჭრელი... საზღვრების და საზომების გარეშე... უკიდეგანო ზღვას უნდა ჰგავდეს... ზღვას, რომლიდანაც დილით მზე ამოდის, ღამით ჩადის და მთვარე იკავებს მის ადგილს, მერე ეს ყველაფერი უნდა დაირღვეს: მზეს დილით ამოსვლა უნდა დააგვიანდეს, ჩაძინებული დაღამებამდე ვერ მოწყდეს ტკბილ სიზმრებს და ვერ გამოიღვიძოს, ამ დროს კი მთვარეს თავისი საწოლი უნდა ენატრებოდეს, ამთქნარებდეს, მაგრამ მაინც მზის გაღვიძებას ელოდებოდეს...

ლიტერატურა?.. დედამიწას უნდა ჰგავდეს, ერთ უზარმაზარ ბურთს, რომელშიც ყველაფერი ეტევა... წარმოიდგინე, რამდენ ადამიანს, რამდენ ტკივილს, რამდენ სიხარულს, რამდენ სიძულვილს თუ სიყვარულს იტევს დედამიწა... მიკვირს, რომ კიდევ ფეხზე დგას... აი, ასეთი უნდა იყოს ლიტერატურა ჩემი აზრით...

ლიტერატურა?.. გულს უნდა ჰგავდეს... ტერენტი გრანელი წერდა, «პოეზია უსაზღვროა ისევ და გულია პოეზია მხოლოდ...» მხოლოდო, _ ამბობს, მაგრამ განა მოიძებნება დედამიწის ზურგზე რაიმე, გულზე უსაზღვრო რომ იქნებოდეს? მე ასეთი არ მეგულება...

იცი, რაზე მიფიქრია? რა მოხდება, რომ ადამიანებმა ერთი უშველებელი, გრანდიოზული წიგნი გავაკეთოთ, სადაც ყველა ის წიგნი გაერთიანდება, რომლებიც კი ოდესმე სადმე დაწერილა... ლიტერატურის გლობუსს დავარქმევდი...

გვანცა: შენ თუ შეგიძლია ასეთი წიგნი წარმოიდგინო? როგორ გგონია, ყველაზე მეტად ვინ იმსახურებს პირველ გვერდზე განთავსებას?

ნინო: რთულია ამაზე პასუხის გაცემა. ამის წარმოდგენა ადვილია, მაგრამ პირველ გვერდზე ვის ეკუთვნის განთავსება, ამაზე პასუხი ძნელია და ამიტომაც თავს დავიძვრენ და გეტყვი, რომ წიგნს ჯერ წინათქმა დასჭირდება, სანამ იმ პირველ გვერდამდე მივალთ. ასე რომ, გამოვძვერი.

გვანცა: არა, ჩემო კარგო, ასე ადვილად ვერ დამიძვრები. მაშინ ის მიპასუხე: ეს წინათქმა ვიღამ უნდა დაწეროს?

ნინო: ვისაც კაცობრიობა მიიჩნევს დედამიწის მთავარ და შეუდარებელ რედაქტორად, იმან უნდა დაწეროს.

გვანცა: ალბათ, უფალს გულისხმობ...

ნინო: საქმე ისაა, რომ ჩვენ უკვე ვიწერებით: «განურჩევლად ყველა»

ნინო: კრიტიკაზე რა აზრის ხარ?

გვანცა: ჯანსაღი კრიტიკა აუცილებელია და მის გარეშე ლიტერატურის არსებობა წარმოუდგენლად მიმაჩნია. კრიტიკას შეუძლია ერთგვარად შეაჩეროს კიდეც ადამიანების ზედმეტად გაკადნიერება. დღეს კი, როცა ასე ადვილია გამოსცე წიგნი და პოეტობა ან პროზაიკოსობა დაიჩემო, განსაკუთრებით საჭიროდ მიმაჩნია კრიტიკა. თუმცა კრიტიკა მხოლოდ ძაგებას ხომ არ ნიშნავს, მასში შექებაც იგულისხმება და რჩევაც. შექება მწერლისთვის სტიმულის მიმცემია, რჩევა კი, განსაკუთრებით ახალბედა ავტორებისათვის, აუცილებელიც კია. გონიერ ადამიანს უნდა შეეძლოს მისთვის მიცემული რჩევების სწორად გაანალიზება და ამ რჩევის მისსავე საქმისთვის სასიკეთოდ გამოყენება.

გვანცა: კრიტიკაზე რა აზრის ხარო, მკითხე და შენ როგორ ფიქრობ, პოეზია თავისუფლებაა?

ნინო: პოეზია თავისუფლებაა, პოეზია გულია, პოეზია ფრენის ხმაა, თუმცა მის გასაზუმფარებლად კრიტიკა აუცილებლია, რადგან თავისუფლება ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაა. დრო ხომ შეიქმნა, როგორც მკრთალი ჩარჩო ჩვენი ცხოვრებისა, ისე შეიქმნა კრიტიკა ლიტერატურისათვის. რაღაცა რაღაცისთვის იქმნება, ვიღაცა ვიღაცისთვის. უფალმა ყველაფერი სწორად გათვალა, ალბათ.

ნინო: რა არის საჭირო იმისათვის, რომ თარგმანი გამოვიდეს ან იყოს «კარგი»? შენი მთარგმნელობითი გამოცდილებიდან გეკითხები.

გვანცა: ჯერჯერობით ჩემი მთარგმნელობითი გამოცდილება ამ კითხვაზე პასუხის გაცემის უფლებას არ მაძლევს, და არც ვიცი, მომცემს კი ოდესმე... იცი, საოცარია, ისე ჩავები ამ საქმიანობაში, გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რაღაცნაირად ჩემდა უნებურად მოხდა. ამას გარეშე პირებმა შეუწყვეს ხელი, და შეიძლება სრულყოფილად ვერც ვერასდროს ვაგრძნობინო, როგორ ვემადლიერები მათ ამის გამო. იქამდე კი თოჯინებივით ვეთამაშებოდი უცხო სიტყვებს, ხან აქეთ შევაბრუნებდი, ხან იქით და ამას არავის და არაფრის გულისთვის არ ვაკეთებდი, ისე, უბრალოდ, სრულიად უმიზეზოდ, და არც ვიცოდი, რომ სწორედ ეს იყო ჩემი ერთ-ერთი მომავალი პროფესია.

კარგი თარგმანი რთული საქმეა, ერთნაირად სრულყოფილად უნდა იცოდე მინიმუმ ორი ენა მაინც _ მშობლიური და უცხო ენა. თუმცა, არც ეს კმარა. მთავარი ხომ ის არის, რომ ლიტერატურა გესმოდეს, გიყვარდეს და შენც გეწერებოდეს, თანაც კარგად უნდა გეწერებოდეს... არც ვიცი, არსებობს კი, ნეტა, ასეთი შემთხვევები _ ალბათ, არსებობს...

ამ ყველაფერს, პირველ რიგში, ალბათ, ღვთისგან ბოძებული ნიჭი უნდა, ნიჭს კი _ დახვეწა და გავარჯიშება, თორემ, როგორც სულხან საბას იგავი გვასწავლის, ხელი უნდა გაანძრიო, თორემ შენს ნაცვლად ვერავინ გაცურავს. მე დღეს ცურვას ვსწავლობ მხოლოდ და მსიამოვნებს სწავლის პროცესი. აი, ეს არის ჩემი მთარგმნელობითი გამოცდილება...

გვანცა: შენს გამოცდილებაზე რას იტყვი _ უკვე ორი პოეტური კრებულის ავტორი ხარ...

ნინო: არანაირი გამოცდილება, უბრალოდ, ხანდახან ვეღარ ვეტევი და ვწერ. ხომ ვთქვი, ძნელია-თქო დატევა. ეს ის შეგრძნებაა, როდესაც გინდა სხეულიდან ამოძვრე, კანიდან ამოძვრე. ჰოდა, სწორედ ამას ვაკეთებ, სულ ესაა.

ნინო: როგორ ფიქრობ, დღევანდელი მკითხველი ფართო «დიაპაზონისაა»?

გვანცა: ფართო დიაპაზონის მკითხველი ყველა საუკუნეში მოიძებნებოდა და დღესაც მოიძებნება. ამბობენ, რომ დღევანდელი თაობა გაუნათლებელიაო, მაგრამ მე არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. ადამიანები ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილები ხომ არ არიან, რომ ყველა ერთმანეთს ჰგავდეს. მათ შეიძლება უბრალოდ სურვილი გაუჩნდეთ, რომ ერთმანეთს მიბაძონ და ალბათ, ესეც არ გამოუვათ სრულყოფილად. და იცი, რატომ? იმიტომ რომ ასეთია უფლის ნება. მას სურს, რომ ჩვენ ყველამ ჩვენი სამყარო შევქმნათ და ისე ვიცხოვროთ, როგორც ამ სამყაროს მოუხდება. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ რამდენი მკითხველიც არსებობს, იმდენნაირია მათი დიაპაზონი.

მე მგონია, რომ დღევანდელ თაობას ლიტერატურა უყვარს. უამრავი ადამიანი წერს, უამრავი ახალგაზრდა და ეს სულაც არ არის ცუდი. დაე, იდუღოს მაჭარმა, დაილექოს, დაიწმინდოს და საბოლოოდ მხოლოდ გამორჩეულნი შერჩებიან ქართულ მწერლობას. ის კი, ვინც ვერ მოხვდება ამ გამორჩეულთა სიაში, გემოვნებიან მკითხველად მაინც ჩამოყალიბდება. ესეც ხომ საჭიროა, თორემ ვინ წაიკითხავს და ვინ გაიგებს გენიალურ შედევრებს, რომლებიც მრავლად მოეპოვება ქართულ მწერლობას და დარწმუნებული ვარ, არც მომავალში გვექნება ამის ნაკლებობა.

გვანცა: თანამედროვე ლიტერატურული პროცესების (და, რა თქმა უნდა, არა მარტო თანამედროვესი) მკითხველამდე მიტანაში უდიდესი როლი ლიტერატურულ ჟურნალ-

გაზეთებს ეკისრებათ. როგორ გგონია, რამდენად კარგად ასრულებენ ქართული ჟურნალ-გაზეთები ამ მოვალეობას?

ნინო: კი, გეთანხმები და ვფიქრობ, რომ ამ მხრივ, ბოლო პერიოდია, გამოსწორდა საერთო სიტუაცია. ლიტერატურული სამყაროც ამოძრავდა ამ თვალსაზრისით. ბევრი კარგი ჟურნალი ამის მაგალითი და დასტურია. გარდა ამისა, რამდენიმე ძველი ჟურნალიც აღდგა, რაც, უდავოდ, სასიხარულოა და საჭირო. მთავარია, ვიკითხოთ რაც შეიძლება მეტი და როგორღაც არ ჩავეფლოთ ყოველდღიურობაში, იმიტომ რომ წასაკითხი მართლაც ძალიან ბევრია _ როგორც ძველი, ასევე ახალი.

ნინო: რა აზრის ხარ ახლა უკვე კარგად გავრცელებულ ლიტერატურულ საიტებზე?

გვანცა: მე მგონია, რომ ეს საიტები უდიდეს, უზარმაზარ როლს ასრულებენ თანამედროვე ქართული მწერლობის განვითარებაში, ახალი სახეების აღმოჩენაში, მათ დახვეწასა და ჩამოყალიბებაში.

ეს საიტები ძალიან ადვილი გზაა იმისთვის, რომ ლიტერატურული დუღილის შუაგულში ამოჰყო თავი. რაც მთავარია, კარი ყოველთვის ღიაა, შედიხარ, სამუზეუმო ექსპონატებივით ათვალიერებ პერსონალურ გვერდებს, ზოგი მათგანით მეტად ინტერესდები, ზოგით _ ნაკლებად. ამის შესაბამისად, შენს კომენტარებს და მოსაზრებებს უტოვებ, მერე სხვები მოიჩქარიან შენსკენ, გეცნობიან, ისინიც შენსავით მეტად ინტერესდებიან ან ნაკლებად. კარგი ის არის, რომ ამ ვირტუალურ სამყაროში არა მარტო ახალბედებს, არამედ უკვე გამოცდილ და აღიარებულ მოღვაწეებსაც გადაეყრები ხოლმე. აი, სწორედ მათი მოსაზრებები და რჩევებია, რომელთაც უნდა მოეჭიდო. მგონია, რომ ეს საიტები დამწყებთა დახვეწისა და მწერლად ჩამოყალიბების საუკეთესო საშუალებაა.

თუნდაც ეს ჩვენი დღევანდელი «პირისპირ საუბარიც» ხომ სწორედ ასეთი ლიტერატურული საიტის დამსახურებაა. შენი არ ვიცი, და მე კი, პირადად, არასდროს მიფიქრია, რომ ზოგადად ლიტერატურაზე ჩემი მოსაზრებებით ოდესმე ვინმე დაინტერესდებოდა... წახალისება და სტიმულის მიცემა, აი, ეს არის ამ საიტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დადებითი თვისება...

გვანცა: შენ თუ შეგმატა რაიმე ლიტერატურულ საიტებზე პერსონალური გვერდების გახსნამ?

ნინო: ცხადია, შემმატა. ძალიან ბევრ ისეთ ახალგაზრდა შემოქმედს გავეცანი, რომლებზეც წარმოდგენაც არ მქონდა და ვინ იცის, როდის მექნებოდა. არიან ისეთებიც, რომლებშიც ძალიან დიდ პერსპექტივას ვხედავ და ეს ძალიან მახარებს. აქ გამოცდილ, პროფესიონალ მეკალმეებსაც ვხვდები და ვიზიარებ მათ რჩევებს. ეს კი უმნიშვნელოვანესია. არის კრიტიკა, შექება, მეგობრობა. ეს ხომ თავის წარმოჩენის საშუალებაცაა. ეს საიტები ურთიერთობის მთელი ფილოსოფიაა. მთელი განცდით ველოდები ხოლმე კომენტარებს. ასე რომ, მინდა ლიტერატურული საიტების ვირტუალურ მეგობრებს ვუთხრა, რომ ისინი მართლა ძალიან მიყვარს.

ვანო ჩხიკვაძის «ავტობიოგრაფია»

1947 წლის 5 ოქტომბერს, მეჯვრისხევიდან კირბალში მიმავალი დედაკაცი, ეფრესხევთან დააყაჩაღეს და, სახელოში შემალული, ცხვირსახოცში გამოკრული რამდენიმე მანეთი წაართვეს.

ქალი მეჯუდის ნაპირზე გამართული ბაზრობიდან მოდიოდა. სუნელების გაყიდვით აღებული ფული ფეხებში მიუგდო ორ თვალებამდე ქუდჩამოფხატულ მძარცველს (მაშინ ნიღბები არ იყო მოდაში), განასკვულ ცხვირსახოცს ხელი რომ დასტაცეს და უკანმოუხედავად შეერივნენ მინდორზე დაცემულ ხშირბინდს.

წამოვიდა გაცეცხლებული, ბრაზით კრიჭაშეკრული შემოვიდა ეზოში და... ახარეს, შვილიშვილი შეგეძინაო.

უცებ გადაიყარა დარდები, ვიღას ახსოვდა დანაკარგი, ამის ჭირის სანაცვლო იყოსო, დახედა ჩვრებში გამოკრულ ჩვილს და სხივჩამდგარი თვალებით მოეფერა.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს _ ბავშვი მე ვიყავი, ქალი კიდევ _ ბებიაჩემი, მედგარი, შეუპოვარი, მრავალჭირგადანახადი, მაგრამ გაუტეხელი დედაკაცი.

იმ დღიდან მოყოლებული ერთმანეთისთვის ხელი არ გაგვიშვია. როგორც თითქმის ყველა ბებიას, იმასაც, კაბის შიგნით მიკერებულ ჯიბეში მუდამ მოეპოვებოდა რაიმე ნუგბარი, პირის ჩასატკბარუნებელი, რომელსაც მე მიზოგავდა ხოლმე. მაგრამ ჰქონდა ულამაზესი სიტყვებით, გამოთქმებით, ჯადოსნური ამბებით თავმოდგმული უხილავი «ჯიბეც», რომლიდანაც, როგორც ზღაპარში, რამდენიც არ უნდა ამოეღო, «ჯიბეს» თუ არ ემატებოდა, არაფერი აკლდებოდა.

მე ამ «ჯიბემ» გამზარდა და გააღვივა ჩემში მწერლობის სურვილი.

პირველი ლექსი, ალბათ, ხუთიოდე წლის ვიქნებოდი, რომ გამოვთქვი (მაშინ ჯერ წერა-კითხვა არ ვიცოდი) და მივუძღვენი სოფელში სტუმრად მყოფ თბილისელ გოგოს.

ეს იყო პირველი ლექსი და... პირველი სიყვარული.

გაცრუებულმა სიყვარულმა (გოგო აგვისტოს მიწურულს თბილისში წაიყვანეს), ლექსების თხზვაზეც ამაღებინა ხელი, მაგრამ მაშინ უკვე გორის პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, როცა ისევ შემომიჩნდა ეშმაკი თუ ანგელოზი (ოჰ, ეს სიყვარული) და მივიწყებულ «ხელობას» მივუბრუნდი.

დავდიოდი გორის მასწავლებელთა სახლის ბიბლიოთეკაში, ლიტერატურულ წრეში, სადაც, პირველად, პოეზიის საღამოში მონაწილეობისთვის დამასაჩუქრეს ლადო ასათიანის ლექსების წიგნით.

მოსწავლეობის პერიოდიდან მოყოლებული, ჩემი წერილები, ჩანახატები, ლექსები ქვეყნდებოდა გორის გაზეთ «გამარჯვებაში», სალიტერატურო კრებულ «ლიახვში», რომელიც ოთარ ჩხეიძის რედაქტორობით გორში გამოდიოდა.

1972 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, უნივერსიტეტის მწერალთა წრის რამდენიმე წევრი, უკვე «სახელგანთქმულები» ვიყავით ლიტერატურის მოყვარულთა შორის, რასაც მოჰყვა პუბლიკაციები ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში.

პირველი წიგნი «ნათდება» (გამომცემლობა «მერანი»), გამოვიდა 1973 წელს.

ამავე წელს მიმიღეს მწერალთა კავშირის წევრად.

დღემდე გამოცემული მაქვს ოცდაათამდე პოეტური და პროზაული წიგნი, საბავშვო ნაწარმოებების კრებულები, ვარ ავტორი მრავალი პუბლიცისტური და ლიტერატურული წერილის, თარგმანის, სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობის შთაბეჭდილებისა.

1985 წელს, ჩემმა საბავშვო მოთხრობების წიგნმა «ორი კაცი» მიიღო საქართველოს კომკავშირის პრემია (იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, არცთუ იშვიათად, ნამდვილ ლიტერატურასაც ანიჭებდნენ პრემიებს).

1997-99 წლებში მივიღე მწერალთა კავშირის პრემიები.

2002 წელს, საერთაშორისო ასოციაცია «კვალის» კონკურსში გამარჯვებული ჩემი პიესა «ორი მდინარის შესართავთან...» დაიდგა გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრში, რომელიც 2003 წლის შემოდგომაზე, ვაჩვენეთ ამერიკაში «ქართული კულტურის დღეზე».

ჩემმა ნოველამ «კოხტა თამრო», დაიმსახურა ლიტერატურული კონკურსის «პენ-მარათონი 2003»-ის პირველი პრემია, ამავე წელს მესამე პრემია მივიღე ჟურნალ «ომეგას» ლიტერატურულ კონკურსში «ლუარსაბ თათქარიძე».

2006 წელს ჩემმა «ზამთრის წიგნმა» დაიმსახურა ლიტერატურული პრემია «საბა», ხოლო ნოველამ «ახადელების რძალი», გაიმარჯვა პორტალ ლიტერატურა.გე-ს მიერ ჩატარებულ ლიტერატურულ კონკურსში «წერო»...

ვერ ვიტყვი, რომ ბებიაჩემის «ჯიბე» უბარაქო გამოდგა, მაგრამ იქ ჯერ კიდევ საკმაოდ მეგულება «ნუგბარი»...

ჩემი ნაწარმოებები თარგმნილი და გამოქვეყნებულია მრავალ უცხო ენაზე. ლექსები, მოთხრობები და რომანი «ჩიტები ზამთარში» რუსულად ცალკე წიგნებად გამოიცა.

მიწვევით თუ შემოქმედებითი მივლინებით ბევრ ქვეყანაში ვიმოგზაურე.

სხვადასხვა წლებში ვმუშაობდი გაზეთ «ნორჩი ლენინელის» და «ახალგაზრდა კომუნისტის» კორესპონდენტად, სატელევიზიო თეატრის რედაქტორად, გორის პრეფექტის მოადგილედ...

და, რაც მთავარია:

მყავს მეუღლე, შვილები და შვილიშვილები...

21.03.2008

ვასილ გულეურის Curriculum Vitae… არა სამუშაო ადგილისთვის

საკუთარ თავზე საუბარი, მით უფრო წერა, სქელტანიანი რომანის დაწერაზე რთული მგონია. ამიტომ, საქმე რომ გავიიოლო, შედარებით მარტივ ფორმას ავირჩევ.

დაახლოებით ისეთს, დღეს ყველა სამუშაო ადგილზე მიღებისას უცხო ენის ცოდნასავით სავალდებულო რომაა _ CV ანუ Curriculum Vitae. ამით დღეს ასე შემოჭრილ «ინგლისურომანიასაც» მოვუხდი ხარკს. ერთს კი შევეცდები, ზედმეტად ოფიციალური და მშრალი არ გამომივიდეს ჩემი «ცხოვრების აღწერა».

სიმშრალეს რომ თავი ავარიდო, დასაწყისშივე ვიტყვი, რომ თუმცა დიდი ვერაფერი მოცურავე ვარ, ზღვა მიყვარს. ბავშვობაში ჩემთვის გაგრა და სოხუმი ასოცირდებოდა ამ სიტყვასთან, დღეს ბათუმი გახდა ჩემთვის «ზღვის ქალაქი» და არა მხოლოდ ზღვის, არამედ უპირველესად ადამიანების გამო, ბათუმი ჩემთვის ძალიან ახლობელია.

ახლა ისევ ბავშვობაში დავბრუნდები. დავიბადე 1971 წლის 19 აგვისტოს, გორში. წელიწადის თორმეტ თვეთაგან აგვისტო ყველაზე მეტად არა მხოლოდ იმის გამო მიყვარს, რომ ჩემი დაბადების თვეა, არამედ იმიტომაც, რომ შემოდგომის დაწყების მომასწავებელია. ზაფხულის ბოლო და შემოდგომის დასაწყისი ყველაზე საყვარელი დროა, ფერიცვალობა კი, ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი დღე-სასწაული.

ბავშვობიდან გატაცებული ვიყავი ხატვით. ცოტა მოგვიანებით, ფოტოგრაფიამ დამაინტერესა და დღემდე ჩემი ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობაა. პირველი წარმატება 1997 წელს გაბროვოს სატირისა და იუმორის საერთაშორისო ბიენალზე გამართულ ფოტოგამოფენაში მონაწილეობა იყო. ყველაზე დასამახსოვრებელი კი 2000 წელს თბილისში გამართული ფოტოკონკურსი და მეორე საპრიზო ადგილი. უფრო სწორად, კონკურსის ჟიურის წევრის, გოგი გვახარიას შეფასება, რომელიც რადიო «თავისუფლებისთვის» მიცემულ ინტერვიუში უთქვამს და თუმცა მე არ მომისმენია, მეგობრებმა სიტყვასიტყვით გადმომცეს.

ჩემთვის ფოტოგრაფია ისეთივე ხელოვნებაა, როგორც მხატვრობა, მუსიკა, პოეზია... თუმცა, რატომ ჩემთვის? ეს ხომ მართლაც ასეა.

მახსოვს, 80-იან წლებში, ყოველი თვის ბოლოს სკოლიდან როგორ მივიჩქაროდი ჟურნალ-გაზეთების ჯიხურში ჩემს ნაცნობ დეიდა მაროსთან, რომელსაც ჩემთვის გადანახული ჰქონდა გერმანული და ჩეხური «ფოტოგრაფია», «სოვეტსკოე ფოტო».

საერთოდ, წიგნების ყიდვა მიყვარდა ძალიან. სასკოლო ბუფეტისთვის განკუთვნილი ფულით კვირის ბოლოს რამდენიმე წიგნს შევიძენდი ხოლმე. დღეს ვეღარც წიგნს იყიდი «სასკოლო დანაზოგით» და გორში წიგნების მაღაზიებიც აღარ შემორჩა.

მახსოვს, მერვე კლასში ვიქნებოდი, «მსოფლიო ლიტერატურის საბავშვო ბიბლიოთეკის» გამოცემა რომ დაიწყო. ასეთ წიგნებს მაშინ მხოლოდ ხელმოწერით თუ შეიძენდი. ამ ხელმოწერის ქვითარის ხელში ჩაგდებაც არ იყო იოლი საქმე. რომ ვერაფერი გავაწყე, არც ვაციე, არც ვაცხელე და პირდაპირ «კომუნისტის» რედაქციას გავუგზავნე წერილი და ვთხოვე, დამხმარებოდნენ.

დიდი იმედი არ მქონია, მაგრამ ორიოდე კვირის შემდეგ, გაზეთის პირველ გვერდზე ჩემი წერილი რომ დაიბეჭდა, ცოტა ხანში კი ფოსტითაც მივიღე შეტყობინება, მიბრძანდით შესაბამის ადგილზე და ხელმოწერის ქვითარი მიიღეთო, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მართალია, ქვითარი მივიღე, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ტომის საყიდლად გამომადგა _ მერე ისე აირია ქვეყანა, მთავარია წიგნის საყიდელი ფული გქონოდა კაცს, ქვითარი და ტალონი ვისღა უნდოდა.

არ ვიცი, რამდენად იქონია ამ შემთხვევამ გავლენა ჩემს ჟურნალისტიკით დაინტერესებაში, მაგრამ წერა ყოველთვის მიყვარდა. ჟურნალისტობაზეც ვფიქრობდი, მხატვრობაც მაინტერესებდა, მაგრამ სკოლა რომ დავამთავრე, ავდექი და არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩავაბარე. არც მინანია _ არქიტექტურა იმდენად მრავალმხრივი დარგია, ისეთი პედაგოგები მასწავლიდნენ, რომ სტუდენტობის ექვსი წელი ჩემთვის დიდი სკოლა იყო.

სხვათა შორის, ჩემს ლიტერატურულ ცდებსაც პირველად სწორედ სტუდენტობის დროს მოჰყვა წარმატება, როდესაც ედგარ პოს და ჰენრი ლონგფელოს ლექსების თარგმანები იმ დროისათვის გამომავალ ლიტერატურულ გაზეთებში «რუბიკონი» და «მესამე გზა» დაიბეჭდა.

საბავშვო ლექსებზე სერიოზული ფიქრი მაშინ დავიწყე, როცა პირველი ვაჟი შემეძინა. ვიდრე მეორეც შეგვემატებოდა, ერთი რვეული კი დავაგროვე, მაგრამ იქიდან მხოლოდ რამდენიმე ლექსი მიმაჩნდა გამოსაქვეყნებლად, რომლებიც მალე ჩემი ბავშვობის საყვარელ ჟურნალ «დილაში» დაიბეჭდა. მერე, საბავშვო ლექსები ჩემს შვილებთან ერთად გაიზარდნენ და ერთხანს ისევ თარგმანმა გამიტაცა.

ერთი წლის წინ, ლიტერატურულ კონკურს «წეროს» მეორე პრიზი, რომელიც საბავშვო ლექსებმა მიიღო, ჩემთვის ახალი სტიმული აღმოჩნდა _ დღეში რამდენიმე ლექსს ვწერდი. ასე, რომ ჩემი ლექსები, შეიძლება ითქვას, ბავშვებივით არიან _ ხან «წეროს მოჰყავს», ხან «კომბოსტოში ვპოულობ»...

«მხოლოდ წიგნი არ ბერდება...»

ვასილ გულეური: რადგან ჩვენი საუბარი ინტერნეტ-ჟურნალისთვის მზადდება, სწორედ, ამ თემით მინდა დავიწყო. დღეს ხშირად ამბობენ, რომ კომპიუტერმა დაუკარგა წიგნს მკითხველი. როგორ ფიქრობთ, შეუძლია კომპიუტერს მთლიანად ჩაანაცვლოს წიგნი? რა ხდება ამ მხრივ საქართველოში, თქვენ, როგორც მწერალი, რამდენად გრძნობთ მკითხველის სიმცირეს?

ვანო ჩხიკვაძე: მკითხველის სიმცირე მხოლოდ კომპიუტერს არ უნდა დავაბრალოთ. მრავალ მიზეზთა გამო განელდა წიგნისადმი ლტოლვა, სერიოზული ლიტერატურის წაკითხვის სურვილი.

ნამდვილი მკითხველი შეიძლება მაშინაც არ იყო ბევრი, როდესაც მრავალათასიანი ტირაჟები თვალის დახამხამებაში «აორთქლდებოდა» ხოლმე წიგნის მაღაზიებიდან, მაგრამ გამომუშავებული გახლდათ წიგნის შეძენის ჩვევა, აუცილებლობა მათი ყიდვისა და თაროებზე დალაგებისა.

შეიძლება წიგნის მყუდროება, რიგითი «ობივატელის» ოჯახში, კარადის ვიტრინაში გამოფენილ, ძვირფას, გაპრიალებულ ჭურჭელივით არავის დაერღვია, მაგრამ იმის იმედი მაინც იყო, რომ ადრე თუ გვიან მაინც გამოუჩნდებოდათ მკითხველი.

წიგნის მკითხველის რა გითხრათ და გაიზარდა კომპიუტერს მიჯაჭვული «მკითხველის» რაოდენობა, თუმცა, ზოგჯერ ვშიშობ ხოლმე, იქ წაკითხული ლექსი თუ მოთხრობა, ისევე სწრაფად ხომ არ გაქრება გონებიდან, როგორც ეკრანიდან-მეთქი.

წიგნს, ბევრი სიკეთის მიუხედავად, კომპიუტერი ვერ ჩაენაცვლება _ თაროზე დადებული, საყვარელი წიგნის თვალის ერთი შევლებაც გიღიზიანებს მეხსიერებას, იქ ამოკითხულს და გონებაში ჩაბეჭდილს გახსენებს, გაიძულებს, უკვე მერამდენედ, გადმოიღო და ჩახედო.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხომ შეიძლება, მთელი ქვეყნის კომპიუტერებმა, ერთ მშვენიერ დღეს მეხსიერება დაკარგონ და დებილი მოწაფესავით მოგვაჩერდნენ?

წიგნს ეს საშიშროება არ ემუქრება _ ქვეყანაც რომ დაიქცეს, სადღაც, ვიღაცასთან მაინც გადარჩება.

«მდიდარი კაცი ღარიბს მიმართავს:
_ აჰა, მეგობარო, გამომართვი ეს პურის ნაჭერი, მხოლოდ პური არ ბეზრდება ადამიანს» (ჟიულ რენარი).

წიგნზეც იგივე შეიძლება გავიმეოროთ:
ყველაფერი, რასაც ტექნიკური პროგრესი გვთავაზობს, ადრე თუ გვიან ბერდება, კომპიუტერის თაობებს ჩვენს თვალწინ ყავლი გასდით.
მხოლოდ წიგნი არ ბერდება.
მხოლოდ წიგნი არ ბეზრდება ადამიანს.

ვასილ გულეური: ინტერნეტი და ელექტრონული ჟურნალები არის თუ არა ერთგვარი მცდელობა იმისა, რომ მკითხველი და მწერალი არ დაშორდეს ერთმანეთს? თქვენ რამდენად გიხდებათ ურთიერთობა კომპიუტერთან? ვიცი, რომ ბევრი მწერალი დღეს საწერი კალმისა და ფურცლის ნაცვლად პირდაპირ კომპიუტერზე მუშაობს.
ვანო ჩხიკვაძე: უიღბლოა ქორწინება, თუ სიყვარული არ გაღვივდა.
ინტერნეტიც და ელექტრონული ჟურნალებიც მკითხველის და მწერლის შუამავალია, ერთმანეთთან დაკავშირების ისეთი საშუალებებია, რაზეც სულ ცოტა ხნის წინ ვერც ვიოცნებებდით. მაგრამ მკითხველს და მწერალს მაინც დაშორება უწერიათ, თუ რის გამოც შედგა მათი შეხვედრა _ შემოქმედება, არ იქნება სასურველი მხატვრული დონისა.
კომპიუტერთან ურთიერთობა შენი საშუალებით მიხდება და ნამდვილად ცოტა მკითხველი არ შევიძინე (ამაზე მათი მრავალრიცხოვანი შეტყობინება მეტყველებს), რისთვისაც დიდ მადლობას გიხდი.
რაც შეეხება კომპიუტერზე მუშაობას, ახალი ნაწარმოების შექმნას, ჩემთვის ისევე წარმოუდგენელია (იქნებ, მიუღებელიც), როგორც მეურმე ზებგერითი თვითმფრინავის სამართავად რომ დასვა.
წერის დროს, თითქოს სიტყვებს და ასოების მოხაზულობასაც კი ვეფერები. ამ სიამოვნებას, მგონი, კომპიუტერის ღილაკებით ვერ იგრძნობ.
რა ვიცი, ჯერჯერობით ასე ვფიქრობ და მომავალში ვნახოთ.

ვასილ გულეური: რადგან მკითხველისა და მწერლის ურთიერთობა ვახსენეთ, მინდა ჩვენს ქალაქში არსებულ მდგომარეობასაც შევეხოთ. ფაქტიურად, გორში წიგნის მაღაზია აღარ დარჩა. საუბარია ბიბლიოთეკების შემცირებაზე და დახურვაზეც. რა უნდა გაკეთდეს ამ მხრივ ან თუ შეუძლია საზოგადოებას შეცვალოს რამე?
ვანო ჩხიკვაძე: ამას პატიოსანი, რიგითი მოქალაქე რომ არ სჩადის და არც მისი სურვილით ხდება წიგნის მაღაზიების დახურვა (უფრო სწორად, გაყიდვა), ბიბლიოთეკების შემცირება, ხომ ცხადია? თევზი, ტრადიციულად, საიდანაც ყარს, ვიცით მე და შენ! ამიტომ, საზოგადოებამ უნდა შესძლოს და შეცვალოს არა ზოგადი, აბსტრაქტული «რამე», არამედ ხელისუფლებაში გაწვეული ის «მოხალისეები», ვისაც თავისი გაუნათლებლობის თუ უფრო სერიოზული, შორს მიმავალი უკუღმართი ზრახვებით, შეუძლიათ დახურონ, შეამცირონ წიგნის მაღაზიები, ბიბლიოთეკები, ხელი წამოარტყან ყოფითი პრობლემებით ისედაც შეურაცხყოფილი ერის თავმოყვარეობას, შეუგინონ რაც კი ფასეული შეუქმნია...

ვასილ გულეური: საერთოდ, როგორ უყურებთ ლიტერატურაში მოზღვავებულ ჟარგონს, ხშირად უხამსობასაც კი? თანამედროვეობის მოთხოვნაა თუ ეპატაჟისთვის მიმართავენ ამას? ან იქნებ, საჭირო და აუცილებელია ლიტერატურის განვითარებისთვის?

ვანო ჩხიკვაძე: ლიტერატურის განვითარებისათვის კარგი ლიტერატურაა «საჭირო და აუცილებელი», სხვა დანარჩენი, უფრო ხშირად, უნიჭობის შესანიღბი «კამუფლაჟია». რუტინულ სიმყუდროვეს, დაჭაობებულ ცნობიერებას იაფფასიანი ეპატაჟით ძვრასაც ვერ უზამ, ანდა თუ უხამსობაა, მაშინ ლიტერატურაში რა ესაქმება?

ეკლესიაში იმიტომ შედის ადამიანი, ლოცულობს და ანთებს სანთელს, რომ იქიდან უკეთესი გამოვიდეს.

განა დიდი ლიტერატურაც განსაწმენდელი არ არის?

ვასილ გულეური: მართალს ბრძანებთ. რადგან ჟარგონი ვახსენეთ, ენის სიწმინდის საკითხს გვერდს ვერ ავუვლით. თუმცა, ეს ახალი და კომპიუტერის «მოტანილი» პრობლემა არ არის.

გასული საუკუნის დასაწყისში ვაჟა-ფშაველა წერდა: «ამ ბოლო ხანს ჩვენს საზოგადოებაში შეხვდებით სამდურავს ქართული ენის შებღალვის გამოო.» იმავე წერილში მწერალი ენას და მდინარეს ადარებს ერთმანეთს _ «თუ ხელოვნურად არ მოსტაცე, არ წაართვი, არ შეამღვრიე მდინარის გემო და ფერები, თავისთავად არასდროს არ დაჰკარგავსო» _ ამბობს იგი.

დღეს ქართული ენა სწორედ ასეთ მდგომარეობაშია: არა მარტო ჟარგონი, უცხო ენიდან შემოსული სიტყვები თანდათან «ჭამენ», ამღვრევენ მას. ადრე თუ რუსული ენა იმკვიდრებდა ყოველდღიურ დიალექტში ადგილს, დღეს ინგლისურმა გაცილებით დიდი ზიანი მიაყენა ქართულ ენას. და არა მარტო უცხო სიტყვებმა _ გაუმართავი ქართულით მოსაუბრე პოლიტიკოსები თუ ჟურნალისტები უმცირესობაში ნამდვილად არ არიან. «დღეს ჩვენი სტუმარია ცნობადი სახე...» «გავდივართ რეკლამაზე...» ასეთი ფრაზები თითქმის ყოველდღე გაისმის.

ვანო ჩხიკვაძე: ისედაც, უსულგულო დროის წყალობით, რამდენი სიტყვა ჩვენს თვალწინ ქრება, იკარგება ცოცხალი მეტყველებიდან, ილექება დამტვერილ ლექსიკონებში... ეს ისეთივე პროცესია, ეროზია რომ ემართება ნაყოფიერ ნიადაგს და თანდათან იფიტება, მოცოცავს, მიწას ავიწროებს გაუდაბნოება თუ გაუდაბურება... კვდებიან, იკარგებიან ულამაზესი, ტევადი, როგორც გიორგი ლეონიძე ბრძანებდა «მუხლადი, ბედაური» ქართული სიტყვები და მათ ნაცვლად მოდის რაღაც უჯიგრო, უსახური, ბრმად გადმოღებული ნათარგმნი ფორმები, ძალით შეკოწიწებული, უგემური ნაზავი. უგემურობას კიდევ ავიტანდით, ეს ბაკქანალია ენას, ჩვენს ცოცხალ მეტყველებას თუ წერის კულტურასაც რომ არ ანგრევდეს... როდესაც ტელეგამომსვლელებს ვუსმენ ანდა დღევანდელ ჟურნალ-გაზეთებს ვკითხულობ, ქართული ენა, ხშირად მეციხოვნეების გარეშე დარჩენილი ციხე-სიმაგრე მგონია, რომელსაც ყველა მხრიდან ლოდსატყორცნებით ულეწავენ გვერდებს.

ამას წინათ, საზოგადოებაში პოპულარული და ხმაურიანი გადაცემის წამყვანი ჟურნალისტი ქალი, ერთ პოლიტიკოსზე ბრძანებდა «**მას აქვს ძალიან მაღალი ყურებადობაო!**»

შენ მაინც მითხარი, ვასო, რა ხდება, მართლა ბნელა?

ახლა ჩვენს ყოფილ განათლების მინისტრს მოვუსმინოთ:

«... ეს არის იმის გარანტია, რომ ჩვენი განათლების სისტემა არის განწირული წარმატებებისათვის!»

და სხვა და სხვა.

და ა.შ. და ა.შ.

«ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა»...

მე ვერ გეტყვი, ასე და ამგვარად მოაზროვნეებს რა ეშველებათ, როგორც მოქართულეებს, მაგრამ ის ვიცი, რომ მათ ხელში კიდევ დიდხანს ვიქნებით «განწირული წარმატებებისათვის» თუ...

აღარ გავაგრძელებ!..

ვასილ გულეური: თქვენი თაობის ავტორებზეც მინდა ვისაუბროთ...

ვანო ჩხიკვაძე: ერთ ინტერვიუში ვამბობ, ლადო ასათიანის თაობის შემდეგ, ბედისწერის სიმუხთლე, ალბათ, ყველაზე მეტად 70-იანელებმა იწვნიეს მეთქი.

მიუხედავად ასაკით სხვაობისა, ვახლობლობოდი და ვმეგობრობოდი შოთა ჩანტლაძესთან, გიგლა სარიშვილთან, ნია აბესაძესთან, თედო ბექიშვილთან, გიორგი ბაქანიძესთან, გიორგი ჯაფარიძესთან, სოსო პაიჭაძესთან... იმათთან, ვისთანაც ჩემი სტუდენტობის წლებმა და პირველმა ლიტერატურულმა ნაბიჯებმა, უნივერსიტეტმა და ცნობილმა უნივერსიტეტის ბაღმა დამაკავშირა... ისინი ნაადრევად გამოაკლდნენ ჩვენს საერთო სამეგობროს... მათ ხშირად ვახსენებ ჩემს ლექსებში, მოთხრობებში, წერილებში თუ ინტერვიუებში...

აუ, მათთან ერთად გატარებული რა ლამაზი წუთები, საათები, დღეები და წლები მახსოვს!..

ვასილ გულეური: სულ ახლახანს ანა კალანდაძე გამოაკლდა ქართველ პოეტებს. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ არც იგი და არც ქართული მწერლობის სხვა შესანიშნავი ავტორები, ხელისუფლების ყურადღებით განებივრებულნი არ ყოფილან და არ არიან. ყოველთვის იყვნენ კარის პოეტები, მაგრამ ნუთუ დღეს ამ პრინციპით უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო თავის ინტელიგენციაზე?

ვანო ჩხიკვაძე: «განებივრებული მწერალი», მითუმეტეს ხელისუფლებისაგან, ჩემში მაინცდამაინც სასურველ ემოციას ვერ იწვევს.

უანგაროდ შეიძლება მხოლოდ უფალმა გაგანებივროს _ გიბოძოს «სამკალი» და მისი მოვლის ნიჭი, უნარი, გამძლეობა.

ანა კალანდაძეც მხოლოდ ღვთისა და მკითხველის ნებიერი იყო.

ბოლოს 2006 წლის მაისში, «საბას» პრემიით დაჯილდოების დროს შევხვდით.

ახლაც, მუჭში დამწყვდეული ჩიტის ბარტყივით ვგრძნობ მისი ხელის სითბოს და ძალიან თბილ, მოსიყვარულე დამოკიდებულებას.

მაქვს იმ საღამოს, ქალბატონ ანასთან გადაღებული სურათები.

ჩემთვის, ბედისგან ეს «განებივრებაც» ძალიან ბევრს ნიშნავს.

რაც შეეხება სახელმწიფოსგან ინტელიგენციაზე ზრუნვას, ყურადღებას მწერლობის მიმართ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ამ სახელმწიფოს რა ფასეულობებზე ორიენტირებული ხელისუფლება ჰყავს, «კარის» ნებიერები ურჩევნია თუ თავის ქვეყანაზე, მის ბედსა და უბედობაზე ჩაფიქრებული შემოქმედი.

ვასილ გულეური: სახელმწიფოსგან, უფრო სწორად, ხელისუფლებისაგან განებივრების ავ-კარგი გასაგებია, მაგრამ დღეს ავტორმა რომ წიგნი გამოსცეს, ან მდიდარი სპონსორი უნდა მოძებნოს, ან საავტორო ჰონორარის ნაცვლად რამდენიმე საკუთარი წიგნი მიიღოს. ვინ უნდა დაიცვას ეს უფლებები? როგორ ხდებოდა «შავბნელ კომუნისტურ» წლებში ეს ურთიერთობები?

ვანო ჩხიკვაძე: «შავბნელ კომუნისტურ» წლებში წიგნიც გამოდიოდა (დღევანდელობისთვის წარმოუდგენლად დიდი ტირაჟებით), მკითხველსაც ხელი მიუწვდებოდა მის შესაძენად და ავტორის შრომაც, შესაბამისი ჰონორარით ფასდებოდა.

მხოლოდ სპონსორის იმედად, თუ სახელმწიფოც არ დაინტერესდა, კულტურის, ხელოვნების საქმე წინ ვერ წავა.

ხელისუფლება მოვალეა ნებისმიერ თავის მოქალაქეს გამოესარჩლოს.

მათ შორის მწერალსაც _ მიუხედავად თავისი პოზიციისა.

ბოლოს და ბოლოს _ «პირველად იყო სიტყვა.»

ვასილ გულეური: რადგან ჩვენს საუბარს ასე ვასრულებთ, იქნებ თქვენი რომელიმე ახალი ლექსი შევთავაზოთ მკითხველებს...

ვანო ჩხიკვაძე:

შობის იები

მეუფე ისაიას

იები, იები მეუფეო,
იები თვალებში ღაღანებენ.
გალობ და სიმშვიდე ეუფლება
ხატიდან გადმოსულ მახარებელს.

სადარდელს ლოცვებით მოუოხებ,
ტკივილებს კვერივით გვინაწილებ,
ვიდრე უსინათლო მოხუცივით
ქვეყნის უბედობას მივაცილებთ.

ვიდრე გაზაფხული მოაბღავლებს,
ხელებაპყრობილო, ვედრებითა,
იები ტაძარში, შობა ღამეს,
ცვივა უცოდველი ბგერებიდან.

მთვარეა დამცხრალი ფოცხვერივით,
მაქეზებს გაფიჩხულ ნატვრის ხიდან _
შემინდე, ზეცისკენ მოწყენილი
სული ასაფრენად აიზიდა...

ნისლებში კანდელი აქანავდა _
ვხედავ, იის შუქით ნაამბორალ,
ქარში მოფარფატე ჭაღარას და
თოვლში, ძახილივით _ ანაფორას...

იები, იები მეუფეო,
იები თვალებში ღაღანებენ.
გალობ და სიმშვიდე ეუფლება
ხატიდან გადმოსულ მახარებელს.

როგორც გაბრწყინებულ საკურთხეველს _
ლოცვით, ქურმუხიდან გონიომდე,
ისე შემოუვლი საქართველოს,
თითქოს ბეწვის ხიდზე მოდიოდე.

მაია კილაძის «აპრილიდან აპრილამდე»

დავდივარ ქუჩაში და ვეძებ რითმას. არა, პოეტი არ ვარ, არც მოყვარული მელექსე. უბრალოდ ლექსის თარგმანს შევეჭიდე. რაღა უბრალოდ, ამაზე ბრალიანი და რთული საქმე არც არსებობს ალბათ. ნებისმიერ ლიტერატურას მხოლოდ მკითხველი ასულდგმულებს. როგორც ენა, რომელზეც არ მეტყველებენ, კვდება, ასევე კვდება ყოველი დაწერილი (ახლა უკვე აკრეფილი) ფრაზა. აკრეფა ვახსენე და აქვე ვიტყვი, დღეს ყველას, ვინც წერს, საშუალება აქვს (რა თქმა უნდა, თუკი კომპიუტერთან მიესვლება), რომ საკუთარი ნააზრევი სამზეოზე გამოიტანოს, ნუ კომპიუტერის ეკრანზე მაინც. ეს კარგია, პირველ რიგში იმიტომ, რომ

შეგიძლია დარჩე ანონიმური, რაც იმის გარანტია, რომ იქნები უფრო გულახდილი, თამამი და ასევე გულახდილ და თამამ კომენტარებს მოისმენ იმაზე, რასაც წერ. ანუ უცხო თვალით შეხედავ საკუთარ შემოქმედებას. გალაკტიონი, რომელიც სხვებზე წინ თვითონ აფასებდა საკუთარ თავს და გენიოსს უწოდებდა, დაინტერესებული იყო იმით, რას ფიქრობდნენ მასზე. სამწუხაროდ, აღარ მახსოვს, წერილის ადრესატი, მაგრამ გალაკტიონი თხოვს, რომ თუკი სკოლის მოსწავლეების თემებში რამე ჩანაწერს შეხვდე ჩემთან დაკავშირებით, გადამიწერე და გამომიგზავნე, საინტერესო იქნება ერთი ჩვეულებრივთაგანის აზრის მოსმენაცო. და როდესაც გალაკტიონი არ ხარ, რა თქმა უნდა, უფრო მეტად გაინტერესებს, რას ამბობენ შენი მკითხველები. ისინი აცოცხლებენ შენს შემოქმედებას, გზრდიან, მაგრამ რაღაც მომენტში, გმართავენ კიდეც. ეს საკუთარ თავზე გამოვცადე. მივხვდი, რომ დავიჭირე, რა მოწონთ ჩემს ნაწერებში და შემდეგი ჩანახატი იყო ამ მოწონებულის გამძაფრება. სხვანაირად რომ ვთქვა, მოვიპარე ჩემი მკითხველის გრძნობა, დავურთე ჩემი ხელმოწერა და ისევ ჩემს მკითხველს დავუბრუნე. მანაც ტაში დამიკრა. შევშფოთდი, როდესაც ეს რაღაც კომერციული ელემენტი აღმოვაჩინე (აქ არაა ფინანსურ დაინტერესებაზე ლაპარაკი, კეთილგანწყობას ვყიდულობდი, მაგრამ ვყიდდი ჩემი ნაწერების სულს. არ ვწერდი იმას, რასაც მე ვგრძნობდი, არამედ იმას, რაც მოწონდათ). ეს რომ აღმოვაჩინე, კინაღამ ხელი ავიღე წერაზე. კიდევ კარგი გონს მალე მოვეგე. საშინელებაა, როდესაც ავტორი არაა გულწრფელი, ისევ დავიწყე საკუთარი გრძნობების ჩანიშვნა. მაგრამ თუ ზედმეტად სუბიექტურია ავტორი და მხოლოდ თვითონ ესმის ის, რასაც წერს, მაშინ გამოდის, რომ მხოლოდ ფურცელზე გადმოაქვს ის, რაც მასში დაგროვდა, გეგონება წყალს ატანს ცუდ სიზმარს. მაგრამ როდესაც თარგმნი, ამას იმიტომ ვერ გააკეთებ, რომ უბრალოდ ვეღარ იტევ ემოციებს. თარგმანი ყველა სხვა მხატვრულ ლიტერატურაზე მეტადაა გათვლილი მკითხველზე. ის, რაც შენ წაიკითხე და მოგეწონა, გინდა, რომ სხვასაც გაუზიარო. აი, აქ რთულდება ყველაფერი. განსაკუთრებით კი მაშინ, თუ საქმე პოეზიას ეხება. ლირიკას მაქსიმალური სუბიექტიზმი ახასიათებს. ვიღაცამ განიცადა, ვერ დაიტია და ლექსად აქცია. შენ წაიკითხე, იგრძენი და ახლა გინდა სხვამაც იგრძნოს. ამ სხვამ არ იცის ის ენა, რა ენაზეც ორიგინალია დაწერილი. შენ საკუთარ თავზე იღებ გადაუმშობლიურენო შენი მიწონებული პოეზია. ჯიუტობს ფაქტი, რომ რაც არ უნდა კარგად იცოდე ენები, ორი ენა ერთზე არ დავა, ანუ აბსოლუტურად იდენტურ ლექსს ვერ მიიღებ შენს ენაზე, რაც არ უნდა კარგად თარგმნო. ან შინაარსი უნდა უმსხვერპლო ამ საქმეს, ან რითმი და მელოდია. ლექსი კი ამ ორის ერთობლიობაა და ცალსახად ვერ იტყვი, რომელი იწვევს შენში ემოციას. აბა წარმოიდგინე გალაკტიონის «ლურჯა ცხენები», ვინ უნდა თარგმნოს, რომ შეინარჩუნოს სახეებიც და მუსიკალობაც. ეს მთარგმნელზე იმდენად არაა დამოკიდებული, რამდენადაც გარე ფაქტორებზე. ორი სხვადასხვა ენა მაინც ორი სხვადასხვა ენაა, განსხვავებული იდიომებით, განსხვავებული მელოდიებით. მთარგმნელი დილემის წინაშეა. აი, მაგალითად იზა ორჯონიკიძემ თარგმნა ბერძნულიდან და ქართველი მკითხველი თუ ბერძნულ პოეზიას იცნობს, მისი დამსახურებაა. მაგრამ იცნობს კი? ქალბატონი იზა კარგი პოეტია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მისი თარგმანები ბერძნული ლექსის მოტივებზე დაწერილი აბსოლუტურად დამოუკიდებელი ლექსია. გამომცემლობა «ლოგოსმა» ახლახან გამოსცა «ახალი ბერძნული პოეზიის ანთოლოგია», სადაც საკმაოდ კარგი თარგმანებია შესული და პრიორიტეტი ამ თარგმანებისთვის შინაარსთან მაქსიმალური სიახლოვეა. კარგია, ქართველი მკითხველი იცნობდეს ბერძნულ პოეზიას. ბევრი ლიტერატურული მოვლენა და პროცესი რაც ბერძნულმა პოეზიამ განვლო, არ უნდა იყოს უინტერესო ქართველი ავტორ-მკითხველებისთვის. მაგალითად ის, რაც დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში ხდება, ძალიან მაგონებს ბერძნულ სურეალიზმს. ეს ხდება მეოცე საუკუნის 40-იანი წლების საბერძნეთში. ამ მიმართულებას სამი დიდი წარმომადგენელი ჰყავს, ენგონოპულოსი, ემბირიკოსი, ელიტისი. როგორც მიიჩნევენ, სურეალიზმის გამომწვევი მიზეზი ის გახდა, რომ იმ პერიოდში ძირითადად პროზა დომინირებდა და ბერძენ პოეტთა ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა, ახალი ხერხების გამოყენებით მკითხველის ყურადღება პოეზიისკენ მიეპყრო. ეს, შეიძლება ითქვას, არის შიშველი პოეზია, რომელიც იყენებს ვერლიბრს, პოეზიას პროზის ფორმით წერს და სავსეა აბსოლუტურად

სიზმრისეული სახეებით, არარეალური შედარებებით, ჭარბია ეროტიკაც, ცხოველურ ინსტიქტებამდე დასული გრძნობების პოეტური აღწერა, რასაც, დღევანდელ ლიტერატურულ საიტებზე გამოქვეყნებულ მასალებს თუ გადავხედავთ, ქართულ თანამედროვე პოეზიაშიც აღმოვაჩენთ. აქვე მინდა აღვნიშნო განსხვავებაც, ქართულ თანამედროვე მწერლობაში ამ ხერხს თითოეული ავტორი იყენებს საკუთარი ორიგინალურობისთვის ხაზის გასასმელად. ის, რასაც დღეს ვწერთ და ვკითხულობთ, არის პროტესტი, სურვილი გამორჩეულობისა. ამიტომ ყველა ცდილობს რაც შეიძლება შორს გაექცეს ყველაფერს დადგენილს და უკვე არსებულს, ლექსი დაწეროს, მაგრამ არ ჰქონდეს ლექსის ფორმა, თამამად ილაპარაკოს გენიტალიებზე, არ მოერიდოს უცენზურო სიტყვებს, რაც შეიძლება წარმოუდგენელი სახეები გამოიგონოს... სამწუხაროდ, ყველა ერთად გავექეცით ყველაფერ ძველს, რასაც უკვე გაცვეთილს ვუწოდებთ და ყველამ ერთ წერტილში მოვიყარეთ თავი. 180 გრადუსით შევტრიალდით, ოღონდ შევტრიალდით ყველა ერთად და ჩვენდაუნებურად, ვწერთ აბსოლუტურად ერთნაირად, ვერც კი ვხვდებით, იმდენად ვემგვანებით ერთმანეთს და რა საოცარი ტემპებით ვახუნებთ იმას, რაც ცოტა ხნის წინ ახალი და განუმეორებელი იყო. ვბაძავთ უკვე საკუთარ თავსაც და საკუთარ მოგონილ მხატვრულ სახეებს ვაბანალურებთ. ამ საერთო ხმაში ვკარგავთ იმათაც, ვინც მართლა ღირსია, რომ წლების შემდეგ ანთოლოგიებში საპატიო ადგილი დაიკავოს. დღევანდელი ლიტერატურული მოვლენების უცხო თვალით შეფასება არ შეგვიძლია, რადგან ჩვენ თავად ვქმნით ამ რეალობას. ეს ყველაფერი ჯერ მაჭარია და როდესაც დაღვინდება, უკვე სხვა თაობა შეაფასებს. ერთი ნამდვილად ვიცი, ის თაობა, რომელიც სხვა თვალით შეხედავს დღევანდელ ლიტერატურას, აუცილებლად დაინახავს, რომ საოცრად ბევრს ვსაუბრობთ სიკვდილზე, სუიციდზე. საოცრად სევდიანი და სასოწარკვეთილი თაობის შთაბეჭდილებას დავტოვებთ. და ალბათ ვართ კიდეც. ისევ ბერძნებს მივუბრუნდები, ზუსტად ამ განწყობის ლექსებს წერენ პირველ-მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში მოღვაწე ბერძენი პოეტები. კარიოტაკისი, რომელიც ახალი მიმართულების ფუძემდებლად ითვლება, შეიძლება ითქვას, სიკვდილის მომღერალია. სუიციდი მისი პოეზიის მთავარი თემაა. ლექსიც აქვს სათაურით «იდეალური თვითმკვლელობები». აღსანიშნავია, რომ კარიოტაკისი არა მხოლოდ წერდა თვითმკვლელობაზე, არა მხოლოდ ფიქრობდა, საბოლოოდ სიცოცხლე სწორედ თვითმკვლელობით დაასრულა. 32 წლის პოეტმა ჯერ თავის დახრჩობა გადაწყვიტა, ათი საათი ეწვალა ტალღებს. «ღმერთებისა და ადამიანებისგან მოძულებულმა» პოეტმა იგრძნო, რომ მას სიკვდილიც ხელს კრავდა. სიკვდილი, რომლის «კართანაც დიდი ხანია ვარდებით ხელში იდგა». იგი ნაპირზე გამოვიდა, ერთ-ერთ კაფეში შევიდა, დაწერა თავისი უკანასკნელი სიტყვები: «ვინც ცურვა იცის, დახრჩობას ნუ ეცდება» და იარაღით მოიკლა თავი. მისთვის ხომ «ცხოვრება ღამე იყო, რომელიც არ თენდება», ალბათ ეს ღამე დაასრულა, მაგრამ ვერც მიხვდა, რომ ამ ერთი გასროლით ორ სიცოცხლეს დაუსვა წერტილი. თან გაიყოლა ქალი, ისიც პოეტი, ისიც ბერძენი, რომელიც ოდესღაც კარიოტაკისის სულს შეეხო. «შენ მაშინ ნება დამრთე შენი ჭაბუკური სულის ცეცხლოვანი ჭრილობა მენახა» _ წერდა მარია პოლიდური. მარიასა და კარიოტაკისს ხანმოკლე სამიჯნურო ურთიერთობა ჰქონდათ. ხანმოკლე იყო ფიზიკურად, თორემ განშორების შემდეგაც არ განელებიათ ურთიერთსიყვარული. როდესაც მარიამ კოსტას კარიოტაკისის თვითმკვლელობის შესახებ შეიტყო, ამის შემდეგ მხოლოდ სიკვდილსღა ელოდა. იჯდა სიცოცხლის ზღურბლზე და წერდა ლექსებს, ვიდრე მოვიდოდა სიკვდილი, ეტლი, რომელიც მას მიჯნურთან წაიყვანდა. «თვალებს არ ვხუჭავ, _ წერდა მარია, ვიცი, აღარ აქვს ოცნებას სატყუარა». მისი ოცნების საგანი კოსტასი იყო. «დავიბადე, რადგან შენ შემიყვარე», მიუძღვნა მარიამ კარიოტაკისს. მაგრამ საოცარია, ისინი ერთად დიდხანს არ ყოფილან. ეს ალბათ მარიას ბრალი იყო. მას საოცარი გაორება სჭირდა. მის დღიურებში ერთ გვერდზე საოცარი სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს აბსოლუტურად საპირისპირო შეგრძნებები. მარია ჯერ საოცარი სიმძაფრით აღწერს, თუ როგორ უნდა, რომ ის უყვარდეთ, მაგრამ იქვე აღიარებს, რომ ვერ იტანს, როდესაც მას მამაკაცები შეყვარებული თვალებით უყურებენ. ეგებ მისთვის სულიერი ურთიერთობა იყო მთავარი, იქნებ უბრალოდ ოცნების საგანი ესაჭიროებოდა და რადგანაც კარიოტაკისის სული გაიცნო, შეუყვარდა

თავდავიწყებით, ოღონდ შეუყვარდა მისი სული და როდესაც კოსტასი სხვა სამყაროში გადასახლდა, მარიამაც იჩქარა მის ნაბიჯებს ადევნებოდა. ღიმილით ჩასჭიდა ხელი პნევმონიას, რომელსაც ის კოსტასთან უნდა მიეყვანა. და აპრილის ერთ ლამაზ დღეს, მარია ამ სამყაროდან წავიდა. საოცარი პოეტურობაა ალბათ იმაშიც, რომ მარია ამქვეყნადაც სწორედ აპრილში მოვიდა. აპრილიდან აპრილამდე უყვარდა, ოცნებობდა, ელოდა, წერდა, ვიდრე ოცდამეცხრე აპრილს უკვდავი არ გახდა. აკი ამბობდა კარიოტაკისი, როგორ შეიძლება მოკვდეს ქალი, რომელიც უყვართო? კარიოტაკისს სული ეხუთებოდა პროზაულ რეალობაში, ამიტომაც არჩია პოეტური სიკვდილი და მარიასთან ერთად შექმნა უკვდავი ისტორია ლამაზი და ლირიული სიყვარულისა. ამ პოეტებზე უამრავი წიგნი არსებობს. დაბეჭდილია მათი დღიურები პარალელურად, მათი ლექსები თითქმის დიალოგებად და სხვ. სამწუხაროდ მხოლოდ ბერძნულ ენაზე. იმისთვის რომ ამ პოეტებს გაეცნონ, მთელი საქართველო ხომ არ ისწავლის ბერძნულს? არადა მენდეთ, ვისაც ტერენტი უყვარს, მას კარიოტაკისიც შეუყვარდება. ისე მინდა, რომ წაგაკითხოთ მათი ლექსები... დავდივარ ქუჩაში და ვეძებ რითმას. არა, პოეტი არ ვარ, არც მოყვარული მელექსე. უბრალოდ ლექსის თარგმანს შევეჭიდე, აპრილიდან აპრილამდე რომ წერდა გამიჯნურებული პოეტესა.

«როდესაც მშვიდი საღამო ჩამოდგება,
იგი მე მომიხმობს უსიტყვოდ, ტკბილად,
რათა წყვდიადში გავყვე ნება-ნება.
ნაბიჯი მისი უტყვი და მტკიცე იქნება,
ჩემი რწმენა კი _ მხურვალე, რომ უჩუმრად
ჩემი ნაბიჯები შენ ერთს აგედევნება...».

რამდენიმე კითხვა...

მგონია, რომ პოეზიას არა აქვს ასაკი, სქესი და კანის ფერი

ებლიტფო: თუ ნებას მომცემ, ორ კითხვას გავაერთიანებ: როდის აღმოაჩინე საკუთარი თავი პირველად?

რა არის თქვენთვის წერის პროცესი, რელაქსაცია, თავშესაფარი თუ «თავშესაქცევი»?

ლუბა ელიაშვილი: მახსოვს, პატარა ალბათ სამიოდე წლის, ჩემს სახლში, პეკინის ქუჩაზე ფანჯრის რაფაზე ვიჯექი და ქუჩაში მოძრავ მანქანებს ვუყურებდი (მაშინ კანტიკუნტად დადიოდნენ) უცებ მივხვდი, რომ მე სხვა, ანუ მ ე ვარ და ეს ყველაფერი რასაც ვხედავ ჩემს გარეთაა.. ახლაც მახსოვს, როგორი აღტაცება გამოიწვია ამ აღმოჩენამ. ასეთი ღრმა ბავშვობიდან სხვა მოგონება არ შემომენახა, ეს კი არასდროს მავიწყდება

წერის პროცესიც გავს ამ გრძნობას, ლექსიც, როგორც სამყარო, ჯერ შენში არსებობს, მერე თანდათან, ფორმას იძენს, ხორცს ისხამს, ფურცელზე გადადის. იქაც, როგორც წესი, სწორდება, ღვინდება, ფორმა ეხვეწება, უცვლელი ყოველთვის რჩება ის ძირითადი იდეა ან ფრაზა, რომელმაც ეს კონკრეტული ლექსი «წამოიღო»; დანარჩენი მთლიანად შეიძლება შეიცვალოს, რიტმიც კი... და მერე რომელიღაც მომენტში ჩემგან დამოუკიდებლად იწყებს არსებობას. Eეს ისეთივე სასიამოვნო პროცესია, როგორც საკუთარი თავის აღმოჩენა იყო ჩემთვის 3 წლის ასაკში, ამ სამყაროს ნაწილად და მაინც ცალკე პიროვნებად...

წერის პროცესი, რელაქსაციაცაა, თავშესაფარიც, «თავშესაქცევიც» და კიდევ სამყაროსთან ურთიერთობისა და წარსულ ემოციებში მოგზაურობის საშუალებაც.

უფრო მოკლედ, ჩემი ლექსიდან გეტყვით: «ცხოვრება მეპარება მეხსიერებიდან, იქნებ როგორმე ლექსებად შევაკაო».

ებლიტფო: ქალბატონო ლუბა, მეჩვენება თუ თქვენი პოეზია მართლა ჰგავს მამაკაცის დაწერილს? აქვე გკითხავთ, მაინტერესებს პირველად ვის უკითხავთ ხოლმე თქვენს ლექსებს?

ლუბა ელიაშვილი: ზოგიერთი ჩემი ლექსი კაცის დაწერილს ჰგავს, ნამდვილად.

თუმცა არის ძალიან «ქალური» ლექსებიც.

როცა კაცივით ვწერ, მე იმ ლექსში ის ვარ, ვისაც «ის კაცი» ლექსს უძღვნის ან საერთოდ არ ვარ და რომელიღაც ჩემი ემოციაა.

როგორც ჩანს, იმდენ ხანს ველოდე ვიდრე ვინმე ლექსს მომიძღვნიდა, რომ ბოლოს ვეღარ მოვითმინე, ავისრულე «ოცნება» და საკუთარ თავს თვითონ მივუძღვენი ლექსები. რამდენად კარგი, მკითხველმა უნდა განსაჯოს.

მგონია, რომ პოეზიას არა აქვს ასაკი, სქესი და კანის ფერი.

გაგიმხელთ, ძალიან არ მინდა რომ უმუშევრად დარჩენილი «სასოწარკვეთილი დიასახლისის» ნაწერად მოეჩვენოს ვინმეს ჩემი ლექსები, თუმცა, ამგვარი ირონიული სათაურით პატარა ციკლიც მაქვს დაწერილი.

რაც შეეხება იმას, თუ ვის ვუკითხავ პირველად, ზურიკელა ვაშალომიძის და სოდის მიღების წესის არ იყოს სულ 4 ადამიანს ვუკითხავ და ყველას სხვადასხვანაირად:

1. ჩემს 19 წლის ვაჟს გიორგის _ ვთხოვ, თვითონ წაიკითხოს ხმამაღლა, ამისთვის ორი მიზეზი მაქვს,

ა. მინდა, რომ «ჩათაობისა» და «მესიჯების» გარდა რამე წაიკითხოს, ჩემი ხათრით მაინც;

ბ. მაინტერესებს მიუხვდება თუ არა ინტონაციას, ანუ როგორ ჟღერს სხვისი წაკითხული.

2. შალვას (ჩემს მეუღლეს) ვაწვდი, დილის ჩაიზე, ფურცელზე ამობეჭდილს (არჩევითად, ყველას არა) და სულგანაბული ველოდები მის მშვიდად ნათქვამ «კარგიას».

3. ჩემს დას, მანანა ელიაშვილს და მეგობარს მანანა მენთეშაშვილს ტელეფონში ვუკითხავ ძალით და ვეჩხუბები, თუ არ სცალიათ ან უყურადღებოდ მისმენენ.

სულ ეს არის.

ებლიტფო: ჩაგეკითხებით, თქვენი ნებართვით, რა აქვს _ უასაკო, უკანისფერო და უსქესო პოეზიას?

რას იტყოდით ადამიანზე, რომელსაც ერთხელაც არ დაუწერია ლექსი და//ან არ უყვარს პოეზია?

ლუბა ელიაშვილი: კურტ ვონეგუტს მოვიშველიებ, მისი ერთი გმირი, მხატვარი, «ჩემპიონთა საუზმეში» ამბობს: «ადამიანი ჩემთვის არის სწორი, ურყევი სინათლის სხივი, და ამიტომ, ჩემს დახატულ აბსტრაქციონისტულ სურათზე, წმინდა ანტონიო თავის მარტოობაში მხოლოდ ე რ თ ი სწორი ურყევი სხივია, რომ ყოფილიყო მის გვერდზე ოფიციანტი ქალი ბარიდან, მაშინ, ამ სურათზე ორი სინათლის სხივი იქნებოდა... (ციტატა ზუსტი არ არის, მაგრამ აზრი ეგაა).

ყოველ ჩვენგანში არსებული სინათლის სხივის ათინათია პოეზია, გარეთ გამოტანილი, რომელსაც იმისთვის ვამზეურებთ, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ.

ეს სხივი ერთდროულად შეიცავს _ სიყვარულს, ტკივილს, სიხარულს, იმედსა და იმედგაცრუებას, წარსულ გამოცდილებას და სამყაროს ინტუიტიურ წვდომას, კიდევ უამრავ სხვა კომპონენტს, მოკლედ იმას, რაც სინამდვილეში არის ა დ ა მ ი ა ნ ი და არა აქვს მნიშვნელობა ქალია, კაცი, იმპერატორი თუ მიწის მუშა, თუ პ ო ე ტ ი ა კარგად დაწერს, ვიღაცას დამახსოვრება და გამეორება მოუნდება.

რაც შეეხება მეორე კითხვას _ ვიტყოდი, იქნებ ფერწერა უყვარს, ან მუსიკა, ან ჭიდაობა, ან სირბილი ან დედა...ან წვიმა... და თუ არაფერი უყვარს არ ყოფილა საშველი.

ებლიტფო: პირველ ლექსზე მოგვიყევით...

ლუბა ელიაშვილი: პირველი ლექსი ისეთი დიდი ხნის წინ იყო, რომ ძნელი გასახსენებელია...

პირველ ლექსებს არ ვიწერდი, იმიტომ რომ ძალიან მეზარებოდა წერა, სუფთა ფურცლის ფობია მტანჯავდა როგორც ჩანს, ჩემს ბავშვობის მეგობარს ლეილა ხომერიკს ვეუბნებოდი ზეპირად, ისიც, თუ კარგ ხასიათზე იყო ჩაიწერდა ხოლმე.

ერთხელ გავაბრაზე (დავპირდი და არ მივედი, მეათასედ), განაწყენდა და დახია ლექსებიანი რვეული.

აღარ შემიწუხებია მერე ჩაწერისთვის და რაკი წერა მეზარებოდა, მინიმალისტურ პოეზიაში ვცადე ბედი.

მაგრამ, ამჯერად სხვა მეგობარმა, ქმარზე გაბრაზებულმა, ჩემი ჩანთა, რომელშიც სხვა ნივთებთან ერთად ლექსებიანი უბის წიგნაკიც იდო, ღია ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარ ქმარს ესროლა და ფანჯრიდან გადააგდო.

ვიდრე მესამე სართულიდან ტაბიძის ქუჩაზე ჩავირბინეთ, აღარც ჩანთა იყო და აღარც ლექსები.

მოკლედ, ვიფიქრე ეტყობა ნიშანია ზეციდან, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე ლექსებს რომ დაკარგავ-თქო და გავეშვი ლექსების ჩაწერას.

ისე, კი მომდიოდა თავში, მაგას რას ვუზამდი, მაგრამ, აღარ ვიმახსოვრებდი და არც ვიწერდი.

ამასობაში ცივილიზაცია წამომეწია, ანუ კომპიუტერმა დამაძლევინა ქაღალდზე წერის შიში და კიდევაც გამოვაქვეყნე ინტერნეტში.

ებლიტფო: ზოგადად, ჩანს თუ არა პოეტის ლექსში პოეტი?

ლუბა ელიაშვილი: რასაკვირველია. მე ხომ ცოტა ფსიქოლოგიც ვარ (ფსიქიატრიულ კლინიკაში მუშაობის 6 წლის სტაჟით) და ჩემი აზრით, ლექსში დიაგნოსტიკური ტესტივით ჩანს პოეტის სულის მოძრაობა და «კლინიკური დიაგნოზი».

ერთია მთავარი, მაგალითად, ტერენტი გრანელის _ დეპრესია და «შიზოფრენია», მდაბლად ხრის თავს, და ბუჩქებში იმალება როცა მის უკვდავებას და ნიჭს უსწორებს თვალს.

ებლიტფო: რა არის თქვენთვის სიცოცხლე სრულყოფილი მნიშვნელობით?

ლუბა ელიაშვილი: სიცოცხლე არის როცა კარგი წიგნის გემო, კარგი მუსიკის არომატი, კარგი ფერწერის ხიბლი შეგიძლია იგრძნო _ ლაღად სუნთქავ, გათენება გიხარია, ცეკვაში და სიყვარულში თავდავიწყება შეგიძლია, მონანიების არ გეშინია, გონს და ღირსებას არც წარმატების თავბრუსხვევა გაკარგვინებს და არც დამარცხების სასოწარკვეთა.

სილამაზეს და სხვის ნიჭიერებას რომ დაინახავ გინდა ყველას აჩვენო და სიხარული გაუზიარო, სიბერეს მშვიდად ხვდები...

ყოველთვის ვერ ვახერხებ ამას, მაგრამ ძალიან კი ვცდილობ.

ებლიტფო: ქალბატონო ლუბა, გადაუჭარბებლად გეტყვით, ჩვენ ვაცნობიერებთ რომ პროფესიონალ ჟურნალისტს ვესაუბრებით, ამიტომ, კითხვა ჟურნალისტმა ლუბა ელიაშვილმა გვინდა რომ დასვას...

რას შეეკითხებით პოეტ ლუბა ელიაშვილს?... და რას უპასუხებს იგი?

ლუბა ელიაშვილი: რესპოდენტთან ჩემი ფამილარული დამოკიდებულება მაძლევს საშუალებას პირდაპირ ვკითხო: გჯერა, რომ შენი პოეზია დროის გამოცდას გაუძლებს?

ლუბა ელიაშვილი: რა ვიცი აბა, ის კი მინდა, თრობამოკიდებულმა ქართველებმა, რომელიმე ჩემი ლექსი, სუფრაზე ზეპირად თქვან... თუნდაც შეცდომებითა და ბორძიკით...

ძალიან გამეხარდებოდა, ასე რომ მოხდეს, მაშინ იმასაც ვაპატიებდი საკუთარ თავს, ამდენი ხანი ჟურნალისტი რომ აღარ ვარ, მხოლოდ ლექსის წერას გადავყევი და ერთი სტატია ვერ დავწერე გაზეთისთვის, მოგეხსენებათ, წერა ძალიან მეზარება...

საბავშვო მწერალი თვითონ უნდა იყოს ცოტათი ბავშვი

ებლიტფო: ქალბატონო ირმა, რამ განაპირობა თქვენი საბავშვო ლიტერატურაში მოღვაწეობა. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია საბავშვო ლიტერატურის

განვითარება დღეს? ვინ წერს დღეს ბავშვებისათვის და როგორ? სად მთავრდება «ბავშვობა», კითხულობენ თუ არა დიდები საბავშვო ნაწარმოებებს? რატომ?

ირმა მალაციძე: საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობაზე საუბარი ალბათ ზედმეტია, ყველას კარგად გვესმის, რომ საძირკველის გარეშე შენობა ვერ აშენდება. თუ ბავშვს თავიდანვე არ გამოუმუშავდა კითხვის უნარ-ჩვევა, ასაკის შესაბამისად არ გაეცნო ლიტერატურას, მომავალში ის წიგნს ვეღარასდროს შეიყვარებს.

დღეს ამ კუთხით, მართლაც, რომ კატასტროფული მდგომარეობაა საქართველოში. შედეგად ერი უწიგნურ თაობას მიიღებს, მწერლები კი, არც მეტი, არც ნაკლები, მკითხველის გარეშე დარჩებიან.

რაც შეეხება ჩემს დაინტერესებას საბავშვო ლიტერატურით, ძნელია იმის ახსნა, რაც თავისთავად ხდება. ჩემში იმდენად ძლიერია ბავშვობის მონატრება, რომ, როგორც ჩანს, ამან ასახვა საბავშვო ნაწარმოებებში ჰპოვა. საბავშვო მწერალი თვითონ უნდა იყოს ცოტათი ბავშვი.

ებლიტფო: რას საქმიანობს თქვენს მიერ დაარსებული ფონდი «ლიბო»?

ირმა მალაციძე: შეგახსენებთ, რომ საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი 2006 წელს ჩამოყალიბდა და არსებობის მანძილზე რამდენიმე პროექტი განახორციელა. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის ალბათ, მაინც, ქართული საბავშვო წიგნის დღის დაწესებაა, რომელიც გასული წლის 27 ოქტომბერს უკვე მეორედ აღინიშნა. ამჯერად, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა გვიმასპინძლა. პირველად კი ქართული საბავშვო წიგნის დღე ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საუკუნენახევრიანი ისტორიის მქონე ქართული საბავშვო ლიტერატურის გამოფენით აღინიშნა.

გარდა ამისა, ფონდმა სახალხო ბანკის ხელშეწყობით დაიწყო «საბავშვო ლიტერატურის ალმანახის» გამოცემა (რედ. მ. წიკლაური). გამოვიდა სამი ნომერი, რომელიც ისევ და ისევ ფინანსური პრობლემების გამო შეჩერდა. დიდ იმედს ვიტოვებთ, რომ მალე შევძლებთ მის განახლებას, ვინაიდან იმ ფონზე, როგორიც დღეს საქართველოში საბავშვო პერიოდიკასთან დაკავშირებითაა შექმნილი, ალმანახის დაბადება მართლაც რომ უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო.

ებლიტფო: როგორია მწერლისა და გამომცემლის ურთიერთობა დღეს? რამდენად ეადვილება მწერალს გამომცემლის მოძებნა?

ირმა მალაციძე: ეს ქართველი ავტორების ყველაზე მტკივნეული პრობლემაა. გამომცემლის, ასე ვთქვათ «მოძებნა» და მისი დაინტერესება ქართულ სინამდვილეში ძალიან რთულია. გამომცემელს სამომხმარებლო ბაზარი თავის პირობებს კარნახობს და ისიც, ასე თუ ისე, იძულებულია გაითვალისწინოს ეს.

ხოლო, ქართული საზოგადოება დღეს არ იცნობს თავის ავტორებს, უფრო მეტიც, მშობლებს და პედაგოგებს წარმოდგენაც არა აქვთ, რომ დღეს საბავშვო ჟანრში ვინმე რამეს ქმნის. ამდენად, გამომცემლისთვის მომგებიანი არაა ქართული სახელის გამოცემა, შესაბამისად ავტორს რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, დაინტერესოს გამომცემელი, სტიმული ეკარგება, რომ განაგრძოს მუშაობა და შექმნას ახალი ნაწარმოებები.

დამეთანხმებით, როდესაც გამოუცემელი გრჩება ხუთი, ექვსი წიგნი, მეშვიდეს დასაწერად აღარც ხალისი გაქვს და აღარც სურვილი. ქალბატონი მარიამ წიკლაური, საბავშვო პოეტი, ხშირად ამბობს და მეც ვიმეორებ _ მწერლები წიგნებს წერენ და ჭერში აწყობენ. დიდი იმედი მაქვს, რომ ოდესმე ვინმე აიხედავს სხვენზე და ამ წიგნებს ბავშვებამდე მიიტანს, თორემ ვისთვის ვწერთ, თუ ბავშვმა არ წაიკითხა?

ებლიტფო: თუ ღებულობთ მონაწილეობას ლიტ. კონკურსებში და საბავშვო ლიტერატურაში რა ხდება ამ მხრივ?

ირმა მალაციძე: რაც შეეხება კონკურსებს, არც აქ გვაქვს სახარბიელოდ საქმე. გარდა 1995 წელს გამომცემლობა «დიოგენეს» მიერ ორგანიზებულ საბავშვო ლიტერატურისა და ჟურნალ «დილის» 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონკურსებისა, საქართველოშო ბოლო ათწლეულების მანძილზე არანაირი სხვა კონკურსი არ გამართულა. არ არსებობს სახელობითი პრემიები ამ ჟანრში, რაც სამწუხაროა. მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ ვუსმინოთ, როგორ ამაყობენ ევროპული ქვეყნები საბავშვო ლიტერატურის ჟანრში დაწესებული უზარმაზარი პრემიებით.

თუმცა, მაინც იმედი მაქვს, რომ მალე მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება, საზოგადოებაც და სახელმწიფო სტრუქტურებიც მეტ ყურადღებას დაუთმობენ ამ პრობლემას.

სადიდო პროზაში მდგომარეობა ბევრად უკეთესადაა, საკმაოდ ხშირად ტარდება ლიტერატურული კონკურსები _ «პენ-მარათონი», «წერო», ლიტერატურული პრემია «საბა». მათში, რასაკვირველია ვიღებ მონაწილებას, ხან წარმატებით, ხან წარუმატებლად, მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარია, რომ ლიტერატურის განვითარებაზე ვიღაც ზრუნავს და ეს ქვეყნისათვის ჯერ კიდევ ღირსების საკითხია.

ებლიტფო: თქვენი სადიდო პროზა რითაა საინტერესო და გამორჩეული სხვა მწერალ ქალთა პროზიდან? და რა განსხვავებას ხედავთ «მამაკაცურ» და «ქალურ» ქართულ პროზას შორის. საერთოდ რამდენად «გონივრულია» პროზის ასეთი დაყოფა.

ირმა მალაციძე: ძნელია საკუთარ შემოქმედებაზე საუბარი. მე თავს მაინც საბავშვო მწერლად უფრო მივიჩნევ და ვგრძნობ, რომ ამით უფრო მეტს შევძენ ადამიანებს, ვიდრე სხვა ჟანრში, იქნება ეს პროზა, პოეზია თუ თარგმანი. ერთადერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია ვთქვა ჩემს შემოქმედებაზე (ვგულისხმობ სადიდო პროზას) ისაა, რომ ვცდილობ ვიყო გულწრფელი. იმედია, მკითხველიც გრძნობს ამას. ჩემი მოთხრობების უმრავლესობა ავტობიოგრაფიულია, ამიტომ სიყალბისათვის ადგილი არ მრჩება. ჩემი პროფესიის წყალობით (ჟურნალისტი გახლავართ) ძალიან მრავალფეროვანი ცხოვრება მქონდა, შევხვედრილვარ უამრავ ადამიანს, ხშირად ვმუშაობდი რადიკალურად განსხვავებულ სფეროებში, ვცხოვრობდი სხვადასხვა ქალაქსა და ქვეყანაშიც კი.

ეს ყველაფერი გამოცდილებად გროვდებოდა და ადრე თუ გვიან რაღაცაში უნდა გამოვლენილიყო. ეს ლიტერატურა აღმოჩნდა. სასიამოვნო შეგრძნებაა, რომ იმას, რაც მეხსიერებას რჩება, ილექება და მხოლოდ შენია, უცებ სხვებსაც უზიარებ და შენი მკითხველი თითქოს შენი ცხოვრების თანამონაწილე და მოწმე ხდება.

ვერ დავეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც ლიტერატურას «ქალურ» და «მამაკაცურ» პროზად ახარისხებენ. თანაც, რატომღაც «ქალური» პროზა ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიება ხოლმე. კი, ხელწერით შესაძლებელია გამოიცნო, ქალის დაწერილია ნაწარმოები, თუ კაცის, მაგრამ ეს, ჩემი აზრით მხოლოდ ხიბლსა და სიმსუბუქეს მატებს ქალი მწერლის ნაწარმოებებს.

ებლიტფო:. რას გაძლევთ ,,საინტერნეტო სალიტერატურო ურთიერთობები? ზოგადად რას გაძლევს მკითხველთან შეხვედრები (ეროვნულ ბიბლიოთეკაში მსგავსი შეხვედრაც გაიხსენეთ), როგორი მკითხველები არიან თქვენი მოსწავლეები?

ირმა მალაციძე: ინტერნეტ-სივრცეში გამოჩენილი ლიტერატურული საიტები ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ასპექტში. უპირველეს ყოვლისა, ის საშუალებას იძლევა, გაეცნო ბევრი ადამიანის შემოქმედებას, აღმოაჩინო შენთვის საინტერესო ავტორები, რომლებიც ნაკლებად იბეჭდებიან ლიტერატურულ პერიოდიკაში. იოლია ინფორმაციის გაცვლა, სწრაფია და კომფორტული.

ახალგაზრდები, რომლებიც წიგნს ძალიან დაშორდნენ და ძირითადად ახალი ტექნოლოგიებით არიან გატაცებულნი, ამ საიტების მეშვეობით შეიძლება ისევ დავაახლოვოთ ლიტერატურას. ანუ თანამედროვე ტექნოლოგიები შეიძლება ითქვას, ცოტა «ეშმაკურად» გამოვიყენოთ მიზნის მისაღწევად.

რაც შეეხება ჩემს მოსწავლეებს, რა გითხრათ. კონკრეტულად მათზე არ ვისაუბრებ, ზოგადად ვიტყვი _ დღეს ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა. უფროსკლასელების უმეტესი ნაწილი ან საერთოდ არ კითხულობს წიგნს, ან კითხულობს მდარე ხარისხის დეტექტიურ და ბულვარულ რომანებს, რომლებიც ვერ გააფართოებს მათ თვალსაწიერს და ვერც მათ პიროვნულ ზრდას შეუწყობს ხელს. მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ჩემს მოსწავლეებს გავაცნო თანამედროვე ქართული ლიტერატურა, ხშირად ვაწყობთ შეხვედრებს მწერლებსა და პოეტებთან, ეცნობიან ლიტერატურულ პერიოდიკას და ვფიქრობ, რომ ეს ნაყოფს ადრე თუ გვიან გამოიღებს.

ებლიტფო: რა ურთიერთობები გაქვთ უფროსი თაობის მწერლებთან, რომელი მწერლისგან რა ისწავლეთ და რა შეიძლება ისწავლონ თქვენგან მომავალმა მწერლებმა?

ირმა მალაციძე: უფროსი თაობის მწერლებთან? ამ ადამიანების მოხსენიება მოწიწების გარეშე არ შემიძლია. ახალგაზრდა მწერლები დავალებულნი ვართ წინა თაობისაგან, ვინაიდან ყველა ავტორს ჰყავს საყვარელი მწერალი, რომლის შემოქმედებამაც ადრე თუ გვიან ხელში კალამი ააღებინა და წერა დააწყებინა. ჩემი სათაყვანებელი მწერალი ოთარ ჭილაძე გახლავთ, რომლის შემოქმედება უდიდესი მუხტის მომცემია ჩემთვის და ალბათ ბევრი სხვა შემოქმედისათვისაც.

დიდი სიამოვნებით ვმეგობრობ უფროსი თაობის საბავშვო მწერლებთან, ქალბატონ დოდო ხიმშიაშვილთან, ქეთევან ჭილაშვილთან, ნინო ბეზარაშვილთან. სხვათა შორის, ძალიან უცნაური განცდა მაქვს ყოველთვის, როცა ამ ადამიანებს ვხვდები. მახსენდება ბავშვობა, როდესაც ჟურნალ «დილაში» მათ ნაწარმოებებს ვკითხულობდი ხოლმე. მაშინ ალბათ ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ამ ადამიანებთან მეგობრობა მომიწევდა, თუნდაც ასაკობრივი სხვაობის გამო. დღეს კი მათ გვერდით თავს ისე ვგრძნობ, თითქოს არცაა ეს სხვაობა და ჩვენ ერთ ენაზე, ერთ პრობლემებზე ვსაუბრობთ და ერთ საქმეს ვემსახურებით. უნდა აღვნიშნო, რომ ისინი ყველა ჩვენს წამოწყებას გვერდით უდგანან და ყველაფერში გვეხმარებიან. მათ გარეშე მართლაც ბევრი რამე არ გამოგვივდოდა და ამისათვის მადლობას ვუხდი მათ.

«ვცდილობ, "საკუთარ თავთან" არაფერი შემეშალოს»

ებლიტფო: HHexe _ რატომ და ვინ არის ჰექსე?

Hexe: Hexe ვირტუალური მეა, საკმაოდ დიდი ხნის და საკმაოდ დამოუკიდებელი.

არა მხოლოდ ისეთი, როგორსაც აქ, იცნობენ.

რატომ? ზუსტად არ ვიცი, რატომ. კარგად ჟღერს მგონი, მკვეთრად.

და ზოგჯერ ძალიან მგავს ხოლმე. ანუ "შინაარსობრივადაც".

ებლიტფო: საიდან მოდის ჰექსე, სად იწყება მისი ცხოვრების გზა და რას გვეტყვის განვლილ წლებზე, თუნდაც სულ მოკლედ, რამოდენიმე სიტყვით. ამბობენ ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართო! ამაზე შენ რას იტყვი ჰექსე?

Hexe: ცხადია, ბავშვობიდან _ პირველი ემოციებიდან, პირველი წიგნებიდან, პირველი მეგობრებიდან, პირველი სიყვარულებიდან _ მას შემდეგ მხოლოდ ფორმები შეიცვალა და იცვლება თითქოს, თორემ სულ მოდის და მოდის იქიდან ჰექსე და საბოლოოდ მაინც იქ რჩება, ანუ იქიდან(აც) უყურებს თავის აქ _ და _ ახლა _ ყოფნას.

განვლილი წლები სხვადასხვანაირია, თითოეული მათგანი მიყვარს, თითოეულმა მათგანმა შემქმნა. ასე უცებ და მოკლედ მეტს ვერაფერს გეტყვი მგონი.

ათვლის წერტილი ყოველთვის ზაფხულია ხოლმე ჩემთვის, ანუ ახლაც ერთი წელი მოვილიე. არ ვემდური.

ებლიტფო: ჰექსე, დღეს 2007 წლის 20 აგვისტოა, რა მოგიტანა, ვთქვათ, განვლილმა ერთმა წელმა, შენთვის რით იყო იგი მნიშვნელოვანი?

Hexe: უამრავი ემოცია მომიტანა, დადებითიც, უარყოფითიც _ სავსე წელი იყო რაღაცნაირად.

ჩემი ნაწერების გამო(ვირტუალ)მზეურება _ ესეც ამ წელში ჩაეწერა და ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის.

ებლიტფო: ჰექსე, ამბობენ, რომ ყველა მწერალი, ყველა პოეტი ერთ თემას ავითარებს ანუ ერთ პრობლემას უტრიალებს და უმეტესად ამის შესახებ წერს. შეიძლება, ასეთი მწერლები ბევრი ჩამოვთვალოთ და მართლაც აღმოვაჩინოთ, რომ ამა თუ იმ პოეტთან, მწერალთან გვაქვს ერთი თემა, რომელიც მის ნაწარმოებებში განსხვავეებულადაა დამუშავებული. თუ გიფიქრია, რა არის შენი მთავარი თემა? რაზე წერ, რა გაწუხებს, რა ჰქვია შენს მთავარ სათქმელს?

Hexe: ჩემს სათქმელს «მე» ჰქვია, და ჩემგან და ჩემში არეკლილი ყველა-ფერი. ბევრია, ბევრი ვგროვდები, კარგი იქნება, ყველაფრის თქმას თუ მოვასწრებ. ვიცი, რომ ეგოცენტრიკულად ჟღერს, მაგრამ სხვა რამე რომ ვთქვა, მოვიტყუები.

არა მგონია, რომ გამოკვეთილი თემატური ლაიტმოტივი მქონდეს, ყოველ შემთხვევაში, გამიზნულად ეს არ ხდება _ ამ შემთხვევაში ალბათ მკითხველის აზრი უფრო საინტერესოა.

ებლიტფო: დიდი ხანი არაა, რაც ამ საიტზე გამოჩნდი, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით შენც და ამ საიტის წევრებიც, რომ საკმაოდ დადებითი მუხტი შემოიტანე და უამრავი მკითხველი შეიძინე. იქნებ გვითხრა, რას ნიშნავს შენთვის აქ ამ "ლიტერატურულ ოჯახში" ყოფნა?

Hexe: მოკლედ გეტყვი: შემიყვარდა აქაურობა. ჩემთვის ერთ-ერთი პატარა «შინ» გახდა ეს ფორუმი _ თავისი კეთილგანწყობილი აურით და საინტერესო თანამოსაუბრეებით.

ებლიტფო: შენი ლექსებიდან რაღაც დამიჭერია ისეთი, რომ მითქვამს პოეტია მეთქი, მაგრამ გულწრფელად გითხრა ასე მგონია, რომ საკუთარ თავზე არ წერ.. სხვის ტყავში ძრომიალობ, სხვისი უფრო გაინტერესებს.

რა მაინტერესებს გოგო ხარ თუ ბიჭი?

და ნამდვილი სახელი და გვარიც მითხარი?

Hexe: სასიამოვნოა, მე ნინო ვარ.

ლექსებს არასოდეს ვეჭიდები, ღმერთმა დამიფაროს.

გულწრფელად ვწუხვარ, თუ ჩემი რომელიმე ნაწერი სხვის ტყავში ძრომიალის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ მკითხველის სუბიექტური აღქმა შეუვალია ჩემთვის, ამიტომ არაფრის მტკიცებას არ დავიწყებ.

ებლიტფო: მარტოობის ჟამს რას ეუბნება ხოლმე ჰექსე ჰექსეს ან ნინოს? (გავიგე, რომ ნინო გქვია), რას ნიშნავს შენთვის საუბარი საკუთარ თავთან.

Hexe: არადა, რთული შეკითხვაა საკმაოდ.

საკუთარ თავთან საუბარი ჩემთვის წერაა, ერთმნიშვნელოვნად ასეა. ჩემი ნაწერები, პირველ რიგში, ისაა, რასაც საკუთარ თავს ვეუბნები მარტოობისას.

ჰექსეს თვალით დანახული ჰექსე კი, რა ვიცი, კარგი გოგოა.

ებლიტფო: ახალგაზრდა მწერლებს ერთი სისუსტე აქვთ, ლექსს რომ ამოააფრქვევენ, მერე მასზე აღარ მუშაობენ... შენს პოეზიაში როგორაა საქმე? ასეა?

Hexe: შენ სწორად აღნიშნე: ამოფრქვეულისთვის პრინციპული ხელის აღარ ხლება ავტორისთვის მართლა სისუსტეა და ზოგჯერ იდეა-ფიქსი. ჩემს შემთხვევაში ყველაფერი მარტივადაა: თუ რაღაც მაწუხებს ახალ ლექსში, ვცვლი, და ზუსტად ვიცი, რომ საბოლოო ვარიანტი ყოველთვის სჯობს ხოლმე თავდაპირველს. ლექსების უმეტესობა კი მართლა ისეთია, როგორიც თავიდანვე დაიწერა. თუმცა ერთი სისუსტე მეც მაქვს: ძველ ნაწერებს

აღარასოდეს ვუბრუნდები. ბევრ ლექსს ვშლი და ვაქრობ კიდეც, თუკი არ მომწონს და ვერც ვხედავ ისეთად, რომ მომეწონოს.

ებლიტფო: ჰექსე, მხატვრობას რომ შევადარო, შენი ლექსები "პოსტიმპრესიონისტულია", პატარა შთაბეჭდილებებია....

ასე მგონია, უნდა ხატავდე კიდეც. ხანდახან მგონია, რომ "მოთამაშის" ხასიათი გაქვს. მართალი ვარ?

Hexe: სხვათა შორის, "გვერდიდან", "გარედან," მეც, დაახლოებით მასე აღვიქვამ ჩემს ლექსებს.

არა, აბსოლუტურად არ ვხატავ, სამწუხაროდ.

მოთამაშის ხასიათი კი მაქვს, ამის უარყოფას, უბრალოდ, ვერ შევძლებ.

ებლიტფო: ჰექსე, შენს საყვარელ ავტორებზე და წიგნებზე გველაპარაკე...

რომელია შენი საყვარელი ლექსი?

Hexe: ბრრრრრ, ოღონდ ეს არ გეკითხა....

საყვარელი ლექსი, საყვარელი წიგნი, საყვარელი მწერალი, საყვარელი პოეტი, საყვარელი ფილმი და ა. შ. _ ეს სიტყვათშეთანხმებები სრულიად უმწეოს მხდის. საყვარელი ლექსი ბევრია - აქ "ყველაზე" არ არსებობს.

ებლიტფო: ჰექსე, რომელია შენი საკუთარი ლექსი, რომელიც შენს სამყაროსთან ყველაზე ახლოსაა?

Hexe: ვერ გამოვყოფ ასე ერთს ან თუნდაც რამდენიმეს. ჰო ვამბობ, იმ ლექსებს, რომლებიც დაწერის მერე არ მიყვარდება, უბრალოდ ვშლი. ისე, ბოლო ლექსები უფრო მიყვარს ხოლმე, რაღაცნაირად - სანამ შევიჩვევ, უფრო მძაფრად ვგრძნობ.

ებლიტფო: ბატონმა გივი ალხაზიშვილმა ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ საღამოზე გვითხრა _ "«ჩემთვის ცნობილია ჰერალდ ბლუმის «გავლენის შიშის სინდრომი». კიდევ უამრავი მაგალითის გახსენება შემიძლია, როდესაც ამ გავლენის შიში აბსოლუტურად აღმოფხვრილი არასდროს არ ყოფილა, მაგრამ არ შეუშინებია დიდი კლასიკოსები, რომლებიც თავის დროზე განიცდიდნენ წინარე შემოქმედთა გავლენებს. ამის ცოცხალი მაგალითია გოეთე, რომელიც აღიარებს, რომ გავლენის გარეშე შეუძლებელია მწერლად იქცეს ადამიანი".

ვის გავლენას განიცდის ჰექსე?

Hexe: სრულიად გულწრფელად და ალალად გპასუხობ: არ ვიცი. ოღონდ ეს "გავლენის შიშად" და თავკერძობად არ ჩამომართვათ, მართლა არ ვიცი.

თუ ვინმე მეტყვის, ვის გავლენას განვიცდი, დავფიქრდები და ვიტყვი, რას ვფიქრობ ამაზე.

ებლიტფო: ნინო, პროზაულ ნაწარმოებს თუ წერ? დარწმუნებული ვარ წერ და კარგადაც...

Hexe: ბოლო ფრაზისთვის მადლობა.

შეიძლება ითქვას, რომ ვწერდი, ოღონდ კარგად ნამდვილად არა. ახლა თითქმის აღარ.

ებლიტფო: ჰექსე, ამას წინათ მკითხეს, ბედნიერება რა ფერიაო?

მეც ვთქვი, პალიტრას ჰგავს, ფერადია და სურათის მიხედვით ჩნდება ფერი-მეთქი. ისე კი, ვფიქრობ, ადამიანი ან არის ბედნიერებადი ან-არა. ესეც ნიჭია.

შენთვის რა არის ბედნიერება და როდის ხარ ბედნიერი?

Hexe: "ბედნიერებადი" _ მომეწონა. ნამდვილად ასეა. მე ბედნიერებადი ადამიანი ვარ ალბათ, ჩემი ბედნიერებები პატარ-პატარა სიხარულებისგან შედგება. დიდი ბედნიერებისა, რომელიც ცხოვრების წესია, ან ცხოვრების ფონი, არაფერი ვიცი _ თვითონ ცხოვრება ნამდვილად მიღირს იმად, რომ თავისი ნებისმიერი ფერით მივიღო და იმასაც, რაც

თავისთავად სულაც არ არის "ბედნიერება", რაღაც მომენტში პოზიტიური დატვირთვა მივანიჭო.

მეოცნებე არა ვარ _ რეალისტურად ვუყურებ საგნებს და მჯერა, რომ "რაც არ გვკლავს, ყველაფერი გვაძლიერებს". ჩემთვის ბედნიერებაა, ვიყო ძლიერი და ისეთი, რომ საკუთარმა თავმა დისკომფორტი არ შემიქმნას არც ერთ ცხოვრებისეულ სიტუაციაში.

ებლიტფო: ჰექსე, შენი ლექსები იმდენად ფაქიზია, რომ ასე მხოლოდ ასეთივე ფაქიზი სულის მქონე ადამიანი დაწერდა. მინდა გკითხო:

1. როგორია ჰექსეს იდეალური სამყოფელი-გარემო;
2. რას ნიშნავს ზოგადად ჰექსესათვის სიყვარული;
3. რას არ აპატიებდა ჰექსე საკუთარ თავს და ადამიანებს;
4. თუ არსებობს დღე რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა და შეცვალა შენი ცხოვრება.

Hexe: 1. "იდეალური" _ ეს სიტყვა ცოტა მაშინებს. ზაფხულში ზღვა მჭირდება აუცილებლად, ზამთარში - სითბო. ზოგადად, მყუდრო გარემო და რამდენიმე საყვარელი ადამიანის არსებობა (თუ ჩემს გვერდით, მით უკეთესი) საკმარისია იმისათვის, რომ კარგად ვიგრძნო თავი;

2. ურთიერთობა, რომელიც ორი თავისუფლებისგან შედგება, რომლისგანაც ვიღებ ენერგიას, რომელიც გამუდმებით მიხარია; განცდა, რომელიც მხდის კრეატიულს;

3. ზოგადად ადამიანებში უპასუხისმგებლობა და მიზანმიმართული სიყალბე მაღიზიანებს ყველაზე მეტად, თუმცა საბოლოო ჯამში ყველაფრის პატიება შემიძლია _ თუმცა პატიება ჩემთვის გაგებას ნიშნავს და არა ურთიერთობის შენარჩუნება-გაღრმავებას;

საკუთარი თავის მიმართ ნაკლებად შემწყნარებელი ვარ, ამიტომ ვცდილობ, "საკუთარ თავთან" არაფერი შემეშალოს;

4. ახლა კი გამიკვირდასავით, მაგრამ მგონი არა. ასეთი რადიკალური გადატრიალებები არ მომხდარა ჩემს ცხოვრებაში.

ებლიტფო: რას ფიქრობ ზოგადად კრიტიკაზე და არიან თუ არა დღეს კარგი კრიტიკოსები... და საერთოდ რას ნიშნავს კარგი (ჯანმრთელი) კრიტიკა?

Hexe: ზოგადად და მარტივად, კრიტიკა ჩემთვის არის კარგი მკითხველის უნარი, ჩამოაყალიბოს და გამოთქვას თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ კონკრეტული ტექსტის მიმართ.

რა თქმა უნდა, არიან კარგი კრიტიკოსები, ამაში ეჭვი არ მეპარება. თუმცა, ალბათ არც ისე ბევრი, და ეს ასეც უნდა იყოს.

ებლიტფო: ჰექსე, ჩამომითვალე 5 მთავარი მარკერი, რაც პოეტს სჭირდება საუკეთესო ლექსის დასაწერად".

Hexe: ვაი, რა რთულია ასე თქმა, მაგრამ ვეცდები:

მახვილი და ღრმა სმენა, პასუხისმგებლობა სიტყვების მიმართ;

სტილის შეგრძნება;

გემოვნება (რომელზეც არ დავობენო, მაგრამ, მაგრამ...)

შემოქმედებითი აზროვნება;

და, «უბრალოდ», ნიჭი _ რაც ალბათ ყველაფერ დანარჩენს მოიცავს და გულისხმობს კიდეც.

«ატმიდან პოსტმოდერნამდე»

ებლიტფო: დღესდღეობით, ქართული კულტურა და საკუთრივ ლიტერატურა გლობალური კულტურული დიალოგის პასიური, ასე ვთქვათ, მიმღები მხარეა. იგი ინტენსიურად ეზიარება დასავლურ მონაპოვარს, უკუკავშირი კი ჯერ არ ჩანს, სანაცვლოდ ვერაფერს სთავაზობს. გასაგებია, რომ აქ სხვა პრობლემებთან ერთად თარგმანის საკითხიც

დგება. მოდით წავიოცნებოთ, მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ინგლისურენოვანი ანთოლოგიის შედგენაში კონსულტანტობა რომ შემოეთავაზებინათ, რომელი პოეტების რომელ ნაწარმოებებს შეიტანდი უპირველეს ყოვლისა და რატომ, რა ნიშნის გამო?

ნინო დარბაისელი: პირველი, რაც ამ კითხვის გაცნობისას გამახსენდა, ჟურნალისტური აფორიზმია, «კითხვა რომელიც ადვილია, საინტერესო არ არის!»»

მეც _ ცოტა შორიდან დავიწყებ. ერთხელ ამერიკული ტურნედან დაბრუნებული საშუალო ქართველი მომღერალი ტელემაყურებლებს აღტაცებით უამბობდა, როგორ კარგად შეასრულა ჯაზური სიმღერა ჯაზის სამშობლოში და როგორი ოვაცია დაიმსახურა. გამეღიმა.

ეს ხომ იგივეა, მეზობლის ეზოში მდგარი მსხმოიარე ხის ტოტი ღობეზე რომ გადმოიწვდინო, ერთი ატამი მოწყვიტო და ისევ მეზობელს მოუკითხო, ერთი, შენი ჭირიმე, დამიგემოვნეო.

ატმის პარაბოლა იმის ასახსნელად დამჭირდა, რომ ინგლისურენოვან მკითხველს არ შეიძლება მოუკითხო ბაირონის აშკარა გავლენით დაწერილი ლექსი, ისევე როგორც გერმანელს _ რილკესი, ფრანგს _ ბოდლერისა და ა. შ., თუ, რასაკვირველია, არ ადგენ სპეციალურ ანთოლოგიას, მაგ., ასეთს: «ფრანგული სიმბოლიზმის ნაკვალევი ქართულ პოეზიაში»». ამ მხრივ, სწორედ ინგლისურენოვანი პოეზიის ოკეანიდან ბევრი არც არაფერი იყო ნათარგმნი. სულ რამდენიმე კრებული. მაგრამ აქ სხვა, ახალი წინააღმდეგობაა დასაძლევი. კერძოდ, გასაცემია პასუხი კითხვაზე, რა სურს იცოდეს შენს შესახებ თანამედროვე ინგლისურენოვანმა პოეზიის მკითხველმა?

მას, რასაკვირველია, უნდა, აღმოაჩინოს თავის დონეზე არანაკლები პოეზია, მისთვის ახალი, განსხვავებული, მაგრამ არცთუ მთლად გაუგებარი შინაარსით, სახეებით, ხასიათებით, სათქმელით, მარადიული თუ აქტუალური თემებისადმი დამოკიდებულებით და ა. შ.

ამ კითხვას უფრო კონკრეტული პასუხი რომ გავცე, სერიოზულად უნდა ჩავუჯდე პროექტს. ისე კი, პირველ რიგში: გალაკტიონს, ტიციანს, პაოლოს, ვალერიან გაფრინდაშვილს, გოგლა ლეონიძეს, ლადო ასათიანს, მირზა გელოვანს, ანა კალანდაძეს, მუხრან მაჭავარიანს, მურმან ლებანიძეს, გაბრიელ ჯაბუშანურს, შოთა ჩანტლაძეს, ოთარ ჭილაძეს, ლია სტურუასა და ბესიკ ხარანაულს _ მომდევნო თაობაზე საფუძვლიანად დავფიქრდებოდი.

ებლიტფო: არის თუ არა დღევანდელ ქართულ კულტურაში ნიადაგი და მზაობა პოსტმოდერნისტული მწერლობის არსებობისათვის? თავად თუ გიცდიათ პოსტმოდერნისტული ქმნილების დაწერა, ან პოსტმოდერნისტული ნაკადის, მიდგომების გამოყენება საკუთარ პოეზიაში.

ნინო დარბაისელი: პოსტმოდერნული კულტურისათვის ჩვენში ნიადაგი არ არსებობს და ეს ბუნებრივია. ჩვენი კულტურის განვითარება, განსხვავებით დასავლურისაგან, ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო, ვერ მივიდა იმ კონდიციამდე, რაც «პოსტმოდერნულ მდგომარეობად» იწოდება და რის გარეშეც პოსტმოდერნი, თეორიულად შეუძლებელია. თუმცა პრაქტიკულად _ სავსებით შესაძლებელია მისი სუროგატის არსებობა.

ეს ერთი მხარეა, მეორე მხრივ, ქართულ კულტურას, როგორც «მიმღების» რეჟიმში მომუშავეს, აქვს მზაობა არა მხოლოდ პოსტმოდერნის, არამედ ყოველგვარი «პოსტ, ტრანს, ნეო-» და ასე შემდეგ, მოვლენების მიღებისა, ოღონდ ამ ეტაპზე _ კვლავ ყოველგვარი ფილტრაციის გარეშე, სპონტანური სელექციის წესზე დაყრდნობით. რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს კულტურაში, რომელსაც ჯებირები ისედაც მორყეული აქვს, ყოველი მხრიდან, მრავალფეროვან ნაკადებად შემოედინება ყველაფერი, ვისაც კი რამეზე ხელი მიუწვდება. მეტადრე _ ინტერნეტის წყალობით. ტემპი კი იმდენად ფორსირებულია, რომ ქართულ კულტურას ყოველივე ამის მონელება უჭირს.

ჩემს პოეზიაში პოსტმოდერნის მონაპოვრის გამოყენება არ მიცდია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შიგ არაფერია ისეთი, რითაც პოსტმოდერნისტული ხელოვნება სარგებლობს. ეს მარტივი

ასახსნელია იმით, რომ წინასწარგაუმიზნავად, რაღაც მომენტში ერთმანეთს დაემთხვა, თავისებურად გადაიკვეთა ჩემი მხრით _ ტრადიციისადმი ერთგულება, პოსტმოდერნიზმის მხრით კი _ იმავე ტრადიციისადმი ეკლექტიკური მიდგომა.

ებლიტფო: რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას, მიმართულებას თუ ნაკადს მიაკუთვნებდით საკუთარ თავს, ან რომელთან ხართ ასოცირებული საკუთარი მწერლურ-ესთეტიკური პოზიციით?

ნინო დარბაისელი: გამოკვეთილად ვერცერთს ვერ მივაკუთვნებდი თავს. ისე კი, როცა ვწერდი, ვცდილობდი, აღმედგინა რომანტიზმისა და, როგორც ანდრეი ბელი იტყოდა, «მისი გუმბათის _ სიმბოლიზმის» ტრადიცია. ზოგადად, ცოტ-ცოტა ყველაფერი ვიგემე.

როგორც პოეტს და ლიტერატურათმცოდნეს, მშობლიური პოეზიისადმი თავიდანვე ერთთგვარი «დიასახლისური» დამოკიდებულება მქონდა. ვეძებდი «თეთრ ადგილებს» ჩვენი ტრადიციული პოეზიის ისტორიასა და აწმყოში და ვცდილობდი მათ შევსებას, გაფერადებას, რაიმე ახალი თემის, ახალი გამომსახველობითი საშუალების შემოტანას ქართული ქალური პოეზიის სივრცეში. ვაკვირდებოდი თანამედროვე ავტორებს, ვისგანაც რაიმეს სწავლა იყო შესაძლებელი, ვეძებდი წინაპრებს, წინამორბედებს, ჯერ ქართულ, მერე-რუსულ, შემდგომ ანგლო-ამერიკულ, მოგვიანებით კი ანტიკურ პოეზიაში. ვკითხულობდი შეძლებისდაგვარად ბევრს, არა მხოლოდ პოეზიას, არამედ სამეცნიერო ლიტერატურას. ლექსებს ბევრს ვერ ვწერდი, მაგრამ ამ დროითი დისტანციიდან რომ ვაფასებ, არცთუ ურიგოდ გამომდიოდა. ყოველ ლექსში ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმს ვდებდი, ამიტომ ვერ დავემდურები თავს, რომ რაიმე უკეთ შემეძლო გამეკეთებინა და დავიზარე. დარწმუნებული ვარ, ჩემს ლექსებს აწ უკვე ისტორიული ღირებულება-ღა შეიძლება ჰქონდეთ. ეს უკვე განვლილი ეტაპია. გზა, რომელიც თავის ჩიხამდე დამოუკიდებლად მივიდა. ისე გულწრფელად გამიკვირდება ხოლმე, რომ აღმოვაჩენ, რომ, რომელიღაც მკითხველს იქიდან რაღაც ხსომებია.

ამას წინათ ერთ-ერთ საიტზე ერთ ახალგაზრდა პოეტთან ცოტა არ იყოს, მწვავე დიალოგი გამომივიდა. მე, რასაკვირველია, ვცდილობდი დიალოგი პოლემიკაში არ გადაზრდილიყო, მაგრამ მოგეხსენებათ ახალგაზრდობის ამბავი, ჰოდა, სხვა კონტრარგუმენტი რომ ვერ მოიძია, ასეთი პასუხი გამცა, თქვენი _ ««გათხოვილი ქალის ლექსი»» არასოდეს ლექსად არ ჩამითვლიაო.

წარმოიდგინეთ, წინა საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში, ჩემი ცხრამეტი-ოცი წლის ასაკში დაწერილ-გამოქვეყნებული, სულ რვასიტყვიანი ლექსი, რომლის არსებობაც მე მართლა აღარ მახსოვდა, ვიღაცას, სულ ახალი თაობის წარმომადგენელს წაუკითხავს, დაუმახსოვრებია და იმაზეც კი დაფიქრებულა, ლექსია თუ არა! გამოგიტყდებით, უცნობი მკითხველისაგან ასეთი აღიარება არასოდეს მღირსებია! თითქმის დავუმეგობრდი კიდეც, კარგი პიროვნება აღმოჩნდა, როგორც «ვირტუალში ვატყობ».

ებლიტფო: მეტისმეტად რადიკალური ხომ არ ხართ საკუთარი შემოქმედების შეფასებისას?

ნინო დარბაისელი: რადიკალური პოზიცია ნამდვილად არასოდეს არაფრისადმი მქონია. ეს ალბათ ჩემი პიროვნული ნატურითაც არის განპირობებული. ოჯახში შუათანა შვილი ვიყავი. ასეთი ბავშვები კი გაწონასწორებულები და დამთმობები იზრდებიან, თავისებურ კონფორმისტებად ყალიბდებიან. სწორედ ასეთი გახლავართ და ამის აღიარება არ მიჭირს, რადგან გაცნობიერებული მაქვს, ჩემისთანა ადამიანები თუ თავის ადგილას, თავის დროზე მოხვდნენ, ნამდვილად კარგ სამსახურს უწევენ კულტურას.

გაგახსენებთ: კულტუროლოგიის თეორია იცნობს დამანგრეველთა, მომპოვებელ//მაშენებელთა და მონაპოვარ///ნაშენების შემნახავ ტიპებს. ყოველი მათგანის არსებობა აუცილებელია იმისათვის, რომ კულტურა განვითარდეს, მთავარია მათი მოქმედების ფაზები არ იყოს აღრეული, ანუ, როცა კულტურას შენება სჭირდება, არ ინგრეოდეს, როცა მისი რაღაც წარმონაქმნი დასანგრევია და საჭიროა მოედნის

გათავისუფლება ახალი ნაგებობისთვის, არ ხდებოდეს ხელოვნური კონსერვაცია _ ალბათ გეცნოთ დღევანდელი ქართული პრობლემატიკაც.

ებლიტფო: ალბათ დამეთანხმები, რომ ყოველგვარი ლიტერატურული პრობლემატიკა საბოლოოდ თავს იყრის ერთი სამკუთხედის: ავტორი-ტექსტი-მკითხველი _ გარშემო. ინტერნეტმა და გლობალურმა კომუნიკაციამ ცხადია ამ სამწევრის თითოეულ ინსტანციაში ზოგადი და კერძო ცვლილებები გამოიწვია. როგორია, ან როგორი იქნება პერსპექტივაში ნინო დარბაისელი როგორც ინტერნეტ-ავტორი, რა ტრანსფორმაციას ამჩნევს თავის უკვე მზა ტექსტებს, რომელიც ადრე აქვს დაწერილი და ბეჭდურად გამოქვეყნებული, ინტერნეტ-სივრცეში მოხვედრის შემდეგ. ხომ არ შეიცვალა ან შეიცვლება მისი წარმოდგენა საკუთარ იდეალურ, წარმოსახულ მკითხველზე, რომლისთვისაც იგი დღემდე წერდა... და როგორად წარმოუდგენია თავისი იდეალური ინტერნეტ-მკითხველი?

ნინო დარბაისელი: როგორც პოეტი, ნინო დარბაისელი არა მგონია, როდესმე გახდეს ინტერნეტ-ავტორი, თუ მაინც როდესმე გადაწყვიტა, შესაძლებელია საკუთარივე შემოქმედების მცირე ანალიზები (ეჰ, ეს სამუშაო პრაქტიკულად უკვე დასრულებული მქონდა, სამი ლექსიღAა მაკლდა ძველი «ებლიტფოს» პერსონალურ გვერდზე), პაროდიები ან პოეტური რემიქსები შესთავაზოს თავის ინტერნეტ-მკითხველს, რომელიც ძველ მკითხველთა რიგებში ნაკლებად ეგულება (ასაკის გამო ისინი ინტერნეტს ნაკლებად ეგუებიან). ასევე შეიძლება წეროს საყურადღებო ავტორთა შესახებ კრიტიკული წერილები, სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

ცოტა მოგვიანებით, შეიძლება შემოგთავაზოთ ფორუმზე დამწყებთათვის, მოზარდთათვის გახსნა ცალკე თემისა, სათაურით «ჭაშნიკი», სადაც მცირე ადაპტირებული ტექსტები დაიდება პოეზიის რაობის, ლექსის, მისი სახეობების, ჟანრების, გამომსახველობითი საშუალებების და ა. შ. შესახებ. დამწყები ინტერნეტ-ავტორები გაგვაცნობენ საკუთარ ნაწარმოებებს, მე კი ვინმე «შეამხანაგებულ» პოეტთან დიალოგში შევეცდები, განვიხილო ისინი, ვურჩიოთ, რას მიაქციოს ყურადღება ავტორმა და ასე შემდეგ. რაკი ოცნებაა, ოცნება იყოს, როცა მასალები საკმაოდ მოგროვდება და დაიხვეწება, შეიძლება გამოიცეს ბეჭდურად წიგნი:

«ებლიტფოს» მცირე ბიბლიოთეკა

ნინო დარბაისელი

ჭ ა შ ნ ი კ ი

(ლექსის თხზვის სახელმძღვანელო დამწყებთათვის)

(ნათქვამი სიტყვიდან შესრულებულ საქმემდე რომ შორია, ვიცი, მაგრამ მიყვარს და მეხალისება, როცა ოცნებას თავიდანვე ასეთ კონკრეტულ სახეს ვანიჭებ).

ებლიტფო: კრიტიკა. არსებობს თუ არა კრიტიკა საქართველოში? რით განსხვავდება კრიტიკა უარყოფითი რეცენზიისაგან? ვინ გაკრიტიკებთ და ვის აკრიტიკებთ? რამდენად მტკივნეულია კრიტიკა მათთვის, ვინც მხოლოდ ახლა «აღებს» პოეზიის «კარებს»?

ნინო დარბაისელი: ერთხელ, _ ჩემმა მეგობარმა, კრიტიკოსმა თეიმურაზ დოიაშვილმა, ჟურნალისტს კითხვაზე, რატომ არ არსებობს საქართველოში კრიტიკა, ასე მიუგო: «ვინც ფიქრობს, რომ საქართველოში კრიტიკა არ არსებობს, გამომიგზავნოს თავისი წიგნები!», მჯერა, არავინ არაფერს გაუგზავნიდა დღემდე.

კრიტიკა ლიტერატურის ურთულესი დარგია. მხოლოდ ტალანტის ამარა, ორიოდ კარგი ლექსი შეიძლება გამოგივიდეს, პროზაც კი დაწერო, მაგრამ ყოვლად წარმოუდგენელია, საგანგებო მომზადების გარეშე, ადამიანს კრიტიკის დარგში რაიმე ღირებულის შექმნა შეეძლოს.

ამიტომ, თუ პროფესიონალი არა ხარ, უმჯობესია, კრიტიკის დარგებიდან იმპრესიონისტული გამოხმაურებით, ესსეისტიკით შემოიფარგლო და პრობლემატიკას არ მიეკარო. ხშირად მსმენია საყვედური ამა თუ იმ კრიტიკოსის მიმართ, რომ ნაწარმოების შეფასებას თავი აარიდა და მხოლოდ მიმოხილვით შემოიფარგლა. არის შემთხვევები როცა მნიშვნელოვანი კრიტიკოსის ყურადღების არეში მოქცევა, მის მიმოხილვაში უბრალოდ, ჩამონათვალში პოზიტიურად მოხსენიებაც კი დიდი საქმეა და უკვე შეფასებას ნიშნავს. მაგალითად, მე ბედნიერი ვიქნებოდი, სადმე ნახსენები რომ ვყავდე გურამ ასათიანს, თუნდაც უარყოფით კონტექსტში. ისე კი, «ქართული კრიტიკის ნებიერს» რომ იტყვიან, სწორედ ის გახლავართ. ვიდრე მოქმედი პოეტი ვიყავი, საქებარის მეტი არავის არაფერი დაუწერია ჩემზე. ახლა კი არ მგონია, საჩემოდ ვინმემ მოიცალოს, იმდენი საქმე აქვს და ელის ქართულ კრიტიკას.

ცხადია, ახალგაზრდა ავტორები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ კრიტიკაზე. შემოქმედებითი ამბიცია, ჩვეულებრივ, ქართველ პოეტებს ტალანტზე მეტი დაჰყვებათ ხოლმე. მერე ზოგი ახერხებს გაწონასწორებას, ზოგი _ ვერა.

ადამიანურად, დაუსაბუთებელი კრიტიკა უფრო ადვილი გადასატანი მგონია, ვიდრე მკაცრად არგუმენტირებული.

თავად განსაჯეთ: ერთ-ერთ შემთხვევაში გაბრალებენ, ბრალად გიყენებენ რაიმეს, ისეთს, რაც ან მართალია, ან არა, მეორეში კი _ ბრალს გიმტკიცებენ.

პირადად მე, როცა კრიტიკულ აზრს გამოვთქვამ, ვცდილობ, უპირველესად, ავტორისადმი პატივისცემა, მისდამი გულწრფელი, თავაზიანი დამოკიდებულება გამოვხატო, ვაგრძნობინო, რომ ნებისმიერ შენიშვნას, ერთი მიზნით ვაძლევ _ იქნებ შემდგომ შემოქმედებით მუშაობაში საორიენტაციოდ გამოიყენოს, იქნებ მართებული კონტრარგუმენტები მოიძიოს და კიდევ უფრო მყარად დადგეს საკუთარ პოზიციაზე. ვინც უფროსი კოლეგისაგან ამ ინტენციით გამსჭვალულ შენიშვნას იუკადრისებს, არ მგონია, რაიმე სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს. თუმცა ასეთი შემთხვევა მგონი სულ ერთადერთხელ მქონდა ცხოვრებაში, ძალზე განვიცადე და იმედია, არასოდეს განმეორდება.

ებლიტფო: გემოვნებიანი მკითხველის შესახებაც მინდა გკითხოთ. ვის მიიჩნევთ გემოვნებიან მკითხველად? გემოვნება ნიჭია თუ განათლების შედეგი?

ნინო დარბაისელი: დღეს მკითხველის გემოვნება მრავალფეროვანია, ცვალებადიც.

რასაკვირველია, გემოვნება _ ეს ნიჭია, მაგრამ მე მჯერა, ნიჭადაც რომ არ დაგყვეს ადამიანს, მუსიკალური სმენასავით, გარკვეულ დონემდე შესაძლებელია მისი განვითარება.

განათლება კი, როგორც მუდამ, ამ შემთხვევაშიც აუცილებელია.

ებლიტფო: თქვენ დიდი ხანია ამერიკაში ცხოვრობთ... რამდენად გაითავისეთ ამერიკული კულტურა? ძირითადად, რით განსხვავდება იგი ქართული კულტურისაგან? არის თუ არა ამერიკული ლექსის გავლენა თანამედროვე ქართულ ლექსში?

ნინო დარბაისელი: წლების მანძილზე ინგლისსა და ამერიკაში მუდმივად როდი ვცხოვრობდი, დროის რაღაც ნაწილის გატარებას საქართველოში მუდამ ვახერხებდი. ამერიკაში შვილიშვილის შეძენის გამო ბოლო ორიოდე წელია, ისე ხშირად ვეღარ ვმოგზაურობ. ამერიკულ კულტურასთან ადაპტაციის პრობლემები, მით უმეტეს ე. წ. «კულტურული შოკი», ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილისაგან განსხვავებით, მე პრაქტიკულად არ გადამიტანია. პირიქით, თავიდანვე ისეთი განცდა მქონდა, რომ შინ დავბრუნდი. გარემომაც ასე მიმიღო.

ქართული და ამერიკული კულტურა, უმარტივესად რომ ვთქვათ ისე განსხვავდება, როგორც პოზიტივი და ნეგატივი, ან დღე და ღამე. და ეს განსხვავება ყველა სფეროს მოიცავს.

საზოგადოებრივი ეტიკეტი აქ ლამის კულტის დონეზეა აყვანილი. საერთოდაც ამერიკის «ცივილიზაციის ამ სამეფოს კულტურა სრულიად სხვა ფენომენია, ევროპისაგან განსხვავებითაც კი. ქართული მენტალობისთვის ხომ _ სრულიად გაუგებარი.

ასეთია ჩემი თვალსაწიერიდან დანახული ამერიკა, სხვა ალბათ სხვაგვარად ხედავს. ეს მულტი-კულტურული, მულტი-ეთნიკური, მულტი- ყველანაირი ქვეყანა მრავალგვარი აღქმის საშუალებას იძლევა, იმის მიხედვით, თუ მისი რეალობის რომელ ლოკაციაში გიწევს ყოფნა.

რაც შეეხება ამერიკულ პოეზიას, მისი გავლენა ფრანგულ სიმბოლიზმზე აღიარებული ფაქტია (ედგარ პო), ასევე აღიარებული ფაქტია ფრანგული თავისუფალი ლექსის ამერიკული წარმოშობა (უიტმენის ფრანგული თარგმანი), აქედან ეს გავლენა რუსულში, შემდგომ კი ქართულ პოეზიაშიც გადმოვიდა (ცისფერყანწელები და სხვანი). ასე რომ, არაპირდაპირი გავლენის ქრონოლოგიურ კოორდინატად სავარაუდოდ მეოცე საუკუნის დასაწყისი უნდა მივიღოთ. როგორც მახსოვს, პირველი ქართული თარგმანი ედგარ პოს «ყორანისა» ამაზე უადრესი არ უნდა იყოს.

საბჭოთა პერიოდში ცხადია, პირდაპირი და უშუალო კონტაქტი ამერიკულ კულტურასთან კვლავ ვერ გვექნებოდა. ძირითადად, ინდირექტული გზით _ რუსული თარგმანებიდან შესრულებული ქართული თარგმანებით ვიცნობდით. იყო ბედნიერი გამონაკლისებიც. ახლა გზა ხსნილია, თუმცა ქართველ მკითხველს ორიენტირება უჭირს. აქ გასაკვირი არაფერია, ამ მრავალფეროვნებაში თავად ამერიკელ პოეზიის მოყვარულ მკითხველსაც უჭირს გზის გაგნება. ნეშვილში, სადაც მე ვცხოვრობ, მრავალი სხვადასხვა პოეტური გაერთიანებაა. მათგან ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი მაინც «ნეშვილ პოეტზ სოსაითია». მის ერთ წევრს ერთხელ კონსულტაციისთვის მივმართე და ვთხოვე დაესახელებინა დღესდღეობით ამერიკაში ყველაზე ცნობილი პოეტების, მაგალითად, ათეული. «დღეს ეს აბსოლუტურად შეუძლებელია», მიპასუხა მან.

საქართველოსგან განსხვავებით ამერიკაში პოეტები თავისი პროფესიონალი წრის გარდა დიდად არსად გამოირჩევიან სოციალური, მით უმეტეს _ პოლიტიკური აქტივობით. ხოლო თქმა იმისა, თუ რომელი სტილი, მიმდინარეობა, მიმართულება ან ნაკადია დანარჩენებისგან გამორჩეული, წარმმართველი იქ, სადაც ყველაფერი ერთდროულად თანაარსებობს, მართლაც შეუძლებელია, და არა მხოლოდ პოეზიაში.

დღეს საქართველოში ამერიკული პოეზიის გავლენა ყველაზე ძლიერია. ისევე როგორც მისი მასკულტურისა, _ ყველა სფეროში. მარგინალური პოეზიის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ გაჯერებულია ამერიკანიზმებით. თუმცა ეროტიკული და მეტადრე, პორნო პოეზიის მომძლავრებას პირადად მე ამერიკულ გავლენას ვერ დავუკავშირებდი. რადგანაც აქ ამ ტიპის ლიტერატურის, ბეჭდური გამოცემების, სატელევიზიო არხებისა თუ გადაცემების, ვიდეო დისკების რეიტინგულობის მკაცრი სისტემაა. ამგვარი პროდუქცია იყიდება საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებზე, მაღაზიაში, არასრულწლოვანზე არ გაიცემა, ხოლო შესაფუთ მასალაზე ან გარეკანზე აღნიშნულია რეიტინგი _ მაჩვენებელი იმისა, თუ რა ტიპის და ასაკის მკითხველისთვის ან მაყურებლისთვის არის იგი ნებადართული. ტელევიზორებს აქვთ არხებზე შესასვლელი კოდები, რათა არასრულწლოვანებმა მშობლების გარეშე ვერ მოახერხონ შეღწევა. თქვენ რომ შეგეკითხოთ, ამ მხრივ საქართველოში რა ხდება-მეთქი, რიტორიკული კითხვა გამომივა. ქართულ არხებს აქაც ვუყურებ დროდადრო და ვიცი, რა ქაოსიცაა.

ებლიტფო: იქნებ ზოგადად «გავლენის» ფენომენზეც გვესაუბრა.

ნინო დარბაისელი: უშუალოდ «გავლენის» ფენომენის შესახებ ან ძალზე ბევრი უნდა გესაუბროთ, თუ პროფესიონალურ საუბარს შევყვებით (მაგ.; «გავლენის შიშზე») ან მოკლედ უნდა გიპასუხოთ, რომ პირადად მე დადებითად მივიჩნევ გავლენას დიდი შემოქმედისა, შემწყნარებელი ვარ ეპიგონების მიმართ. ისინი იმ ერთ კარგ საქმეს მაინც ემსახურებიან, რომ ქმნიან და ინარჩუნებენ საერთო კულტურულ-ლიტერატურულ ფონს კრეაციული ტალანტით დაჯილდოებული, გამორჩეული ხელოვანისთვის.

ებლიტფო: დაბოლოს, გაიხსენეთ თქვენი პირველი ლექსი ან პუბლიკაცია. რას ურჩევდი დამწყებ ნინო დარბაისელს დღეს, როგორც ცნობილი რედაქტორი, უფროსი მეგობარი-კოლეგა?

ნინო დარბაისელი: გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როცა თექვსმეტი წლისამ პირველად მო... არა, ვერ ვიტყვი, მორიდებით შევაღე- მეთქი ჩვენი მწერლობის კარი, რადგან პირდაპირ ლექსზე და რითმაზე კამათი გავუმართე, იცით ვის? _ თავად ტარიელ ჭანტურიას! ამ მიამიტური «კადნიერების» მიუხედავად, კეთილგანწყობილი გარემო დამიხვდა. სიყვარულით მიმიღეს _ სიყვარულითვე დავრჩი და ასე მოვედი დღემდე.

ხშირად მიფიქრია, ახალგაზრდა რომ ვიყო, დღეს რომ ვდგამდე პირველ ნაბიჯებს, როგორ მიმიღებდა ლიტერატურული გარემო, რომელიც ასეთი არაერთგვაროვანია. არა, მაშინდელი ლექსების წარდგენას ახლა ალბათ ვერც გავრისკავდი, მე თვითონ ღიმილს მგვრის. ახალს თუ დავწერდი რაიმე ისეთს, დებიუტანტისადმი ყურადღებით რომ განაწყობს მკითხველ საზოგადოებას? ტრადიციისადმი კვლავ ასეთ პიეტეტურ დამოკიდებულებაში ვიქნებოდი თუ არა? ან წავიდოდი თუ არა ეპატაჟზე, რომლის, მრავალი ხერხი და საშუალებაც თეორიულად შესწავლილი მაქვს? ერთმნიშვნელოვანი პასუხი ვერ მიპოვნია.

თუ დამწყებ ნინოსთან ეს წარმოსახული შეხვედრა სამოცდაათიან წლებში მომიწევდა, როგორც უფროსი კოლეგა, გავამხნევებდი, ვურჩევდი რამენაირად დაეძლია «შიში თეთრი ქაღალდის წინაშე» და კიდევ, მეტი ყურადღება დაეთმო კლასიკისა და ინგლისურის გარდა სხვა უცხო ენების საფუძვლიანი შესწავლისათვის.

აი დღეს კი... ვურჩევდი, რაიმე კონკრეტული პროფესია, მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირება, ან მარკეტინგი, ან სამართალი შეესწავლა, ხოლო ლექსები მოცალეობის ჟამს, «თავისთვის» ეწერა; თუ სურვილი ექნებოდა, რომელიმე ფორუმზე ან პორტალზე ნიკ-სახელითაც მოეთავსებინა, ყოველგვარი პოეტური ამბიციის გარეშე და უბრალოდ, პოეზიისა და ლიტერატურის ერთ კარგ მოყვარულად დარჩენილიყო.

ყველაფერი ინტუიციის დონეზე ხდება, თითქოსდა თავისით...

"ებლიტფო:" ირაკლი ლომოური, დავით ქართველიშვილი, ბესო ხვედელიძე, ზურაბ ლავრელაშვილი... რა განსხვავება და რა საერთოა მათ, როგორც მწერლებს, შორის? აქვე ჩაგეკითხები: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე მწერალი ირაკლი ლომოური?

ირაკლი ლომოური: ნუ მიწყენ, მაგრამ პირდაპირ დასმულ კითხვაზე კონკრეტულად არ გიპასუხებ რადგან, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, არ მინდა სუბიექტური ვიყო. ერთს ვიტყვი _ ყოველი ჩვენგანი თავის საქმეს აკეთებს და აკეთებს თავისებურად...

მე მგონი, ეს რეალური ფაქტია და საკამათო არ უნდა იყოს. ჩვენ, გვინდა თუ არა, ერთი დიდი ნავის _ «გალერა» დავარქვათ _ მენიჩბეები ვართ. ნავისა, რომელსაც ქართული ლიტერატურა ჰქვია. ვინ როგორ უსვამს ნიჩაბს, ჯობია, თვითონ მენიჩბემ კი არ შეაფასოს, არამედ ბორტზე მყოფმა მიუკერძოებელმა დამკვირვებელმა, რომელიც მერე ნაპირზე ჩავა და მშვიდად დაწერს, თუ რა ხდება «გალერაზე»: საით მოძრაობს, რა სიჩქარით, ვინ როგორ ირჯება, ვინ უფრო ლაზათიანად უსვამს ნიჩაბს და ა.შ. _ მოკლედ, რა განსხვავებაა და საერთოა ჩვენს შორის, მოდი, კრიტიკოსებმა არკვიონ.

მართალია, ეს შედარება მეტისმეტად «მხატვრულია», ასე რომ, ვიღაცას შეიძლება არც მოეწონოს (კატორღელებს თუ მიჯაჭვულ მონებს რატომ გვადარებსო), მაგრამ მაინც ამ მიმართულებით გავაგრძელებ მსჯელობას.

ჩვენს გალერას მსოფლიო «რეგატაში» კონკურენტ ხომალდებთან შედარებით გარკვეული უპირატესობაც კი აქვს, ალბათ, ძლიერი ზურგის ქარი და წყალქვეშა დინება ეხმარება, _ ენობრივ-ლიტერატურულსა და კულტურულ-ისტორიულ ტრადიციას ვგულისხმობ, _ თუმცა სხვა გემებიდან ჩვენ გვამჩნევენ თუ არა საერთოდ, ეს ჯერ კიდევ საკითხავია...

ამის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რადგან მჯერა, «რეგატის» მთავარი მსაჯი და მომწყობი ტრანსცედენტული «არბიტრია», ყველაფერს რომ ხედავს...

"ებლიტფო:" შენ დიდი ხანია წერ. მითხარი, როგორ ყალიბდება სტილი და შენ როგორ «მიაგენი» მას? როგორ იგონებ სიუჟეტებს, ვინ არიან შენი ნაწარმოების გმირები? როგორ «იძენენ» ჩვევებს, მანერებსა და ხასიათებს ნაწარმოებებში შენს მიერ გაცოცხლებული გმირები?

ირაკლი ლომოური: დიდი ხნის წინათ კი დავიწყე წერა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ, საერთო ჯამში, მართლა დიდი ხანია ვწერ. მქონდა სერიოზული ინტერვალები. ყველაზე დიდი თითქმის ათი წელი გაგრძელდა _ 80-იანი წლების ბოლოდან 90-იანების მიწურულამდე...

როგორ ვიგონებ სიუჟეტებს, როგორ ყალიბდება სტილი და ა.შ. კონკრეტულ პასუხს ვერც ამ შემთხვევაში გაგცემ, რადგან ეს თვითონაც არ ვიცი. ყველაფერი ინტუიციის დონეზე ხდება, თითქოსდა თავისით... ანუ, ეს არაა გაცნობიერებული პროცესი, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. ამდენად, ვერანაირად ავხსნი _ ამ ყველაფერში რაღაც ამოუცნობია...

შემოქმედება ნამდვილი საიდუმლოა _ ყველა დონეზე.

მოთხრობის თუ პიესის დასაწერად კონკრეტული იმპულსი ნებისმიერი რაღაციდან შეიძლება წამოვიდეს _ იქნება ეს ყურმოკრული რეპლიკა, თუ შემთხვევით ამოკითხული ფრაზა, რეალური სიტუაცია, ჰანგი, კადრი, მელოდია თუ სურნელება, _ მოკლედ, ყველაფერი, რაც განწყობას გიქმნის. მერე შენდაუნებურად ჯდები მაგიდასთან და რატომღაც იწყებ წერას...

ადრე თუ განწყობა არ მქონდა, არაფერს ვწერდი. ეხლა სიტუაცია შეიცვალა_ უმეტეს შემთხვევაში, როცა სამუშაოდ ვჯდები, განწყობა თავისით მოდის თითქოს... ეს რომ ასე არ იყოს, სამ თვეში დეტექტიურ რომანს ნამდვილად ვერ დავწერდი...

პროფესიონალიზმი ჩემთვის სწორედ ისაა, რომ შევძლო განწყობა სურვილისამებრ გამოვიწვიო ჩემში და არა ის, რომ ამ განწყობის გარეშე ვწერო, ასე ვთქვათ, მექანიკურად _ მხოლოდ გონებით...

"ებლიტფო:" რას ეუბნება და რისკენ მიმართავს საზოგადოებრივ აზრსა და აზროვნებას მწერალი ირაკლი ლომოური? ზოგადად, რამდენად აისახება რეალობა ლიტერატურაში დღეს? რა უფრო მნიშვნელოვანია, წერო ის, რაც ხდება თუ ის, რაც უმჯობესია მოხდეს, ანუ ასახო რეალობა, რომელიც არცთუ ისე სახარბიელოა, თუ აჩვენო მკითხველს, რომ შეიძლება უკეთესი სამყაროც არსებობდეს. აქვე გკითხავ _ როგორ ფიქრობ იცვლები თუ არა დროის და მკითხველის მოთხოვნილების შესაბამისად, რატომ?

ირაკლი ლომოური: ჩემი აზრით, ჩვენს მწერლობას დღეს გაცილებით «მოკრძალებული» ფუნქცია თუ მიზანდასახულება აქვს, ვიდრე ვთქვათ, XIX ანდა XX საუკუნეში ჰქონდა, ანუ სანამ საქართველო დამოუკიდებლობას აღიდგენდა.

მეფის რუსეთსა თუ საბჭოთა იმპერიაში მწერალი იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც საზოგადო ჭირზე შეეძლო ხალხთან საუბარი, ანუ მინიშნებით, გადაკრულად წერა.

დღეს სრულიად სხვა სიტუაციაა. ყველაფერზე შეიძლება ხმამაღლა ლაპარაკი და კიდეც ლაპარაკობენ პოლიტიკოსები (სხვა საქმეა »სმენადობა» ანუ რამდენად უგდებენ ყურს).

მწერალმა, ალბათ, უნდა ილაპარაკოს იმაზე, რაც აწუხებს და ილაპარაკოს ისე, რომ მართლა საინტერესო იყოს მკითხველისთვის _ ანუ იწვევდეს თანაგანცდას, ემოციას, ეხებოდეს გულს... ჩემთვის მთავარი ესაა.

თუმცა, ვიმეორებ, მწერალს აღარ შეიძლება მოვთხოვოთ, რომ, გინდა თუ არა, ერის წინამძღოლი იყოს და ზნეობრივად სწორუპოვარი ცხოვრების მაგალითს აძლევდეს. ვიღაცამ დღეს შეიძლება მხოლოდ იმისთვის წეროს, მკითხველი რომ გაართოს და ამაში არაფერია დასაძრახი. მთავარია, საქმეს პროფესიულ დონეზე აკეთებდეს _ გემოვნებით და ნიჭიერად. იყოს ორიგინალური, მართლა საინტერესო.

მხატვრული ლიტერატურა, ჩემი გაგებით, არაა სარკე, რომ მასში რეალობა აისახებოდეს. სარკე შეიძლება იყოს პირდაპირი ტელერეპორტაჟი, მაგრამ ისიც კი არ არის ხოლმე ბოლომდე, რადგან ხედვის კუთხე და კომენტარები ყოველთვის სუბიექტურია.

ლიტერატურა ყველა შემთხვევაში პარალელურ რეალობას ქმნის და ამის შესაძლებლობაშია, ჩემი აზრით, მისი ხიბლიც და ღირსებაც.

«მწერალ ირაკლი ლომოურს» არავითარი პრეტენზია და ილუზია არა აქვს, რომ საზოგადოებრივ აზრს რაიმესკენ მიმართავს, იმას ვამბობ უბრალოდ, რასაც განვიცდი (ხშირად ეს რეალობიდან გაქცევის, თავის დაღწევის ერთგვარი საშუალებაცაა). როგორ გამომდის ეს, _ ანუ რამდენად საინტერესოა, _ მკითხველმა უნდა განსაჯოს.

"ებლიტფო:" მოდი არარეალურზეც და ნახევრადრეალურზეც ვისაუბროთ _ ანუ ფანტასმაგორიულსა (ახლა აქლემები გამახსენდა მეტროსადგურ «პოლიტექნიკურში») და დეტექტივზე შენს შემოქმედებაში...

ირაკლი ლომოური: აქლემებს რაც შეეხება... ერთხელ მეტროს სადგურ «პოლიტექნიკურის» ბაქანზე ვიდექი და უცებ წარმოვიდგინე (თითქმის დავინახე) როგორ გამოვიდა გვირაბიდან აქლემების ქარავანი... და ჩაგვიარა... სახლში როცა მივედი, იმის მაგივრად, რომ დამეძინა, წერა დავიწყე, ოღონდ რას ვწერდი, თვითონაც არ ვიცოდი... აზრადაც არ მომსვლია, ვინმე თუ ამას დაიჯერებდა... "ნობათის' რედაქციაში" მაჩვენეს ოფიციალური წერილი, რომელიც მეტროპოლიტენის სამმართველოდან მიიღეს _ ჩვენს უწყებაში მსგავსს ფაქტს ადგილი არ ჰქონია და ცილს ნუ გვწამებთ, უარყოფა დაბეჭდეთო... ეხლა ვნანობ, წერილი რომ არ გამოვართვი... იყო სხვა კურიოზებიც... სხვათა შორის, იმ მოთხრობაში ჩემთვის მთავარი ის კი არ იყო, რომ მეტროში აქლემების ქარავანმა ჩაიარა, არამედ ის, რომ მას ერთი ახალგაზრდა კაცი გაჰყვა...

ფანტასტიკა ძალიან მიყვარს _ ბავშვობაში უფრო მეტად რობერტ შეკლის, რეი ბრედბერისა და კლიფორდ საიმაკს ვკითხულობდი, ვიდრე, ვთქვათ, მაინ რიდსა თუ ფენიმორ კუპერს...

დეტექტივს რაც შეეხება, მაინცდამაინც დიდი მოყვარული არასოდეს ვყოფილვარ _ ერთადერთი, ჩესტერტონს ვკითხულობდი სიამოვნებით, _ მაგრამ რატომღაც მომინდა დამეწერა... მოვიფიქრე გმირების წყვილი (დეტექტივი და მისი თანაშემწე), დანაშაულის სქემა, მანამდე გავეცანი დეტექტივის წერის ტექნიკას (აბა, ველოსიპედის გამოგონებას ხომ არ დავიწყებდი?)... ორი ნოველა გამოვაქვეყნე «ლიტერატურულ პალიტრაში». გამომცემლობა «პალიტრა L»-ის მესვეურებმა ეტყობა წაიკითხეს და შემომთავაზეს ამ გმირების მონაწილეობით დეტექტიური რომანების ციკლი გამეკეთებინა _ კონტრაქტიც გავაფორმეთ. ასე გაჩნდა რომანი «მკვლელობა სექსოლოგიურ ცეტრში», რომელიც ამჟამად გაყიდვაშია. დაწერილი მაქვს მეორე რომანიც, «ქალაქ ტფილისის მარკა ანუ მკვლელობა ოჯახურ წრეში», რომელიც წესით შარშან შემოდგომაზე უნდა გამოსულიყო, მაგრამ დღემდე არაა დაბეჭდილი. იმედია, წელს მაინც გამოვა.

"ებლიტფო:" როგორ ფიქრობ, საჭიროა თუ არა დღეს მწერალმა ასახოს ეროვნულისა და გლობალიზმის ურთიერთმიმართება? კონფლიქტების თემა და პრობლების მოგვარების ზნეობრივი პლანი ან პერსპექტივა?

ირაკლი ლომოური: თუ მწერალს მართლა აწუხებს თქვენს მიერ დასახელებული პრობლემა, კიდეც დაწერს ამაზე, ადრე თუ გვიან, მოძებნის შესაფერის ფორმასა და სიტყვებს (თუმცა ეს სულაც არაა ადვილი) _ დაწერს წრფელი განცდით და ტკივილით... და ეს რომ მართლაც შესაძლებელია, ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს კოტე ჯანდიერის მოთხრობა «გლობალიზაცია» (ასევე ძალიან არსებითი და ყურადსაღები მგონია ინტერვიუ ავტორთან, რომელიც ჟურნალ "ლიტერატურული პალიტრის" იმავე ნომერში _ მგონი, თებერვლის _ დაიბეჭდა)...

...ამას წინათ, ინტერნეტში მარიო ვარგას ლიოსას ესეი წავიკითხე, სწორედ ეროვნულისა და გლობალურის ურთიერთმიმართებაზე. მთავარს გეტყვით _ ძალიან მოკლედ. გამოჩენილი

პერუელი მწერლის აზრით, გლობალიზაცია მართლაც უქმნის მცირე ერებსა თუ კულტურებს გაქრობის საშიშროებას, მაგრამ, მეორე მხრივ, გვაძლევსო არაჩვეულებრივ შანსს მსოფლიოს გავაცნოთ თავი (ჩვენი ლიტერატურა და მთლიანად კულტურა), მოვძებნოთ და დავიმკვიდროთ საკუთარი ადგილი, მსოფლიო «ხალიჩაში» ჩვენი განუმეორებელი ორნამენტი ჩავაქსოვოთო... ამ შესაძლებლობის გამოყენებას კი სერიოზული, მიზანდასახული მუშაობა უნდაო. ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ გამოვიყენებთ ამ შანსსო.

ეს ქართველებმაც უნდა გავაცნობიეროთ. საზოგადოების მოთხოვნით და მონაწილეობით სახელმწიფო დონეზე უნდა მომზადდეს ეროვნული კულტურის განვითარებისა და მსოფლიოსთვის გაცნობის კონკრეტული პროგრამა. იმედია, ახალი პარლამენტი ამ საკითხით დაინტერესდება და შესაბამის, ქმედით ნაბიჯებსაც გადადგამს...

"ებლიტფო:" როგორ ფიქრობ, რამდენად აუცილებელია ლიტერატურული გაერთიანებების არსებობა ზოგადად და კერძოდ, საქართველოში? რას იტყვი სულ ახლახან დაარსებულ ლიტერატურულ გაერთიანება «ჭურკლუბზე». იქნებ შექმნის მიზეზებზე და პერსპექტივებზეც გვესაუბრო?

ირაკლი ლომოური: ლიტერატურული გაერთიანებები უნდა არსებობდეს _ ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა ოღონდ სექტას არ უნდა დაემსგავსოს. არ შეიძლება საკუთარი თავისა და საკუთარი «კუტოკის» გარდა ვერავის ხედავდე და არავის სცნობდე ამქვეყნად. მოკლედ გეტყვი: «კუტოკობანა» ინფანტილური მარაზმია.

რაც შეეხება «ჭურკლუბს», ეს ლიტერატურული გაერთიანება არ გახლავს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. იდეის დონეზე ეს არის კლუბი (ჯერჯერობით, ვირტუალური), რომელშიც შევლენ ლიტერატორები, ვინც აღიარებს, რომ «ჭურში ზის» ანუ საკუთარი ძვირფასი პერონის რეკლამირებას არ ეწევა, უყვარს ქართული ღვინო და ქართული ლიტერატურა. იდეა გაჩნდა ფორუმზე, ატაცებულ იქნა, (ცალკე გვერდიც კი გაუხსნა გულისხმიერმა ადმინმა) _ მთავარი ამ იდეაში ვირტუალური კლუბის რეალურად გადაქცევის სურვილია, ანუ ისეთი ადგილისა და გარემოს შექმნა, სადაც ნებისმიერ ლიტერატორს შეეძლება მისვლა და ლიტერატურაზე საუბარი ჭიქით ხელში, მაგრამ ეს იდეა ჰაერში კიდია და შეიძლება ასევე დარჩეს...

"ებლიტფო:" ლიტერატურულ კონკურსებზე რას გვეტყვი? რამდენად ხშირად ღებულობ მონაწილეობას ამგვარ კონკურსებში? პრემიები თუ აგიღია... რომელი ლიტერატურული პრემიის აღებას ისურვებდი და საერთოდ «ლიტერატურულ ოცნებებზეც» მოგვიყევი...

ირაკლი ლომოური: ლიტერატურული კონკურსები იდეაში კარგი რამეა, უნდა იმართებოდეს და რაც მეტი იქნება, მით უკეთესია, რადგან მწერლისთვის ერთგვარ სტიმულს წარმოადგენს... თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს _ შეჯიბრსა თუ კონკურენციას ნამდვილ ლიტერატურასთან, ალბათ, არცთუ ბევრი რამ აკავშირებს.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს შეფასების კრიტერიუმები ანუ «მსაჯობის» საკითხი. მოგეხსენებათ, ყველას თავისი გემოვნება აქვს. ის, რაც ერთისთვის მოსაწონია, მეორისთვის მიუღებელი შეიძლება აღმოჩნდეს, ამიტომ «მსაჯის» პიროვნებაზე, მის კომპეტენტურობასა და ობიექტურობაზე ძალზე ბევრია დამოკიდებული...

ერთი სიტყვით, თეორიულად კონკურსების იდეა მომწონს, მაგრამ პრაქტიკულად, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით ვუყურებ. ამიტომ მხოლოდ რამდენიმეში თუ მიმიღია მონაწილეობა. გამარჯვებით კი ერთადერთხელ გავიმარჯვე _ 1987 წელს რადიოპიესების რესპუბლიკურ კონ-კურსში ჩემმა პიესამ «ჭაში» მეორე პრემია მიიღო.

კონკურსებში მონაწილეობის სურვილი პრაქტიკულად არ გამაჩნია და, ალბათ, არც არასოდეს გამიჩნდება, აქედან გამომდინარე, არანაირი პრემიის მიღებაზე არ ვფიქრობ.

«ლიტერატურული ოცნება» კი ერთობ მოკრძალებული და, შეიძლება ითქვას, პროზაული მაქვს _ მქონდეს იმდენი ხელფასი ან, კიდევ უკეთესი, რენტა, მუდმივი შემოსავალი (ჰონორარებით ჩვენთან ვერ იცხოვრებ), რომ ოჯახის რჩენაც მოვახერხო და ოთახიც

დავიქირავო სადმე სახლთან ახლოს, მანსარდაზე, სადაც ნებისმიერ დროს შემეძლება მისვლა და მშვიდად წერა... მეტზე პრეტენზია ნამდვილად არა მაქვს.

"ებლიტფო:" ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ შეხვედრაზეც გვესაუბრე, რამდენად მნიშვნელოვანია მწერლისთვის ასეთი შეხვედრები?

ირაკლი ლომოური: ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ საღამოს ჩემთვის ემოციურად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

საქმე ისაა, რომ ჩემს მკითხველთან ურთიერთობა პრაქტიკულად არა მქონია (ოჯახის წევრებს, ნათესავებსა თუ მეგობარ-ამხანაგებს არ ვთვლი, ცხადია).

არადა, თუ წერ, ვიღაცამ ხომ უნდა წაიკითხოს და რაღაც გითხრას?...

ერთი სიტყვით, ძალიან კარგია, რომ ასეთი საღამოები ტარდება საჯარო ბიბლიოთეკაში. ეს ნამდვილი სტიმულია. დიდი მადლობა.

ზეპირად ათობით ლექსი ვიცი

ებლიტფო: ბატონო არნოლდ, «დედაბუნება» და «ბუნება შემოქმედია», ორი მართლაცდა გამორჩეული წიგნია ბუნების შესახებ, ნანახისა და განცდილის ულამაზესი გადმოცემა სიტყვებით და ფოტოებით... დოკუმენტური პროზის ნიმუშებითა და პოეზიით..., თქვენი უფროსი მეგობარი პოეტის შოთა ნიშნიანიძის სიტყვებს გავიხსენებ: «ბუნების გულთამხილაობის ენციკლოპედიური კალეიდოსკოპი _ სილამაზის განცდითა და ხატოვანი ქართულით გადმოცემული»... «დედაბუნების» წინათქმა ბატონი მუხრანისაა _ იქნებ მათ შესახებ გვიამბოთ... როგორც მწერლებზე და როგორც პიროვნებებზე...

არნოლდ გეგეჭკორი: გმადლობთ შეკითხვებისათვის. ბატონი შოთა ნიშნიანიძე, არ ვცდები გენიალური(!) ხედვების, მეტაფორული და, ერთდროულად ფილოსოფიური აზროვნების პოეტი იყო. თავის შემოქმედებაში ბუნების, სამყაროს პანთეისტური აღქმით იგი ძალიან ახლოს დგას ვაჟა-ფშაველასთან. ბატონი შოთა ვაჟასავით მიწაზე ტერფდადგმული, ნედლ ბუნებასთან შესისხლხორცებული კაცია. ეს ბუნება კი სრულიად საქართველოსი, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიო მასშტაბით ეტალონური ფენომენია, ამიტომ ელვარე ნიჭის ქონების შემთხვევაში, არ არის გასაკვირი შოთა ნიშნიანიძისეული ფილოსოფიურ-პოეტური მედიტაციები.

გარემოს მინდიასეული შემეცნების იმდენ ნიმუშს ვხვდებით ბატონი შოთას შემოქმედებაში, მასზე სოლიდური მონოგრაფიის დაწერაა შესაძლებელი. წინამდებარე შეზღუდული დიალოგის ფორმატში მოვიყვან მხოლოდ ერთს:

«ბაბუ ჩიტებში რატომ გაგვცვალე,
ტყეში რა გზით და როგორ მოხვედი,
ნუთუ ტყე არი შენი საძვალე,
მუხადქცეული სულო კოლხეთის...»

გაიხსენეთ, რა შედევრები აქვს დაწერილი ბატონ შოთას ხარზე, ვენახზე, ფუტკარზე... არა მგონია ქართულ პოეზიაში სხვას დაეწეროს ლექსი _ «სიმღერა აბრეშუმის ჭიაზე და მარადიულ მეტაფორაზე». აი, ერთი სტრიქონი ამ ლექსიდან: «ჭია, ფარვანა, აბრეშუმი. _ გადართული მეტაფორაზე. აი შენი გზა _ ღვთაებრივი მეტამორფოზა...» ეს ლექსი სათანადო გარჩევით, სასკოლო სახელმძღვანელოში შევიტანე.

ალბათ ლოგიკური იყო ბატონი შოთას ნაღვაწიდან აღნიშნული თემისადმი მიძღვნილი ჩემი ვრცელი წერილი: «ბუნება შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში» («კალმასობა» ¹3 (31,) 1999 წ.). წერილი პოეტის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ გაზეთის სპეციალურ ნომერში გამოქვეყნდა. სალიტერატურო-სამეცნიერო გაზეთის რედაქტორისთვის, ქალბატონ შარლოტა კვანტალიანისთვის ბატონ შოთას უთქვამს: _ «ჩემი შემოქმედება ამ კუთხით ასე ჯერ არავის

განუხილავსო». ეს დიდი ქათინაური იყო. დაბოლოს, მოკლე წინასიტყვაობა, რომელიც ბატონმა შოთამ ჩემი მონოგრაფიისთვის _ «ბუნება შემოქმედია» _ დაწერა, პოეტური პროზის, ესთეტიზმის, სიტყვაკაზმულობის, სამყაროს მეტაფორული ხედვის, ბუნებისა და პოეზიის სინერგიზმის, ავტორისეული, ხელდახელ შემოთავაზებული აფორიზმების ფეირვერკია!!!

აი, ერთი ნიმუში: «ბუნება, ალბათ, ღმერთის ერთ-ერთი მეტაფორაა ამ უსასრულო სამყაროში». ეს შედევრი ხელნაწერის სახით რელიქვიად ინახება ჩემს არქივში. მას და მის მსგავსებს, ვფიქრობ, ცალკე წიგნად გამოვცემ.

ბატონი მუხრან მაჭავარიანი, მოგეხსენებათ, თანამედროვე ქართული მხატვრული სიტყვის კიდევ ერთი დიდოსტატია. მუხრანი საკუთარი ნერვული ფიბრის დონეზე გრძნობს, აღიქვამს ყველას და ყველაფერს, რაც მის მამულთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ იგი იმდენად სენსიტიურია, რომ ქვეყნის აღმავლობა-დაღმავლობის ერთგვარ ბარომეტრადაც გამოდგება! თამამად შემიძლია განვაცხადო: ჩვენ, თანამედროვე ქართველების დიდი ნაწილი ვერ ვდგავართ იმ სიმაღლეზე, რომ მსგავსი შემოქმედნი დამუხტულნი გვყავდეს პოტენციური შედევრების შესაქმნელად. ბატონი მუხრანის სულიერებაში, შესაბამისად, შემოქმედებაში არ შეიძლება თავისუფალი ნიშა იპოვოს წვეთმა კონიუნქტურისა. ამიტომ ეს ამხელა ბუმბერაზი შემოქმედი ლამის არის რეტროგრადად ვაქციეთ!

ჩემი შვილიშვილი გიორგი ათი წლის იყო, მას რომ გავაცანი. გიორგიმ რამდენიმე ლექსი ზეპირად უთხრა მუხრანს მის შემოქმედებიდან. იცით, როგორი კომენტარი გაუკეთა პოეტმა გუგას ამ ინიციატივას? _ «ბიჭო, შენ ნამდვილი ქართველი ყოფილხარ!» _ ო. დიახ, მუხრან მაჭავარიანი სამყაროს საქართველოდან გახედილი უყურებს!

არ მინდა მუხრანის შემოქმედებაში კვლავ დაიწეროს:

«ვაი, ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო, _
ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ»...

ჩვენ, ქართველებმა ბევრი უნდა გავაკეთოთ «მეორე», სულ სხვანაირად შემართული მუხრანისათვის, რომელსაც სურს და სჯერა:

«კიდევ უფრო, კიდევ უფრო იღორძინე, საქართველოვ,
კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო,
კიდევ ერთი რუსთაველი,
კიდევ ერთხელ აამღერო...»

რაც შეეხება თქვენს კითხვაში გაჟღერებულ ერთ პასაჟს _ «თქვენი «დედაბუნების» წინათქმა ბატონი მუხრანისაა». დიახ, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში დაწერა ორტომეულისთვის ბატონმა მუხრანმა ჩემი თხოვნით ეს წინასიტყვაობა სათაურით _ «კარგი წიგნი». ეს არის ჩვენი მიწა-წყლის დღევანდელ ჭრილობებზე ჭეშმარიტად მუხრანისეული დიალოგი თავის კუთხის კაცთან-იმერელ გლეხთან. «დედაბუნებაზე» დაწერილია გამოჩენილ, ცნობილ მოღვაწეთა ხუთ ათეულამდე რეცენზია, ყველა მათგანი ერთხმად მიანიშნებს, რომ ეს დიალოგი წარმოადგენს მხატვრული სიტყვით გამოხატულ ბრწყინვალე ტრაქტატს ეკოლოგიაზე!

აი, ერთი ამონარიდი ამ წერილიდან: «მზის სხივებთან და წვიმის წვეთებიდან ხეთა ტოტებისა და ბალახების ღეროთა ურთიერთშეწევნით იქსოვება სიცოცხლე ცისა და მიწის შუა. ხელის უხეში გაქნევით ამ ძვირფასი ქსოვილის გაფხრეწა, _ საკუთარი სიცოცხლის შემოკლებაა, იმ ტოტის მოჭრაა, რომელზეც შენ თვითონ ზიხარ.»

ებლიტფო: დიდი ხანი არაა, ქალბატონი ანა გარდაიცვალა... ქალბატონი ანას ბევრი ლექსი ზეპირად იცით... გაიხსენეთ ქალბატონი ანა... დარწმუნებული ვარ მასზე ბევრ საინტერესოს გვიამბობთ...

არნოლდ გეგეჭკორი: ქალბატონი ანა კალანდაძის გარდაცვალება უახლოესი ჭირისუფალივით განვიცადე. სულ რამდენიმე თვის წინ ჩემს ოჯახში გამართულ წვეულებაზე შესანიშნავი გუნება-განწყობით დაგვემშვიდობა... რამდენიმე დღის შემდეგ მირთმეულ, წვეულების ამსახველი სურათებისათვის მადლობა ბრძანა..., 31 დეკემბერს დამდეგი ახალი წელი მოგვილოცა..., 2 იანვარს კი ინსულტი დაემართა..., 15 მარტს მთაწმინდაზე შეიქმნა სურათი, ადრე გალაკტიონზე რომ დაიწერა: «ყვავილების მდინარეს კუბო ცაში მიჰქონდა»... 22 მარტს, შაბათ დღეს, «კალმასობის» წინადადებით, სულის ერთი ამოსუნთქვით დავწერე ვრცელი წერილი _ «ანა კალანდაძე _ მარადიული გაზაფხული». მასში ქალბატონ ანაზე არაერთი მოგონებაა, მათ შორის ერთი, ფრიად ორიგინალურ წვეულებაზე, გამორჩეული საზოგადოების წინაშე ვუამბე. იგი, თავის დროზე დიდი ქალბატონისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამოზე შექმნილ, ერთობ უჩვეულო სიტუაციას გულისხმობს. წლების განმავლობაში ამ სიუჟეტზე ნოველის დაწერას ვაპირებდი და მისი ასეთი სახით ანასადმი გამხელას. დაწერა ვერ მოვახერხე. ამჯერად სუფრაზე, გასამუხტავად, ზეპირად ვუამბე. ნასიამოვნები, ფრიად აღელდა და მონოლოგის დამთავრებისთანავე ბრძანა: «ბატონო არნოლდ, ამ საღამოს კიდევ ერთი მხრივ გაგიცანით...» ეს პასაჟი «... მარადიულ გაზაფხულში» შევიტანე.

კიდევ ერთი მომენტი, რაც ფართო საზოგადოებამ შესაძლოა არ იცოდეს. მძიმე ავადმყოფობის ბოლო დღეებში, როდესაც პოეტს მეტყველების უნარი წართმეული ჰქონდა, გამოიცა ლექსების კრებული «ანა. გამობრწყინდი, მიუღწეველო». ეს არის უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული, ფრიად ორიგინალური დიზაინითა და კომპოზიციით შედგენილი ანა კალანდაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული (პოეზია, წერილები, მოგონებები). ქალბატონი ანა სიცოცხლის უკანასკნელ სამ დღეს მოესწრო ნაშრომის სასიგნალო ეგზემპლარს. წიგნი იწყება ფერადი ფოტოსურათით, სადაც აღბეჭდილია საპატრიარქოს ეზოში მდგომი მისი უწმინდესობა, ილია მეორე და ქალბატონი ანა. ალბათ, რაღაც სიმბოლურია იმ გარემოებაში, რომ დიდმა /შემოქმედმა ცხოვრების ბოლო დღეებში ამ წიგნით უდიდესი სიხარული განიცადა. «ანას» ტირაჟირების შემდეგ დიდად დამავალა ანა კალანდაძის ახლო ნათესაობამ (მულმა, ქალბატონმა თინამ) ამ წიგნის საჩუქრად გამოცემისთვის.

ებლიტფო: მკითხველები თქვენს წიგნებში თითქმის ყველა ცნობილი პოეტის ბუნებაზე დაწერილ სტრიქონებს «ვპოულობთ»; დაახლოებით რამდენი ლექსი იცით ზეპირად და რომელი პოეტია ყველაზე «თქვენი», რამდენიმე გამორჩეული ლექსიც გვითხარით...

არნოლდ გეგეჭკორი: პოეზია, ხატოვანი აზროვნება ჩემთვის სულიერი მოთხოვნილებაა. როგორ მჭმუნვარე ხასიათზეც არ უნდა ვიყო, გადმოვიღებ ბიბლიოთეკის თაროდან ძვირფას ავტორთა პოეზიის კრებულებს, ჯერ შუბლი გამეხსნება, შემდეგ თვალებში სხივი ჩამიდგება.. _ სულ სხვა ადამიანი ვხურავ წიგნს. რაც შეეხება თქვენი მორიგი კითხვის იმ ნაწილს _ რომელი პოეტია ყველაზე «ჩემი», ალბათ, უპრიანია ტარიელ ჭანტურიას ლექსიდან შემდეგი ამონარიდით გიპასუხოთ:

«ვშლი, ვფურცლავ, ედგარს, კიპლინგს,
ბაირონს..., ბლოკს, საფოს, მისტრალს,
მარინას, ბელლას...
ბოლოს რიგ რიგად გადავდებ ყველას,
დავწვდები ტატოს, დავწვდები გალას,
გადავშლი ლადოს, გადავშლი ანას...,
შენ, შენ! მაინც შენ, ქართულო წიგნო...»

ზეპირად ათობით ლექსი ვიცი. ფაქტი: ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გავმართე პოეზიის საღამო, ორი საათის განმავლობაში ვუჩვენებდი საქართველოზე გადაღებულ დიაპოზიტივებს და მათ ფონზე ვკითხულობდი ლექსებს ძვირფასი პოეტებისა, ზოგჯერ საკუთარსაც. სხვებთან ერთად ბოლომდე «ჩავაბულბულე» მუხრანის საკმაოდ ვრცელი, მეტწილად არქაული ქართულით დაწერილი «ვახტანგმა წყალი ისურვა». იმ საღამოს, არაერთი პოეტი, მსახიობი, ხელოვნების მუშაკი, მეცნიერების წარმომადგენელი ესწრებოდა. ჩემი ემოცია გადაედო აუდიტორიასაც, რექტორი როინ მეტრეველი სამჯერ მივიდა ორატორის კათედრასთან...

ებლიტფო: არ შემიძლია ბატონ ოტიაზე არ გთხოვოთ ორიოდე სიტყვით გვესაუბროთ... თქვენს, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ბუნებისმიერ მეგობარზე... თქვენს სამუშაო კაბინეტში ბევრი მწერლის მოძღვნილი წიგნია ავტორისეული წარწერებითა და ავტოგრაფებით. იქნებ ზოგიერთ მათგანზეც გვიამბოთ...

არნოლდ გეგეჭკორი: ბატონი ოტია იოსელიანი არაჩვეულებრივი ადამიანია. მე მას ქართულ ვაზს შევადარებ, თვითონ რომ დღენიადაგ თავს ევლება. განა ბევრს იცნობთ ქართველ მწერალს ვაზივით ასე რომ ჰქონდეს ფესვი საქართველოს მიწაში გადგმული («ფესვი, ფესვი უნდა გქონდეს გლერტასავით გადგმული, რომელიც შენი მიწიდან გასაზრდოებს»)? განა მრავალია ოტიასავით შესისხლხორცებული დედო მიწასთან («... ქარბორბალას გასაძლისი ძარღვით და ნერვით მაკერებდა აღმომცენებელს, მქმნელთ, პირველადს, საყრდენს, საფუძველს _ სამშობლო მიწას...»)? რომელ გლეხკაცშია განსახიერებული ოტიასავით ნიჭიერი, თვითმყოფადი და მრავალმხრივი მწერალი? ახლა, რომელ მწერალს დამისახელებთ აგროკულტურასთან ასე გაშინაურებულს? თესლის, აღმონაცენის, ნაყოფ-მტევნის, პირუტყვის მესაიდუმლეს? მათი მეექვსე გრძნობის ასე ფაქიზად გამთავისებელს? ოტია ქართული ვაზის პროტოტიპი იმიტომაც არის, რომ «ყურძნის ხის» ღერო-ტოტებივით მრავალმხრივ არის განტოტვილ-ჩაგრეხილ-ჩაწნული ყოველივე ქართველურში, ზიგადად, ქართულ ფენომენში. აი, ეს «ზოგადქართული» არის მისთვის კოსმოსური ფენომენი, განუმეორებელი, ერთადერთი, ესე იგი _ აბსოლუტი! ქართველი რომ ბუნებით პატიოსანია, ალალ-მართალია, ფუტკარივით მშრომელია, უაღრესად პუნქტუალურია, ნიჭიერი შემოქმედია, იუმორით აღსავსეა, პირში მთქმელია, ბუნების მადლის გამთავისებელია, სამშობლოსათვის თავდადებულია, ქართული სიტყვის იოანე ზოსიმეს ტოლფასად შემფასებელ-დამფასებელია, ერთი, სვანური ქუდისა და ბოლგამოშვებული მუნდშტუკის მუდმივად მქონე-მატარებელი კაცის მიხედვით ითქმის.

და თუ ყველა ჩვენთაგანი ყოველთვის ვერ ვართ ამ თვისებებით შემკულნი, სინამდვილეს გავუსწოროთ თვალი და ოტიასავით კაცზე ავიღოთ სწორება!

ძალიან ვაფასებ წარწერით მოძღვნილ წიგნებს: ავტორები ქართველები და უცხოელებია _ მეცნიერები, მწერლები და შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

ვფიქრობ, ბევრი მათგანი ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაშრომში გამოვაქვეყნო. ახლა რომელიმე მათგანის გამოყოფა უხერხულია, სხვას ეწყინოს, იქნება!

ებლიტფო: ბატონო არნოლდ, როგორ იქმნება ულამაზეს სურათებზე ულამაზესი ლექსმინაწერები? იღებთ ფოტოსურათს და მერე «არგებთ» ლექსს, «აგეკვიატებათ» ლექსის სტრიქონები და მერე იწყებთ «მსხვერპლზე ნადირობას»? ფოტოსურათების თვალიერებისას გახსენდებათ ესა თუ ის ლექსი თუ... აქვე ერთ ფოტოზე მინდა გკითხოთ _ როგორ გადაიღეთ «თვალუწვდენელი ზვრები» მარტვილის რაიონში, რამდენადაც ვხვდები იმ ადგილზე არც მაღალი მთებია და არც მაღალსართულიანი სახლები...

არნოლდ გეგეჭკორი: ფოტოხელოვნება შემოქმედებაა. დღეს ფოტოაპარატი ბევრს უკავია ხელში, თანაც უცხოური, ძვირადღირებული. აი, გურამ თიკანაძესავით უბრალო «კამერით»

რომ შედევრს იღებ, ესაა შემოქმედება _ განსაკუთრებული თვალით დანახული გარემო, ადამიანი! მართალი ხართ, ზოგჯერ ჩემს მიერ გადაღებულ, წარმატებულ ფოტოზე ვაკეთებ ესეისტურ ჩანახატს, ხანდახან კი, პირიქით, სათანადო კადრისთვის ლექსის აკვიატებული სტროფის მიხედვითაც «ვნადირობ». ამ თვალსაზრისით იმდენი კურიოზული ამბავი გადამხდომია თავს, ჩამოთვლა გამიჭირდება. მარტვილის რაიონში, კოლხეთის დაბლობზე ოჯალეშის თვალუწვდენელი ზვრების პოეტური სტროფის შესატყვისი _ «ნეტა სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო» _ გადაღება მართლაც პრობლემა იყო. მასპინძლებს ვთხოვე და მოვატანინე კიბე _ გადაღებისთვის თვალსაწიერი არ აღმოჩნდა საკმარისი. მოვაყვანინე ცხენი, ტრაქტორი _ მაინც არაფერი გამოვიდა. მაშინ თავაზიანობით ცნობილმა მეგრელმა მასპინძლებმა რაიონული ცენტრიდან სახანძრო მანქანა გამოიძახეს. მანქანაზე _ კიბე, კიბეზე _ კიდევ კიბე, კიბის წვერზე _ მე და გადაიშალა იშვიათი თვალსაწიერი. მასშია მოქცეული ზვრის ბოლოც, მეგრული ოდა-სახლები და ჰორიზონტზე წამომართული დიდი კავკასიონის ქედი... ამას წინათ ერთ ძვირფას, ცარცის ქაღალდზე დაბეჭდილ წიგნში ვნახე ქართული ზამბახის ფოტოსურათი. მკრეხელობაა მსგავსი მშვენიერების ფირზე ასე აღბეჭდვა. მიკვირს, როგორ უნდა მოახერხო ზამბახის ამ ყვავილში განსხეულებულ ფორმათა სინატიფის, ფერთა ჰარმონიის ასე იავარქმნა?!

ებლიტფო: საკუთარ შემოქმედებაზეც გვესაუბრეთ _ ლექსებზე, რომლებიც დაწერილია მალაიზიასა და ავსტრალიაში, ყარაყუმის უდაბნოსა და ტაიგაში... და, რა თქმა უნდა, საქართველოში... თქვენ შესანიშნავად იცით ინგლისური და რუსული ენები... არასოდეს გითარგმნიათ რუსი ან ანგლო-ამერიკელი ავტორები?

არნოლდ გეგეჭკორი: ჩემს ლექსებზე ყურადღების გამახვილებას მკითხველს არ ვაკადრებ. ეს არის ბუნების ტრფიალის (ნატურფილის) ერთგვარი ხარკი, გაღებული სწორედ ბუნების, ადამიანის მშვენიერებისადმი. ისინი ზოგს ძალიან მოსწონს, ზოგს _ ნაკლებად, მე პირადად ზოგიერთის არ მრცხვენია. განსხვავებით პროფესიონალი პოეტების შემოქმედებისაგან, ორიოდეს გარდა, მათ არ ვიმახსოვრებ, ზეპირად არ ვიცი. მოვიტან მხოლოდ მცირე ამონარიდს «კოლხური სუიტიდან».

«... სტელავ სალოცავო,
ფრესკავ ყინწვისისა,
ჯვარო საფიცარო,
უკვდავ ვაზის ხისა!
მზერა ფურ-ირმისა,
კდემა აპრილისა.
სიმაღლე ოდიშის
თეთრი მარტვილისა...»

უცხოელ ავტორთა პოეზია არასოდეს მითარგმნია. ამ საქმისთვის არ მეცალა. პროფესიულმა «ჩახმახმა კი გამომკრა» და თავის დროზე ვთარგმნე ნობელის პრემიის ლაურეატის, ჯ. უოტსონის «ორმაგი სპირალი». იგი /შეეხება გენის სტრუქტურის, მისი კონფიგურაციის დადგენას. იმ დროს (1972 წ.) ეს წიგნი რუსულ ენაზეც არ იყო თარგმნილი, ე.ი. პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი მერცხალი იყო.

ებლიტფო: თქვენ ბევრს მოგზაურობთ, ანტარქტიკის გარდა ყველა კონტინენტი მოიარეთ; რა წიგნები «დაგყვებათ» თან მუდმივად და რომელი პოეტების ლექსები «გენატრებათ» ყველაზე ხშირად? აქვე ერთ პირობასაც ჩამოგართმევთ: ამ მოგზაურობებზე ეროვნული ბიბლიოთეკის მკითხველებს «საჯარო შეხვედრაზე» მოუყვებით... ფოტოგამოფენითა და ლექსებით.

არნოლდ გეგეჭკორი: ხუთი კონტინენტის ყველა ბუნებრივი ზონა არამცთუ მოვიარე, არამედ უცხოელ კოლეგებთან ერთად ბევრი ბიოგეოგრაფიული კვლევა ჩავატარე.

მეცნიერების შვიდ დარგში დიდძალი მასალები მოვიპოვე, ასობით მათგანი ფოტოდოკუმენტებშიც ავსახე. ეს მასალები კონცენტრირებული სახით, 1000-ზე მეტი სურათით ილუსტრირებული, სამეცნიერო ნარკვევი-სახელმძღვანელო სახით მალე გამოიცემა («ბიოგეოგრაფია», ნაწილი I, თსუ გამომცემლობა).

ბუნებაში, სადაც არ უნდა ვიყო, ვღიღინებ ქართულ სიმღერებს და ამით ქართულს ვამცნობ «უენპირო» ბუნებას. ეს თავისებური მედიტაციაა, შთაგონებაა, რომლის მიხედვითაც გჯერავს _ ქართულს აზიარებ: აფრიკაში _ კილიმანჯაროს, მაგადასკარზე _ ბაობაბის ხეს, სამხრეთ ამერიკაში _ მაკჩუ-პიკჩუს, განუმეორებელ ძეგლს, ავსტრალიაში _ ადგილობრივ, ენდემურ ბუჩქს _ ბანკსიას, ანდა ქვეყნის ცენტრალურ უდაბნოებში წამომართულ ესოდენ ეგზოტიკურ მთა-კუნძულს _ ულურუს (აიერს როკი).

სიამოვნებით შევხვდები ეროვნული ბიბლიოთეკის _ ქვეყნის მთავარი წიგნთსაცავის თანამშრომლებსაც და მკითხველებსაც. სასაუბრო და აზრის გასაზიარებელი, ცხადია, ბევრია...

დიდი პოეტი ისაა, ვინც ენას ფლობს...

ებლიტფო: როგორ აფასებ იმ დისკუსიას, რაც შენმა სტატიამ (არტისტული ყვავილებიდან არტყვავილებამდე) გამოიწვია?

ზაზა შათირიშვილი: სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი წავიკითხე. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ, ძირითადად, ვიცი ოპონენტთა არგუმენტაცია, რადგანაც თითქმის ყველას პირადად ვიცნობ და ზოგიერთი მათგანი მესაუბრა კიდეც. რაღაც პერიოდის შემდეგ ვაპირებ, რომ უფრო დეტალურად გავეცნო მათ ნამუშევრებს და ყველას ვუპასუხო. ამ ეტაპზე შემიძლია ვთქვა, რომ, სამწუხაროდ, არგუმენტაციის დიდი ნაწილი უკიდურესად «ფსიქოლოგიურია». ოპონენტთა უმრავლესობა იმდენად ჩემს ტექსტს არ კითხულობს, რამდენად იმის ამოკითხვას ცდილობს, თუ როგორია ჩემი გემოვნება, რა განაზრახი მქონდა, როცა სტატიას ვწერდი და ა.შ. ბევრი მათგანი ცდილობს დამაბრალოს, რომ მე ვერლიბრზე უფრო ე.წ. «ტრადიციული ლექსი» მომწონს; რომ გალაკტიონისა და სიმბოლიზმის მოყვარული ვარ და ა.შ. ეს ყველაფერი კვალიფიციური კრიტიკისა და თეორიის არარსებობაზე მიუთითებს. მაგრამ თუ ოპონენტებს ჩემი პირადი ლიტერატურული გემოვნება აინტერესებთ, ესეც არაა პრობლემა. მე შემიძლია მათ გულწრფელად ვუპასუხო და «დავხურო» ეს საკითხი...

ებლიტფო: რას გულისხმობ?

ზაზა: ვგულისხმობ იმას, რომ სავსებით გულახდილად შემიძლია ვისაუბრო ჩემს ლიტერატურულ გემოვნებაზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ნაკლებად საინტერესოა. უფრო მნიშვნელოვანი თეორიული კამათია...

ებლიტფო: არა, არა, ძალიან საინტერსოა შენი სიმპათიები თუ ანტიპათიები, მით უმეტეს, როცა შენ თვითონ ამბობ, რომ გულწრფელად შეგიძლია ისაუბრო...

ზაზა: კარგი, ბატონო. მაშინ დავიწყებ იქიდან, რომ გალაკტიონი სულაც არაა ჩემი საყვარელი პოეტი. რა თქმა უნდა, მე დღემდე მიყვარს მისი რამდენიმე ლექსი, მაგრამ არც სიმბოლიზმი მიყვარს (სიმბოლიზმი _ ე.ი. ვერლენი, რემბო მალარმე, ბლოკი, ბელი და ა.შ.) და არც გალაკტიონი (ისე, გალაკტიონი თავისი პოეტიკით სიმბოლისტი არაა). აქვე მინდა განვმარტო, რომ გალაკტიონი დიდი პოეტია (ობიექტურად) და ჩემი სიყვარული თუ მოწონება მას ვერაფერს ვერც შესძენს და ვერც დააკლებს. სიყვარულს რაც შეეხება, ძალიან მიყვარს ელიოტი, პასტერნაკი, მანდელშტამი (რომლებიც სიმბოლისტები ნამდვილად არ არიან!), კავაფისი, უოლეს სტივენსი, მიხაილ კუზმინი, ცვეტაევა, ბროდსკი, მეგელ დე უნამუნო, რუბენ დარიო, ხიმენესი, გოტფრიდ ბენი, ეუჯენიო მონტალე, უფრო ძველებიდან _ ჟერარ დე ნერვალი, ბორატინსკი, პუშკინი, ფეტი, კიტსი, შექსპირი, ხოლო ქართველებიდან _ რუსთველი, ბესიკი, ვაჟა და გურამიშვილი. ჩემთვის საყვარელი პოეტი არის ის, ვინც

მახსენდება და ვისი გადაკითხვის სურვილიც მიჩნდება, რომელთა ლექსებიც ზეპირად მამახსოვრდება და ა.შ. ისე, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ მე მიყვარს ესა თუ ის ლექსი, არა _ ესა თუ ის პოეტი... ასეთ შემთხვევაში ვიტყოდი, რომ ძალიან მიყვარს «ბარბაროსთა მომლოდინენი» (კავაფისი), «ჭასტე Lანდ» (ელიოტი), მისივე «მკვლელობა საკათედრო ტაძარში», «ნიუ ჰეივენის ჩვეულებრივი საღამო» (სტივენსი), «განთიადი»(აკაკი), «ღამე მთაში»... როგორც ხედავთ, ჩემი საყვარელი ლექსების დიდი ნაწილი ვერლიბრია... დაბოლოს, სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს *ვეფხისტყაოსნისადმი* _ წელიწადში ორ-სამჯერ თავიდან ბოლომდე ვკითხულობ. ცხადია, არა პატრიოტიზმის გამო, არამედ იმის გამო, რომ მისი ავტორი (ვინც არ უნდა იყოს) სწორედ ისეთი პოეტია, რომელიც იდეალურად შეესაბამება ჩემს წარმოდგენას პოეზიაზე...

ებლიტფო: აბა, რატომ დაწერე წიგნი გალაკტიონზე?

ზაზა: იმიტომ, რომ მეცნიერი ვარ, ვარ ფილოლოგი. გალაკტიონი არნახულად საინტერესო მასალაა...

ებლიტფო: შეიძლება ფილოლოგმა წიგნი უსიყვარულოდ დაწეროს?

ზაზა: ფილოლოგი სიტყვის მოყვარულს ნიშნავს... მაგრამ ფილოლოგია მეცნიერებაა. უნდა უყვარდეს თუ არა ფიზიკოსს ჯუჯა ვარსკვლავი, რომელსაც ის შეისწავლის? მე მგონი, ასე საკითხის დასმა არამართებულია. ერთია _ მკითხველი, ხოლო მეორე _ ფილოლოგი, რომელიც ცდილობს, რომ ტექსტი გაიაზროს, რაღაც კლასიფიკაციები მოძებნოს და ა.შ. ის, რომ ჩვენში ეს არ ესმით, ჩვენი სამეცნიერო საზოგადოების სისუსტეზე მიუთითებს. ფილოლოგი უნდა სწავლობდეს ყველანაირ ტექსტს. XX საუკუნის ცნობილმა კლასიკოსმა ფილოლოგმა და დიდმა ინგლისელმა პოეტმა ალფრედ ჰაუსმანმა ერთხელ აღნიშნა, რომ ფილოლოგი, რომელიც ამბობს, რომ მას ესქილე უფრო უყვარს, ვიდრე მანილიოსი, ფილოლოგი არ არისო და მართალიც იყო.

ებლიტფო: კარგი, რეზო გეთიაშვილი თუ არის შენი საყვარელი პოეტი?

ზაზა: რა თქმა უნდა, არა... მე პრინციპულად არ მიყვარს ასეთი პოეზია, პოეზია, რომელიც იდიომების დაშლაზე მუშაობს მაგრამ, ამას რა მნიშვნელობა აქვს?

ებლიტფო: ანუ, შენ ამბობ, რომ არსებობს ობიექტური კრიტერიუმები, რის გამოც ვიღაც დიდი პოეტია და ვიღაც _ არა?

ზაზა: რა თქმა უნდა, ღმერთო ჩემო! ამ კრიტერიუმებით, გოეთე, რომელიც საერთოდ, არ მიყვარს, გენიოსია, ხოლო ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტი ბესიკი, ან ბენედიქტ ლივშიცი (ასევე ძალიან მიყვარს) _ არა...

ებლიტფო: ესე იგი, შენ რითმიანი ლექსები უფრო გიყვარს (ვხუმრობ)?!

ზაზა: რა მნიშვნელობა აქვს რითმიან ან ურითმო ლექსს _ მთავარია ლექსი კარგი იყოს... ელიოტი ან სტივენსი ავანგარდია, ანუ «ურითმო» ლექსებს წერდნენ _ მერე რა? სხვათა შორის, ასევე ძალიან მიყვარს კონცეპტუალისტი პრიგოვი, უსასრულოდ შემიძლია მისი ლექსების კითხვა...

ებლიტფო: კი, მაგრამ როგორ შეიძლება პოეზიაში არსებობდეს ობიექტური კრიტერიუმები?

ზაზა: კითხვას შეგიბრუნებ, რატომ არის გენიალური ექსილე და არა _ მანილიოსი?

ებლიტფო: მანილიოსი არ წამიკითხავს...

ზაზა: კარგი... რატომ არის გენიალური რუსთაველი და არა _ არჩილი, რომელიც, აქვე შევნიშნავ, ერთ-ერთი ყველაზე ცუდი პოეტია ქართველ პოეტთა შორის? იმიტომ, რომ რუსთაველი ფანტასტიკურად ფლობს შაირს, არის გენიალური მთხრობელი და ა.შ.

ებლიტფო: და მხოლო ეს არის პოეზია?

ზაზა: ესეც პოეზიაა. ის, რომ ჩვენ პოეზია გვესმის მხოლოდ როგორც თვითგამოხატვა, რაღაც ფსიქოლოგიური განწყობის გადმოცემა _ XIX საუკუნის ცრურწმენაა... დიდი პოეტი ისაა, ვინც ენას ფლობს... ძველები (და ზოგიერთი ახალი) იტყოდნენ, _ «პოეტი ისაა, ვისაც ფლობს ენა (მუზა, არწივი და ა.შ.)!» _ ამას ფსიქოლოგიასთან არანაირი კავშირი არა აქვს...

ებლიტფო: რას ნიშნავს ენა?

ზაზა: აქ ჰაიდეგერს გავიხსენებ _ «ენა ყოფნის სახლია»... როგორც მამარდაშვილი იტყოდა, ეს ლამაზი ფრაზაა, რომელიც ხელს გვიშლის, ჩავწვდეთ მის აზრს. სხვანაირად ვიტყვი, ენა არის ის, სადაც და როცა სულიწმიდა უბერავს... კარგი, საერო ტერმინოლოგია გამოვიყენოთ, მე ვლაპარაკობ იმაზე, რასაც მამარდაშვილი ცნობიერებას უწოდებდა, მე ამას, უბრალოდ სულს ვუწოდებ... სული არის ის, რასაც საზრისი შემოაქვს. საკმარია სული წავიდეს, რომ რაღაც მთავრდება... ასე მოუვიდა, მაგალითად, რაინდობას. ერთ მშვენიერ დღეს სულმა დატოვა რაინდობა _ სწორედ ამაზე დაიწერა ***დონ კიხოტი***. ამიტომაც არის ის უკვდავი ნაწარმოები.

ებლიტფო: და პოეზია?

ზაზა: XX საუკუნეში სულმა დატოვა არა მხოლოდ პოეზია, არამედ მთლიანად ხელოვნება _ როცა უოლეს სტივენსმა დაწერა ***«ნიუ ჰეივენის ჩვეულებრივი საღამო»***, სწორედ ეს გამოხატა _ როგორ დატოვა სულმა პოეზია, როგორ ცარიელია ყველაფერი... ელიოტმაც სწორედ ეს დაგვანახა «Waste Land»-ში. ფაქტობრივად, მთელი XX საუკუნის დიდი პოეზია (და არა მხოლოდ პოეზია) ესაა _ თუ როგორ ტოვებს სული პოეზიას... იგივე გააკეთა იოზეფ ბოისმა, როცა როიალი შეფუთა _ მან აჩვენა, რომ ხელოვნება საზრისმა დატოვა...

ებლიტფო: დღეს რა ხდება?

ზაზა: როცა სული ტოვებს რაღაც სფეროს, რჩება მხოლოდ ფრაგმენტები...

ებლიტფო: და გეთიაშვილი?

ზაზა: გეთიაშვილმა არნახული სპონტანურობით სწორედ ეს გამოხატა _ აბა, სხვა რაა იდიომების _ იდიომები არის ენის «კარკასი» _ დაშლა. თუ სხვა თანამედროვე ქართველ პოეტებთან იყო შიშველი მიმესისი _ უცხოელ პოეტთა შიშველი მიბაძვა, გეთიაშვილმა მართლაც აჩვენა, თუ როგორ ქრება საზრისი პოეზიიდან, როგორ ტოვებს სული პოეზიას. ეს იყო ენობრივად მოტივირებული დემონტაჟი _ და არა _ ვისაც როგორ მოეპრიანება... აი ახლა უკვე ყველას შეუძლია წერა, როგორც გაუხარდება...

ებლიტფო: რატომ?

ზაზა: იმიტომ, რომ საზრისი აქ (პოეზიაში) უკვე აღარ არის.

ებლიტფო: მაშ, სად არის საზრისი და რა არის საზრისი?

ზაზა: საზრისი არის მეხსიერება _ ხსოვნა, ესაა პოეზიის, ხელოვნების, რაინდობის, უნივერსიტეტის და ა.შ. საზრისი... როცა საზრისი მიდის, ჩვენ იმას ვაკეთებთ რაც გვსურს _ როგორც დოსტოევსკი იტყოდა, «ყველაფერი მოსულა...» დღეს საზრისი არის კათოლიკე ეკლესიაში, მეცნიერებაში... დღეს საზრისი მიდის უნივერსიტეტიდან...

ებლიტფო: მაშინ რა აზრი აქვს ლიტერატურულ დისკუსიას პოეზიის შესახებ?

ზაზა: დისკუსიას ის აზრი აქვს, რომ დავინახოთ, რა იყო პოეზია და რა მოუვიდა მას. ესეც ხსოვნის ერთ-ერთი ფორმაა.

ებლიტფო: ესე იგი, შენ პესიმისტი ხარ?!

ზაზა: პირიქით... უფრო ზუსტად, _ «დავანებოთ მკვდრებს, დამარხონ თავიანთი მკვდრები»... ამიტომაც, ხელი არ უნდა შევუშალოთ ჩიხლაძეს, იათაშვილს და ა.შ.

ებლიტფო: გივი ალხაზიშვილზე რას იტყვი?
ზაზა: გივიმ დაწერა, ალბათ, ერთადერთი გააზრებული კრებული (პირველ ***ქრონიკონს*** ვგულისხმობ) ბოლო 40 წლის განმავლობაში... გივიმაც აჩვენა, თუ როგორ ტოვებს საზრისი პოეზიას...

ებლიტფო: ეს ყველაფერი ძალიან ბანალურია! აგერ 50 წელია საუბრობენ, რომ რომანი მოკვდა, ლექსი მოკვდა და ა.შ. ...
ზაზა: ეს ყველაფერი მეტაფორებია, რადგანაც სიკვდილს საზრისი აქვს. მე სულ სხვა რამეს ვამბობ, რა თქმა უნდა, ესეც ბანალურია _ მე ვამბობ, პოეზია დატოვა სულმა, ისევე როგორც დატოვა _ ხელოვნება, ფილოსოფია და ა.შ. ...

ებლიტფო: ფილოლოგია?
ზაზა: ფილოლოგია მეცნიერებაა. დღეს მეცნიერებაში ჯერ კიდევ არის საზრისი...

ებლიტფო: რატომ?
ზაზა: იმიტომ, რომ მეცნიერება არაა «მეხსიერების ხელოვნება», ესაა _ ახსნის, განმარტების, კონსტრუირების ხელობა... მეცნიერებაში შეიძლება არ იყოს რეფლექსია, მაგრამ ის ყოველთვის იძლევა მასალას რეფლექსიისთვის, რასაც ვერ ვიტყვით ხელოვნებაზე... იქ სადაც საზრისი არაა, აზროვნებისთვისაც არაფერი რჩება _ ხელოვნების საზრისი მეხსიერება და ხსოვნაა...

ებლიტფო: მაშ, რა გვრჩება, ჩვენ _ მკითხველებსა და პოეტებს?
ზაზა: პოეტის წინაშე სამი ალტერნატივაა (ამაზე უკვე დავწერე _ **პოეტი და პოეზიის იდეა ევროპულ კულტურაში** http://www.lib.ge/body_text.php?4649): ა)წეროს რეპი, ბ) გააგრძელოს ფრაგმენტებით თამაში, გ) მედიტაცია _ ლოცვა...

ებლიტფო: უფრო რომ დააზუსტო?
ზაზა: არ მინდა განვმეორდე _ იხ. ჩემი სტატია. ამაზე მეტი სათქმელი მე დღეს არ მაქვს...